

სასამართლო სისტემის 2017-2021
წლების სტრატეგიის
2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის

პროგრესის ანგარიში

**საანგარიშო პერიოდი:
ივნისი 2017 – ივნისი 2018**

იუსტიციის უმაღლესი საბჭო – თბილისი, 2018 წელი

შესავალი

სასამართლო სისტემის რეფორმა სახელმწიფო მნიშვნელობის პროცესია, რომელიც სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, ანგარიშვალდებულების, ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ემსახურება. აღნიშნული საჭიროებს როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის – სტრატეგიის, ასევე მისი უშუალო შესრულების მექანიზმის – სამოქმედო გეგმის მომზადებასა და ეფექტიან შესრულებას.

სწორედ ამ მიზნის უზრუნველსაყოფად, საქართველოს სასამართლო ხელისუფლებამ, სტრატეგიული კომიტეტის დახმარებით, რომელშიც შედიოდნენ როგორც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ასევე საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, შეიმუშავა და 2017 წლის 29 მაისს დაამტკიცა **2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგია და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა**.

მოცემული პროგრესის ანგარიშის მიზანია 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მხრივ არსებული მდგომარეობის წარმოდგენა.

2017 წლის ოქტომბერში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა საბჭოს უფლებამოსილება სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ზედამხედველობის, შესრულების კოორდინაციისა და მონიტორინგის კუთხით. ამასთან, შეიქმნა ოთხი სამუშაო ჯგუფი შემდეგი სტრატეგიული მიმართულებებით:

(1) დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა;

(2) ანგარიშვალდებულები მართლმსაჯულების უზრუნველყოფა;

(3) ხარისხიანი მართლმსაჯულების, პროფესიონალიზმის და სასამართლო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფა;

(4) მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული სამუშაო ჯგუფების საქმიანობის წარმართვა

დაევალა საბჭოს შემადგენლობით შერჩეულ ორ თანამომხსენებელს (ერთი მოსამართლე და ერთი არამოსამართლე წევრი), რომელთაც ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევენ საბჭოს მიერ განსაზღვრული კოორდინატორები. სამუშაო ჯგუფის, თანამომხსენებლებისა და კოორდინატორების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია პროგრესის ანგარიშის ბოლოს – დანართის სახით. ამასთან, სამუშაო ჯგუფების საქმიანობის (შეხვედრების) შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე – <http://hcoj.gov.ge/ge/reforms/projects>.

შესაბამისად, პროგრესის ანგარიში მიჰყვება სამოქმედო გეგმის სტრუქტურას და მასში ასახული ინფორმაცია წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფების მიერ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე. პროგრესის ანგარიში არის პირველი დოკუმენტი თავისი ბუნებით, რომელშიც სასამართლო ხელისუფლება ერთიანად წარმოადგენს სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად გადადგმულ ნაბიჯებს. ამასთან, ობიექტური მიზნების გამო, გარკვეულ პროგრამებთან დაკავშირებით, 2017 წელს დასახული აქტივობები ვერ შესრულდა და შესრულების ვადის გაგრძელებას საჭიროებს, რაც ნათლად არის წარმოდგენილი წინამდებარე დოკუმენტში.

ამასთან, სასამართლო ხელისუფლება, სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მხარდაჭერისთვის, მადლობას უხდის შემდეგ საერთაშორისო/დონორ ორგანიზაციებს:

- EU4Justice ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტი (Human Dynamics);
- ევროპის საბჭოს პროექტი – „სასამართლოს რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ (CoE);
- ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო (აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი);
- ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტი – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG);

- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP);
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდი (GIZ);
- გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF);
- საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ);
- და ა.შ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო განსაკუთრებულ მადლობას უხდის EU4Justice ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტს (შემდგომში – ევროკავშირის პროექტი) 2017 წლის ივლისის – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი შემადგენლობის დაკომპლექტების შემდგომ, საბჭოს წევრების, თანამომხსენებლებისა და კოორდინატორების შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით გაწეული საქმიანობისთვის.

პროგრესის შესახებ ანგარიში

1. სტრატეგიული მიმართულება	დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა
1.1. სტრატეგიული მიზანი	სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა

პროგრამა 1.1.1. – სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცება კონსტიტუციით და შესაბამისი კანონმდებლობით:

1.1.1.1. მოსამართლეთა საგამოცდო ვადის გაუქმება (2019)

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის შესაბამისად (შემდგომში – კონსტიტუციური კანონი), რომლის ამოქმედების თარიღად მითითებულია საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტი, დადგინდა ზოგადი წესი, რომლის თანახმად, საერთო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება განხორციელდება უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. ზოგადი წესიდან გამონაკლისს შეიცავს კონსტიტუციური კანონის გარდამავალი დებულებები, რომელთა შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრამდე პირველად გამწესების შემთხვევაში, უვადოდ გამწესებამდე მოსამართლე თანამდებობაზე შეიძლება გამწესდეს 3 წლის ვადით. განსაზღვრული ვადით გამწესებულ მოსამართლეზე მოსამართლის უვადოდ გამწესების დათქმა ვრცელდება ორგანული კანონით დადგენილი წესით მისი უვადოდ გამწესების შემთხვევაში¹.

საკონსტიტუციო ცვლილებების მომზადების პროცესში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებების შე-

¹ კონსტიტუციური კანონის 63-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

მუშავების პროცესში საერთო სასამართლოების ინტერესებს წარმოადგენდა.

1.1.1.2. მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის გარანტიების უზრუნველყოფა ყველა ინსტანციის სასამართლოში, უზენაესი სასამართლოს ჩათვლით (2017)

კონსტიტუციური კანონის შესაბამისად, მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ დანიშვნის წესი ვრცელდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზეც, რომლებსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი².

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებებით, მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების სამწლიანი ვადა არ ვრცელდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ან უზენაესი სასამართლოს მოქმედ ან ყოფილ წევრზე, სააკველაციო ან რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოქმედ ან ყოფილ მოსამართლეზე, თუ მას აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და ყოფილი მოსამართლის სამოსამართლო უფლებამოსილების შეწყვეტიდან არ გასულა 10 წელი. ეს მოსამართლეები თანამდებობაზე უვადოდ გამწესდებიან შესაბამისი კონკურსის წარმატებით გავლის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საჭირო რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში³.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, 2017 წლის 1 ივლისამდე თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული იმ მოსამართლის მიმართ, რომელსაც მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება აქვს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, წყდება ამ კანონით დადგენილი შემონიშნების პროცედურები და იგი კანონით განსაზღვრული ასაკის მიღწევამდე თანამდებობაზე უვად-

2 კონსტიტუციური კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

3 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 41 პუნქტი, 2017 წლის 16 ივნისის ცვლილება.

ოდ გამწესდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით⁴, გასაუბრების წარმატებით გავლის, საქმეთა შესწავლის, ქულებით შეფასების სისტემის და გასაუბრების დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დამოუკიდებლად შევსებული ფორმების საფუძველზე. აღნიშნული მოსამართლისათვის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შემთხვევაში, იგი უფლებამოსილების განხორციელებას გააგრძელებს სამწლიანი სამოსამართლო უფლებამოსილების დარჩენილი ვადის ფარგლებში.

2017 წლის 17 ივლისს განხორციელებული ცვლილებებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტს დაემატა 13² მუხლი, რომლითაც ამომწურავად განისაზღვრა თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული იმ მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები, რომელსაც სამოსამართლო საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება აქვს. კერძოდ, დადგინდა მოსამართლის მიერ განაცხადის წარდგენის წესი, მისი განხილვის ვადები, შესასწავლ საქმეთა შერჩევის წესი და ვადები, გასაუბრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა.

1.1.1.3. უზენაესი სასამართლოს წევრების არჩევის წესის, კრიტერიუმებისა და პროცედურის დახვეწა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლის განსაზღვრა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში (2017-2018)

კონსტიტუციური კანონის შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით, უვადოდ, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი⁵.

4 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ეს გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით.

5 კონსტიტუციური კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ევროპის საბჭოს ექსპერტმა მოამზადა შედარებითი ანალიზი ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პრაქტიკის შესახებ⁶. კვლევაში შესწავლილია გერმანიის, გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთის, ლატვიის, ლიეტუვისა და ესტონეთის გამოცდილება და მოცემულია რეკომენდაციები საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევისა და ნომინირების თაობაზე. ექსპერტმა დადებითად შეაფასა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჩართულობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში. კვლევაში შემოთავაზებულია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევასა და ნომინირებასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულ იქნეს ისეთი ასპექტები, როგორცაა დამოუკიდებელი პროცესი, მისი გამჭვირვალობა, საჭაროობა და ღიაობა, ასევე დამსახურებაზე დაფუძნებული პროცესი.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებულმა პროექტმა – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (შემდგომში – USAID/PROLoG) საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტისთვის მოამზადა საკონსულტაციო საბჭოს დებულება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სადისციპლინო კოლეგიისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატურების შერჩევის პროცედურებსა და კრიტერიუმებთან დაკავშირებით.

1.1.1.5. ადამიანის უფლებათა თავში სამართლიანი სასამართლოს უფლების დამატება (2017)

კონსტიტუციური კანონის 31-ე მუხლით განისაზღვრა ყოველი ადამიანის საპროცესო უფლებები და მისი ძირითადი კომპონენტები, რომლებიც თავისი შინაარსით მოიცავს პირის სა-

⁶ ბეტერო ნ., ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პრაქტიკის შედარებითი ანალიზი, ევროპის საბჭო, იანვარი, 2018.

მართლიანი სასამართლოს უფლებას. კერძოდ, დადგინდა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება, განისაზღვრა ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელებისა და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება. ამასთან, შენარჩუნდა სასამართლოს განსჯადობის, ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით მსჯავრის დადების აკრძალვის, კანონის უკუძალის, უდანაშაულობის პრეზუმფციისა და ბრალდებულის მიერ მოწმეთა თანაბარ პირობებში დაკითხვის მოთხოვნის უფლება.

1.1.1.6. დამოუკიდებლობის სხვა გარანტიების გათვალისწინება (ფინანსური გარანტიები, თვითმართვა და ადმინისტრირება, ფიქსირებული ხელფასები და ა.შ. (2017-2018))

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 იანვრის №1/65 გადაწყვეტილებით, დაწესდა რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატი. ამასთან, „საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის“ შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ამომწურავად განისაზღვრა დანამატის გაცემის შემთხვევები.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეიმუშავა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის ფიქსირებული ხელფასების დაწესებას, კერძოდ, თანამდებობრივი სარგოს გაზრდას თანამდებობრივ სარგოზე არსებული დანამატების ხარჯზე. კანონის პროექტი უახლოეს მომავალში გადაეგზავნება პარლამენტს განსახილველად.

1.1.1.7. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობის, სტატუსის, კომპეტენციის, დაკომპლექტების წესის და მისი ანგარიშვალდებულების განსაზღვრა (2017)

კონსტიტუციური კანონით ახლებურად დარეგულირდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესი. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარმოადგენს საერთო სასამართლოების სისტემის ორგანოს, რომელიც 15 წევრისგან შედგება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტს შეადგენენ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ მოსამართლეთაგან არჩეული წევრები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს, რომლებიც არ არიან არჩეული საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ და წევრს, რომელიც არ არის დანიშნული საქართველოს პრეზიდენტის მიერ, სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, არსებული წესისგან განსხვავებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრთაგან, ორგანული კანონით დადგენილი წესით ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო⁷.

წარმოდგენილი კონსტიტუციური კანონით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანგარიშვალდებულია საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს წინაშე. ცვლილებები ძალაში შედის საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

1.1.1.8. ვენეციის კომისიისგან მოსაზრების გამოთხოვა და ანალიზი საკონსტიტუციო პროექტის ცვლილებებზე (2017)

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის თაობაზე ვენეციის კომისიამ საბოლოო შეფასება გამოაქვეყნა⁸.

⁷ საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁸ ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნა (23.06.2017) ხელმისაწვდომი

აღნიშნულ შეფასებათა ნაწილი, მათ შორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა უკადოდ დანიშვნის წესის შემოღება და 2024 წლის 31 დეკემბრიდან მოსამართლეთა 3 წლის ვადით დანიშვნის გაუქმება, იქნა გაზიარებული საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებისას.

პროგრამა 1.1.2. – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნა

1.1.2.1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესის, შემადგენლობის, წევრების არჩევის/დანიშვნის კრიტერიუმებისა და პროცედურის განახლება (2017-2018)

იუსტიციის უმაღლესი საბჭო მუშაობს საბჭოს წევრების არჩევის/დანიშვნის კრიტერიუმებისა და პროცედურების, წევრების თანდათანობითი განახლების შესახებ ევროპული ქვეყნების პრაქტიკის კვლევაზე.

2018 წლის აპრილში, ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით განხორციელდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების სასწავლო ვიზიტი სლოვენიის რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, გამოცდილების გაზიარების მიზნით. ვიზიტის ფარგლებში, საბჭოს წევრები გაეცნენ სლოვენიაში მოსამართლეთა დანიშვნისა და შეფასების კრიტერიუმებს და პროცედურებს, დისციპლინური წარმოების წესებს და საბჭოს საქმიანობის სხვა მიმართულებებს.

1.1.2.2. საბჭოს წევრების თანდათანობითი განახლების მიზანშეწონილობის კვლევა და საჭიროებისამებრ ამ პრინციპის დანერგვა (ინსტიტუციური მეხსიერების განგრძობადობისთვის (2017-2018))

იხილეთ აქტივობა 1.1.2.1.

მია შემდეგ ვებგვერდზე: [http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdfid=CDL-AD\(2017\)023-e \[23/07/2018\]](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdfid=CDL-AD(2017)023-e [23/07/2018]).

პროგრამა 1.1.3. – სასამართლოს თვითმმართველობის განვითარება

1.1.3.2. სასამართლოსთან დაკავშირებული კანონმდებლობის განვითარების პროცესში მოსამართლეთა ჩართულობის მექანიზმის დახვეწა (2017)

სასამართლოსთან დაკავშირებული კანონმდებლობის განვითარების პროცესში მოსამართლეთა ჩართულობა უზრუნველყოფილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში და მოსამართლეებისგან წერილობითი შენიშვნების/კომენტარების მიღების მიზნით, საერთო სასამართლოების ინტრანეტზე შესაბამისი დოკუმენტების განთავსებით.

ამჟამად მიმდინარეობს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს დებულების სრულყოფა საბჭოს მიერ წერილობითი რეკომენდაციების შემუშავების, საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობისა და მონაწილეობითი პროცესების უზრუნველყოფის მიზნით⁹. პროექტით სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ენიჭება უფლებამოსილება, საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს წინადადებები და რეკომენდაციები, სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული კანონპროექტების თაობაზე.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სასამართლოსთან დაკავშირებული კანონმდებლობის განვითარების პროცესში მოსამართლეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მომზადდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნული პროექტი იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 21 მაისის სხდომაზე მიიღო¹⁰.

9 თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო თანამშრომლობს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან, უზრუნველყოფს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე მოსამართლეთა მოწვევას.

10 იხ. <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/188.pdf> [23/07/2018].

პროგრამა 1.1.4. – სასამართლოს საფინანსო-საბიუჯეტო დამოუკიდებლობის განმტკიცება

1.1.4.1. წინადადების შემუშავება, რომ სასამართლოს ბიუჯეტი თავისი ოდენობით არ შეიძლება იყოს წინა წლის ბიუჯეტზე ნაკლები (2017-2018)

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ამჟამად მოქმედი წესის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო სასამართლოებისათვის განკუთვნილი ხარჯების შემცირება წინა წლის შესაბამის მოცულობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობით¹¹.

2017 წლის ნოემბრის თვეში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივ საკითხთა სამმართველომ მოამზადა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განსახორციელებელი ცვლილების პროექტი, რომლითაც განისაზღვრა საერთო სასამართლოებისათვის განკუთვნილი ხარჯების შემცირების დაუშვებლობა წინა წლის შესაბამის მოცულობასთან შედარებით. სამუშაო ჯგუფმა განიხილა პროექტი და იგეგმება კონსულტაცია სახელმწიფო უწყებებთან ცვლილების ინიცირების მიზნით.

1.1.4.2. სასამართლოს ბიუჯეტის წინადადების შესახებ მოლაპარაკებების პროცედურაზე და ასევე სასამართლოს უფლებებზე, პირდაპირ წარუდგინოს პარლამენტს თავისი ბიუჯეტი, როდესაც მთავრობა უარს ამბობს გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე (2017-2018)

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ამჟამად მოქმედი წესის თანახმად, საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტის განხილვამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია,

¹¹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 67-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს მოსაზრებები საერთო სასამართლოებისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაფინანსების ნაწილის პროექტის თაობაზე¹².

2017 წლის ნოემბრის თვეში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივ საკითხთა სამმართველომ მოამზადა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განსახორციელებელი ცვლილების პროექტი, რომლითაც განისაზღვრა სასამართლოს უფლება, პირდაპირ წარუდგინოს პარლამენტს თავისი ბიუჯეტი, როცა მთავრობა უარს ამბობს გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. სამუშაო ჯგუფმა განიხილა პროექტი და იგეგმება კონსულტაცია სახელმწიფო უწყებებთან, ცვლილების ინიცირების მიზნით.

1.2. სტრატეგიული მიზანი	<i>ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა</i>
--------------------------------	--

პროგრამა 1.2.1. – მოსამართლის დანიშვნის სისტემის სრულყოფა

1.2.1.1. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისა და მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურის დახვეწის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა (2017)

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისა და მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმების დასადგენად, აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება¹³.

1.2.1.3. სკოლის მსმენელების, მოსამართლეობის კანდიდატებს შორის კონკურსის დროს გადაწყვეტილების დასაბუთების შესახებ წინადადების მომზადება (2017-2018)

სამუშაო ჯგუფმა 2017 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე განიხილა აღნიშნული საკითხი და გამოკვეთა ექსპერტის ჩართვის 12 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

13 ვინაიდან აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2017 წელი და ამ ვადაში ობიექტურად ვერ ესწრება მისი შესრულება, მიზანშეწონილია აქტივობის შესრულების ვადის გადაწევა.

საჭიროება. ევროპის საბჭოს პროექტის – „სასამართლოს რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ (შემდგომში – ევროპის საბჭოს პროექტი) მხარდაჭერით, ჩატარდა კვლევა, რომლის ფარგლებშიც ექსპერტმა შეისწავლა ევროპული ქვეყნების გამოცდილება და შეიმუშავა წინადადებები¹⁴. ამ ეტაპზე, სამუშაო ჯგუფში გრძელდება მუშაობა კვლევის შედეგების გათვალისწინებით არსებული წესის განახლების თაობაზე.

1.2.1.4. კანდიდატთა შეფასების დასაბუთების და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა (2017-2018)

კანდიდატის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი, რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დარეგულირდა: დადგინდა გასაჩივრების საფუძვლები, უფლებამოსილი ორგანო, სადაც ხდება გასაჩივრება, გასაჩივრების წესი და ვადა¹⁵. კანდიდატის შეფასების დასაბუთებასთან დაკავშირებით არსებული სირთულეების გათვალისწინებით, რაც კენჭისყრის ფარულობითაა გამოწვეული, მუშაობა გრძელდება.

პროგრამა 1.2.2. – მოსამართლეთა დაწინაურების სისტემის განვითარება

1.2.2.1. ექსპერტის მიერ ევროპული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა დაწინაურების განსხვავებული გზების თაობაზე და რეკომენდაციების შემუშავება (2017)

14 ალბერს ჰ., მოსამართლეების მიერ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების წესებისა და სტანდარტების გამოყენებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სამართლებრივი ანალიზი, ხელმისაწვდომია: <https://www.coe.int/en/web/tbilisi/-/support-to-the-judicial-reform-in-georgia-a-discussion-on-the-conflict-of-interest-rules-and-practices> [23/07/2018].

15 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 354 მუხლი.

მოსამართლეთა დაწინაურების სისტემის გაუმჯობესების მიზნით, USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით, უცხოელმა ექსპერტმა მოამზადა კვლევა საქართველოში მოსამართლეთა დაწინაურების შესახებ¹⁶. ექსპერტმა გააანალიზა მოსამართლეთა დაწინაურების შესახებ არსებული საუკეთესო საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკა, შეაფასა საქართველოში მოსამართლეთა დაწინაურების არსებული სისტემა და მისი მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები. კვლევის საფუძველზე, შემოთავაზებულია მოსამართლეთა დაწინაურების ოთხი მიდგომა. კერძოდ, დაწინაურება მაღალ სამოსამართლო თანამდებობაზე უნდა მოიცავდეს მოსამართლის საქმიანობის ფორმალიზებული შეფასების პროცესს ხარისხობრივ და რაოდენობრივ კრიტერიუმებზე დააყრდნობით. ამასთან, საჭიროა შეფასების საბჭოს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შეფასების, უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ინდიკატორების არსებობა.

1.2.2.2. მოსამართლის დაწინაურების ცხადი, გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული სისტემის შემუშავება (2017-2018)

როგორც აღინიშნა, USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით, ექსპერტის მიერ მომზადდა ანგარიში „საქართველოში მოსამართლეთა დაწინაურების შესახებ“¹⁷. აღნიშნული კვლევის გათვალისწინებით იგეგმება მოსამართლის დაწინაურების კრიტერიუმებისა და პროცედურების შემუშავება.

16 ბალარი ა., ანგარიში საქართველოში მოსამართლეთა დაწინაურების შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტი – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG), იანვარი, 2018.

17 ბალარი ა., ანგარიში საქართველოში მოსამართლეთა დაწინაურების შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტი – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG), იანვარი, 2018.

1.2.2.3. მოსამართლეთა მუდმივი პროფესიული განვითარების სისტემის მეთოდოლოგიის შექმნა, არჩევანის გაკეთება შეფასების ფორმალურ და არაფორმალურ სისტემებს შორის (2017-2018)

2017 წლის ნოემბერში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და უზენაესმა სასამართლომ, ევროპის საბჭოსა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ორგანიზებით, გამართეს სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც იმსჯელეს მოსამართლეთა შეფასების რაოდენობრივ სისტემაზე მოსამართლეთა საქმიანობის ხარისხობრივი შეფასების დამატების შესახებ.

ექსპერტთა მოსაზრებით, ხარისხობრივი კრიტერიუმების გარეშე, მოსამართლის საქმიანობის შეფასება სრულყოფილი ვერ იქნება. ხარისხობრივი კრიტერიუმების რაოდენობა ან მათი ხვედრითი წილი უნდა აღემატებოდეს რაოდენობრივი კრიტერიუმების რაოდენობას ან მათ ხვედრით წილს¹⁸. დამატებით, შესაძლოა რაოდენობრივი ინდიკატორების გამოყენებაც.

სამუშაო შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, შეიცვლება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ: მოსამართლეთა საქმიანობა შეფასდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმების მიხედვით. იგეგმება აღნიშნული წესის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განხილვა.

1.2.2.4. სასამართლოს თავმჯდომარეთა თანამდებობაზე გამწესების პროცედურის, ვადების და კომპეტენციის თაობაზე არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება (2017)

იუსტიციის უმაღლესი საბჭო უახლოეს მომავალში გეგმავს სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე გამწესების

18 ამ მოსაზრებას ადასტურებს ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) მე-17 მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, „შეფასება უნდა ემყარებოდეს ობიექტურ კრიტერიუმებს“.

პროცედურების, ვადებისა და კომპეტენციის თაობაზე საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლას, რეკომენდაციების შემუშავების მიზნით¹⁹.

1.2.2.5. ორგანულ კანონში მომზადებული ცვლილებების წარდგენა ვენეციის კომისიისთვის მოსაზრებების მისაღებად (2017)

აღნიშნული აქტივობის შესრულება დამოკიდებულია საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებაზე²⁰.

პროგრამა 1.2.3. – მოსამართლის შეუცვლელობის პრინციპის დაცვის უზრუნველყოფა

1.2.3.1. მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპის უზრუნველსაყოფად წინადადების შემუშავება (2017-2018)

კონსტიტუციური კანონით დადგინდა მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპი. კერძოდ, კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ საერთო სასამართლოს მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დასაშვებია მხოლოდ ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. სასამართლოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია არ შეიძლება გახდეს უკიდურეს შემთხვევით მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი²¹.

19 ვინაიდან აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2017 წელი და ამ ვადაში ობიექტურად ვერ ესწრება მისი შესრულება, მიზანშეწონილია აქტივობის შესრულების ვადის შესაბამისი ცვლილება.

20 ვინაიდან აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2017 წელი და ამ ვადაში ობიექტურად ვერ ესწრება მისი შესრულება, მიზანშეწონილია აქტივობის შესრულების ვადის შესაბამისი ცვლილება.

21 საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

1.2.3.2. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების დახვეწა (2017-2018)

საქართველოს პარლამენტსა და იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამზადებს სასამართლოსთან დაკავშირებულ საკანონმდებლო წინადადებებს, მათ შორის, ხვეწს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ორგანიზებით, 2017 წლის განმავლობაში გაიმართა 5 სამუშაო შეხვედრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საერთო სასამართლოების მოსამართლეებისა და სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებების მონაწილეობით. მათზე წარმოადგინეს ევროპის საბჭოს პროექტის მოწვეული ექსპერტის, გერჰარდ რაისნერის (ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) ყოფილი თავმჯდომარე) რეკომენდაციები/კომენტარები მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების თაობაზე. მონაწილეებმა ასევე განიხილეს USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით მოწვეული ამერიკელი ექსპერტის, ვიქტორია ჰენლის მიერ წარმოდგენილი პროექტი, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე (დეტალურად იხ. აქტივობა 2.1.1.).

პროგრამა 1.2.4. – ანაზღაურებისა და საპენსიო სისტემის გამართვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

1.2.4.1. მოსამართლეთა ანაზღაურებისა და საპენსიო საერთაშორისო მოდელების თაობაზე კვლევის განხორციელება (2017-2018)

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივ საკითხთა სამმართველო უზრუნველყოფს მოსამართლეთა ანაზღაურებისა და საპენსიო საერთაშორისო მოდელების თაობაზე

კვლევის ჩატარებას კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებების შემოთავაზების მიზნით.

1.3. სტრატეგიული მიზანი	<i>მოსამართლეთა მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა</i>
--------------------------------	---

პროგრამა 1.3.1. – მოსამართლეთა მიუკერძოებლობის გაანტიების უზრუნველყოფა კანონმდებლობით

1.3.1.1. კანდიდატის წარსული საქმიანობის შესახებ წინადადებების შემუშავება და იმ გარემოებების განსაზღვრა, რომლებიც შესაძლოა წარმოშობდეს ეჭვებს კანდიდატის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით (2017)

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ამჟამად მოქმედი წესის თანახმად, კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით მოსამართლეობის კანდიდატების შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიღების მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული მოიძიებს ინფორმაციას, რა დროსაც ის უფლებამოსილია დაუკავშირდეს მოსამართლეობის კანდიდატის რეკომენდატორებს, ყოფილ დამსაქმებლებსა და კოლეგებს, შესაბამისი სასწავლებლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებს, აგრეთვე იმ უწყებებს, სადაც შესაძლოა ინახებოდეს მონაცემები მოსამართლეობის კანდიდატის ნასამართლობის, ადმინისტრაციული და დისციპლინური დავების და დარღვევის ჩადენის შესახებ.

ამასთან, USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით მოწვეული ექსპერტი საკუთარ კვლევაში ყურადღებას ამახვილებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კონკურსის გამართვის ძირითად პრინციპებზე, მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ არსებული ფაქტების გადამოწმების პროცესის მიზნებსა და ამოცანებზე, ასევე ინფორმაციის შეგროვებისათვის საჭირო ღონისძი-

ებებზე²².

ზემოაღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადდა გადაწყვეტილების პროექტი მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესში ცვლილების შეტანის თაობაზე. კერძოდ, დამატებით დადგინდა გარემოებები, რომლებიც შესაძლოა წარმოშობდეს ეჭვებს კანდიდატის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით და განისაზღვრა, რომ დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ინფორმაცია სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიმდინარეობისას მოსამართლეობის კანდიდატის ქცევის შესახებ. აღნიშნული პროექტი იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 21 მაისის სხდომაზე მიიღო²³.

1.3.1.2. ინტერესთა კონფლიქტის წესების განახლება (2017-2018)

ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხები, რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დარეგულირდა: განისაზღვრა მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის გამართვისას მოსამართლეობის კანდიდატის უფლება, დასაბუთებული შუამდგომლობით მოითხოვოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის აცილება, თუ არსებობს ინტერესთა შეუთავსებლობა, კერძოდ, გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის საბჭოს ამ წევრის ობიექტურობას, დამოუკიდებლობას ან/და მიუკერძოებლობას²⁴.

ამასთან, 2018 წლის 28 მარტს, ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, მოენყო ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე ექ-

22 ბალანდი ტ., მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევის პროცედურა, USAID/PROLoG-ის მიერ დაფინანსებული კვლევა, 2017.

23 იბ. <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/189.pdf> [23/07/2018].

24 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 353 მუხლი.

სპერტის მიერ მომზადებული კვლევის პრეზენტაცია და რეკომენდაციების წარმოდგენა²⁵.

1.4. სტრატეგიული მიზანი	დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის დაცვა და გაგლენებისგან პრევენციის უზრუნველყოფა
--------------------------------	--

პროგრამა 1.4.1. – სასამართლო სისტემის შიგნით ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის დაცვის მექანიზმების გაძლიერება

1.4.1.1. მოსამართლისათვის ქმედითი მისაგებლის (legal remedy) უფლებისა და შესაბამისი პროცედურის შედარებითი კვლევა, მისი შემოღების საჭიროების განსაზღვრა (იმ შემთხვევაში თუ საფრთხე ემუქრება ან ირღვევა მოსამართლეთა დამოუკიდებლობა) და შესაბამისი შესწორებების შეტანა ორგანულ კანონში (2017)

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივ საკითხთა სამმართველო გეგმავს მოსამართლისათვის ქმედითი მისაგებლის (legal remedy) უფლების და შესაბამისი პროცედურის თაობაზე შედარებითი კვლევის ჩატარებას, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას²⁶.

25 ალბერს პ., მოსამართლეების მიერ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების წესებისა და სტანდარტების გამოყენებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სამართლებრივი ანალიზი, ხელმისაწვდომია: <https://www.coe.int/en/web/tbilisi/-/support-to-the-judicial-reform-in-georgia-a-discussion-on-the-conflict-of-interest-rules-and-practices> [23/07/2018].

26 ვინაიდან აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2017 წელი და ამ ვადაში ობიექტურად ვერ ესწრება მისი შესრულება, მიზანშეწონილია აქტივობის შესრულების ვადის შესაბამისი ცვლილება.

1.4.1.2. კვლევის ჩატარება, მოსამართლეთა მონაწილეობით, მატერიალური თუ საპროცესო კანონმდებლობის ნორმათა იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც ზღუდავს მოსამართლის მიხედულების ფარგლებს და არ იძლევა შინაგანი რწმენის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას (2017-2018)

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივ საკითხთა სამმართველო გეგმავს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევის ჩატარებას.

1.4.1.4. წინადადების მომზადება, რომელიც გაითვალისწინებს რეგიონის მოსამართლეების ჩართულობის გაზრდას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში (2017-2018)

იხ. 1.1.3.2 აქტივობა.

1.4.1.5. დონისძიებების გატარება, რომ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ კონფერენციებზე სისტემატურად მოიწვიონ რეგიონის მოსამართლეები (2017-2018)

იხ. 1.1.3.2 აქტივობა.

პროგრამა 1.4.2. – სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვა ზეგავლენისგან

1.4.2.1. სასამართლოს/მოსამართლის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს/საბჭოს წევრების დამოუკიდებლობის დარღვევის, მათ საქმიანობაში უკანონო ჩარევისა თუ ზეწოლის შემთხვევებზე რეაგირებისა და პასუხისმგებლობის სისტემის კვლევა და მისი შემოღების საჭიროების განსაზღვრა (2017)

ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, უცხოელმა ექსპერტებმა მოამზადეს სასამართლოს საქმიანობაში უკანონო ჩარევისა თუ ზეწოლის შემთხვევებზე ევროპის საბჭოს ფარგლებში არსებული სტანდარტების ანალიზი და რეკომენდა-

ციები²⁷, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებსა და შესაბამისი სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებს წარუდგინეს 2018 წლის 3-4 მაისს გამართულ სამუშაო შეხვედრაზე. კვლევაზე დაყრდნობით, სამუშაო ჯგუფი უახლოეს მომავალში იმსჯელებს სასამართლოს საქმიანობაში უკანონო ჩარევისა და ზენოლის შემთხვევებზე რეაგირებისა და პასუხისმგებლობის საჭიროებაზე.

1.4.2.2. „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ ინსტიტუტის დახვეწის საჭიროების კვლევა და საჭიროებისამებრ გაუმჯობესება (2017-2018)

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივ საკითხთა სამმართველო გეგმავს კვლევის ჩატარებას, რომლის ფარგლებშიც შეისწავლიან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ევროპული ქვეყნების გამოცდილებას, გააანალიზებენ სასამართლოში გამომხატვის თავისუფლებისა და დასაშვები კრიტიკის ფარგლების შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

პროგრამა 1.4.3. – საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაძლიერება, სასამართლოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ცნობიერებისა და კულტურის ამაღლების ხელშეწყობად

1.4.3.1. საზოგადოებასთან სასამართლოს ეფექტიანი კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება და ამოქმედება (2017)

27 არნაუდოვსკა ა., იუსტიციის უმაღლესი საბჭოების მიერ გარე ზენოლით გამოწვეულ წნეხთან გამკლავების საუკეთესო პრაქტიკული მაგალითები, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე; ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №18 დასკვნის შედარებითი ანალიზი, იანვარი, 2018; გისი ლ., მედია და სასამართლო ხელისუფლება საქართველოში, ანგარიში ევროპის საბჭოს შერჩეულ წევრ ქვეყნებში მედიისა და სასამართლო ხელისუფლების ურთიერთობის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და რეკომენდაციები, ევროპის საბჭოს სასამართლო რეფორმის მხარდაჭერის პროექტი, იანვარი, 2018.

აღნიშნულის შესახებ იხ. ქვემოთ, აქტივობა 2.4.2²⁸.

1.4.3.2. სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტის გაძლიერება (2017)

აღნიშნულის შესახებ იხ. ქვემოთ, აქტივობა 2.4.2²⁹.

1.4.3.3. საზოგადოების და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, მიმდინარე საქმეების გაშუქებასთან დაკავშირებით (2017)

აღნიშნულის შესახებ იხ. აქტივობა 2.4.2³⁰.

პროგრამა 1.4.4. – დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თვალსაჩინოების გაზრდა და დარღვევების პრევენცია

1.4.4.1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, გადაწყვეტილებებისა და ანგარიშების გამოქვეყნების პრაქტიკის დანერგვით (2017)

2018 წლის 20 იანვარს, საქართველოს მოსამართლეთა 22-ე კონფერენციაზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ყოველწლიური მოხსენება წარადგინეს. მოხსენება განთავსდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდებზე³¹.

28 ვინაიდან აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2017 წელი და ამ ვადაში ობიექტურად ვერ ესწრება მისი შესრულება, მიზანშეწონილია აქტივობის შესრულების ვადის შესაბამისი ცვლილება.

29 ვინაიდან აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2017 წელი და ამ ვადაში ობიექტურად ვერ ესწრება მისი შესრულება, მიზანშეწონილია აქტივობის შესრულების ვადის შესაბამისი ცვლილება.

30 ვინაიდან აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2017 წელი და ამ ვადაში ობიექტურად ვერ ესწრება მისი შესრულება, მიზანშეწონილია აქტივობის შესრულების ვადის შესაბამისი ცვლილება.

31 <http://www.supremecourt.ge/news/id/1570>, <http://hcoj.gov.ge/files/news/%E1%8>

აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები, ისევე როგორც სამუშაო ჯგუფის დღის წესრიგი და შემაჯამებელი ოქმები, სისტემატურად ქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

1.4.4.2. სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ამაღლებისათვის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება (2017-2018)

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდის (შემდგომში GIZ) მხარდაჭერით, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მონაწილეობით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების მეთოდოლოგიის, სტანდარტებისა და კრიტერიუმების საკითხებზე მუშაობს. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, დრებდენისა და ჰამბურგის სასამართლოს მოსამართლეთა საკონსულტაციო წინადადებებს მოსამართლეთა წარუდგენენ და გადაწყვეტილების დასაბუთების მეთოდოლოგიის თაობაზე გერმანიისა და საქართველოს გამოცდილებას განიხილავენ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო პრაქტიკის განზოგადების დეპარტამენტის, სტატისტიკის სექტორის და ანალიტიკური განყოფილებისა და ევროკავშირის პროექტის ერთობლივი ძალისხმევით, მომზადდა კვლევა სასამართლო გადაწყვეტილებებში (პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოები) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთების შესახებ.

1.4.4.3. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების პრაქტიკის დახვეწა (2017)

ამჟამად, დაპტრიხული გადაწყვეტილებების განთავსება ხდება info.court.ge-ზე, თუმცა აღნიშნული ვებგვერდი, სისწრა-

3%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%4%E1%83%91%E1%83%90.pdf [23/07/2018].

ფისა და მოხერხებულობის თვალსაზრისით, გამართულად არ მუშაობს. მას დღიურად დაახლოებით 1500-2000 მომხმარებელი იყენებს.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის თანახმად, აუცილებელია სამივე ინსტანციის სასამართლოს გაერთიანებული საძიებო სისტემის შექმნა, რომელიც სასამართლოში არსებული ყველა დაშტრიხული განაჩენის, საბოლოო დოკუმენტის, საჯარო შეტყობინებისა და სასამართლოში დანიშნული სხდომების მოძებნის შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

2018 წლის გაზაფხულზე, 4 დონორის (ევროპის საბჭო, ევროკავშირი, USAID/PROLOG, GIZ) ერთობლივი ინიციატივით, შეიქმნა კომპანია (ICT Business Council) IT აუდიტის განხორციელების მიზნით. კერძოდ, კომპანიის მიერ მიმდინარეობს ელექტრონული საქმისწარმოების ფუნქციონირების და შესაბამისი ტექნიკური პრობლემების დიაგნოსტიკა; სასამართლოში არსებული რესურსების (ადამიანური და მატერიალური, მათ შორის, ქსელური ინფრასტრუქტურა) შეფასება; საქმის ელექტრონული განაწილების სრულფასოვნად დანერგვისათვის არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება; სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობის უზრუნველყოფა ელექტრონული საქმის წარმოების პროგრამის სრულყოფილად ამუშავება/ამდგ/ამუშავების გარეშე.

2018 წლის ბოლომდე, საქართველოს უზენაესი სასამართლო info.court.ge-ს გამართულ მუშაობას საკუთარი რესურსით უზრუნველყოფს.

2. სტრატეგიული მიმართულება	ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა
2.1. სტრატეგიული მიზანი	<i>მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და ეთიკის ნორმების დახვეწა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად</i>

პროგრამა 2.1.1. – პროგრამები მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სახეებისა და საფუძვლების დახვეწა

2.1.1.1. სამუშაო ჯგუფის შექმნა მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საფუძვლების დახვეწისთვის წინადადებების მოსამზადებლად (2017)

2017 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღა, საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროკავშირი, ევროპის საბჭო, GIZ, USAID/PROLoG) მონაწილეობით. ჯგუფმა 2017 წელს გამართა 5 სამუშაო შეხვედრა, ხოლო 2018 წელს – 3, რომლებშიც მონაწილეობა ასევე მიიღეს დაინტერესებულმა მოსამართლეებმა და საერთაშორისო ექსპერტებმა.

2.1.1.2. საერთაშორისო ექსპერტის მიერ არსებული მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციების წარმოდგენა (2017)

დისციპლინური კანონმდებლობის სრულყოფასთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ფორმატში განხილულია ევროპის საბჭოს მოწვეული ექსპერტის, გერჰარდ რაისნერის (ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) ყოფილი თავმჯდომარე), USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით მოწვეული ექსპერტის – ვიქტორია ჰენლის, ევროკავშირის პროექტის ხელმძღვანელის – რენატა ვინტერისა და ამავე პროექტის ექ-

სპერტის, გაეროს სპეციალური ტრიბუნალის საერთაშორისო მოსამართლის, აგნეშკა მილატრის რეკომენდაციები. წარმოდგენილი მოსაზრებები ასახულია შიდასამუშაო დოკუმენტში, სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების სტრუქტურის შესაბამისად.

არსებულ ფორმატში ასევე დაიწყო საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის მიზნით³². შედეგად, ორგანული კანონის იერარქიის დონეზე მონესრიგდა მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან გათავისუფლების, დისციპლინური სამართლწარმოების პროცედურული საკითხები.

2.1.1.3. მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საფუძვლების დახვეწისთვის წინადადებების მომზადება (2017-2018)

საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ცალ-ცალკე შემუშავდა კონკრეტული საკანონმდებლო წინადადებები. სამუშაო ჯგუფის 2 შეხვედრის შედეგად, ორივე საკანონმდებლო წინადადება შეჭერდა. საბოლოოდ, შეიქმნა ერთიანი კანონპროექტი, სადაც ასახულია:

- სამართლებრივი დეფინიციები მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის არსის, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედების და ბრალის შესახებ³³.

32 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის №2/5/658 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

33 დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედება. განზრახ დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომლის ჩადენისას მოსამართლე აცნობიერებდა საკუთარი ქმედების მავნე შედეგის დადგომის შესაძლებლობას; გაუფრთხილებლობით დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომლის ჩადენისას მოსამართლე არ ითვალისწინებდა თავისი ქმედების მავნე შედეგის დად-

- მოსამართლის მიერ ჩადენილი დარღვევის მცირე მნიშვნელობის მქონე დარღვევად მიჩნევის პირობები, რაზეც მოსამართლეს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური სახდელი³⁴.
- მოსამართლის დისციპლინური გადაცდომების კონკრეტული ჩამონათვალი, ისე, რომ, ერთი მხრივ, მოსამართლისათვის განჭვრეტადი იყოს, თუ რა სახის ქმედებისათვის დააწესებს კანონი დისციპლინურ პასუხისმგებლობას, მეორე მხრივ კი, რეაგირების გარეშე არ დარჩეს ისეთი ქმედებები, რომლებიც, მართალია, არ არის ასახული ამ ჩამონათვალში, თუმცა აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან ეწინააღმდეგება საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს, რითაც ზიანი ადგება სასამართლოს ავტორიტეტს და მისდამი საზოგადოების ნდობას. კერძოდ:
 - ✓ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით;
 - ✓ სხვა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა საქმის შედეგზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით;
 - ✓ მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოხატვა სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეზე, რამაც შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს საქმის მიუკერძოებელ განხილვაზე; დისციპლინურ გადაცდომად არ მიიჩნევა საზოგადო-

გომის შესაძლებლობას, თუმცა – უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ის; მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ ბრალეული ქმედების ჩადენისთვის, ესე იგი – მხოლოდ მაშინ, თუ მას ობიექტურად შეეძლო და არ განუხორციელებია სათანადო ქმედება დისციპლინური გადაცდომის თავიდან ასაცილებლად.

34 დისციპლინურ გადაცდომად არ იქნება მიჩნეული ისეთი ქმედება, რომელსაც – თუმცა ფორმალურად შეიცავს კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, – მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდოდა მისი ჩადენისთვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

- ების ინფორმირების მიზნით საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებზე განმარტებების გაკეთება;
- ✓ მოსამართლის მიერ განსახილველი საქმის შედეგების წინასწარ გამჟღავნება, რაც არსებით გავლენას ახდენს საქმის მიუკერძოებელ განხილვაზე, გარდა საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა;
 - ✓ „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, ან მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა;
 - ✓ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა სახეზეა საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული ამკარა საფუძველი;
 - ✓ განვერიანება პოლიტიკურ გაერთიანებაში, პოლიტიკური საქმიანობა, საარჩევნო სუბიექტის საჯარო მხარდაჭერა ნებისმიერი ფორმით ან პოლიტიკური შეხედულების საჯარო გამოხატვა;
 - ✓ კორუფციული სამართალდარღვევები, ანუ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 5², მე-8, მე-10, მე-11, მე-13, 13⁴, 13⁵, 20⁴ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები;
 - ✓ მოსამართლის მიერ პირადი და ინტენსიური (მეგობრული, ოჯახური) ურთიერთობის დამყარება უშუალოდ მის მიერ განსახილველ საქმეში პროცესის მონაწილესთან, რაც იწვევს მოსამართლის მიკერძოებას ან/და პროცესის მონაწილისთვის უპირატესობის მინიჭებას;
 - ✓ სასამართლოს თათბირის საიდუმლოების გამჟღავნება;
 - ✓ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას სიტყვიერი ან სხვა ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედება ნებისმიერი პირის მიმართ ამა თუ იმ საფუძველით;
 - ✓ სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო

პროცესის მონაწილის მიერ სასამართლო პროცესის სხვა მონაწილის მიმართ სიტყვიერი ან სხვა ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედების რეაგირების გარეშე დატოვება;

- ✓ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით დარღვევა. დარღვევა არ ჩაითვლება არასაპატიოდ, თუ მოსამართლემ ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო მითითებული ვადის დაცვა;
- ✓ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა;
- ✓ საქმის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი თვითაცხლება;
- ✓ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ კანონისა და პროფესიული ეთიკის წესების შესაძლო დარღვევის ფაქტის რეაგირების გარეშე დატოვება, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია;
- ✓ მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედებები (ქცევები), ჩადენილი სასამართლოში ან მის გარეთ, რომლებიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს და ამით ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას.
- მოქმედი კანონით, მოსამართლეს შეიძლება დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა გადაცდომის ჩადენიდან 5 წლის განმავლობაში; მიჩნეულია, რომ ეს არის არაპროპორციულად დიდი ვადა, რის გამოც იგი შეიცვლება 3-წლიანი ვადით;
- მოქმედი კანონით გათვალისწინებულ დისციპლინურ სახდელებს ემატება ორი ახალი სახდელი:
- ✓ ხელფასის 5-დან 20%-მდე დაქვითვა არაუმეტეს 1 წლის განმავლობაში;

- ✓ სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება (ამჟამად ეს სანქცია ითვლება დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებად);

იზრდება დამოუკიდებელი ინსპექტორის დამოუკიდებლობის საკანონმდებლო გარანტიები: მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება არა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, არამედ – კანონით; ასევე, დაწესდება, რომ დამოუკიდებელ ინსპექტორს აქვს დამოუკიდებელი დოკუმენტბრუნვა. ამავდროულად, დამოუკიდებელი ინსპექტორის საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების დონის გაზრდისათვის, მას დაეკისრება ვალდებულება, 6 თვეში ერთხელ პროაქტიულად, თავისი სამსახურის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს ანგარიში საკუთარი საქმიანობის შესახებ.

პროგრამა 2.1.2. – სამოსამართლო ეთიკის წესების დახვეწა

2.1.2.1 ეთიკის მოქმედი წესებისა და პრაქტიკის ანალიზი (2017)

დღეისათვის, საქართველოში მოქმედებს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ 2007 წელს დამტკიცებული „საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები“, რაც განახლებას საჭიროებს. სამოსამართლო ეთიკის წესების ე.წ. ბანგალორის პრინციპებთან სრული ჰარმონიზაციისათვის, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაიწყო გარკვეული აქტივობების განხორციელება, მათ შორის, პრაქტიკაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირების მიზნით, 2008-2017 წლებში არსებული დისციპლინური სამართალწარმოების ანალიზი. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2017 წელს მომზადდა განახლებული სამოსამართლო ეთიკის წესების პროექტი, რომლის განხილვაც სამუშაო ჯგუფის ფორმატში იგეგმება. USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით, უახლოეს მომავალში იგეგმება საერთაშორისო

სო სტანდარტების შესაბამისი ეთიკის კოდექსის შემუშავება.

პროექტი ასევე წარედგინება მოსამართლეებს, დამოუკიდებელ ინსპექტორს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს. საბოლოო ფორმით, იგი დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას.

2.1.2.2. ეთიკის წესების განახლება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (2017-2018)

იხილეთ 2.1.2.1 აქტივობა.

2.2. სტრატეგიული მიზანი	სამოსამართლო საქმიანობაში გადაცდომებისა და სისტემაში კორუფციის პრევენცია
--------------------------------	---

პროგრამა 2.2.1. – დისციპლინური გადაცდომების პრევენცია

2.2.1.1. წლის მანძილზე საჩივრების, დისციპლინური გადაცდომების განმზოგადებელი (სტატისტიკური) ანგარიშის წარმოების პრაქტიკის გაუმჯობესება (2017)

დისციპლინური ორგანოს მუშაობის გამჭვირვალობის მიზნით, 2018 წლის 20 ივნისს საზოგადოებას პირველად წარედგინა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის 6-თვიანი ანგარიში, რომელიც მოიცავდა 2017-2018 წლებში საჩივართა განზოგადების შედეგებსა და დისციპლინურ სტატისტიკურ ინფორმაციას³⁵. აღსანიშნავია, რომ სტატისტიკური მონაცემები, დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობის გათავალისწინებით, მაქსიმალურად მრავალმხრივია. იგი შეიცავს ინფორმაციას საჩივრებში მითითებული დისციპლინური გადაცდომის სახეების, მოსამართლეების, საქმეთა კატეგორიის მიხედვით საჩივრების ოდენობის, შედეგებისა და ა.შ. თაობაზე.³⁶

35 ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებგვერდზე: <http://www.independent-inspector.ge/News/ReadMore/12> [23/07/2018].

36 ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებგვერდზე: <http://www.independent-inspector.ge/Legislation/Decision/17> [23/07/2018].

2.2.1.4. მოსამართლეთათვის კონფიდენციალური კონსულტაციის მექანიზმის შექმნა და დანერგვა (2017-2018)

2017 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტმა ჩაატარა კვლევა ევროპის რამდენიმე ქვეყანაში მსგავსი მექანიზმის ფუნქციონირების თაობაზე. ამ ეტაპზე, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, უცხოელი ექსპერტი მუშაობს კონკრეტული რეკომენდაციების მომზადებაზე, საქართველოში ანალოგიური მექანიზმის შექმნის მიზნით.

პროგრამა 2.2.2. – სისტემაში კორუფციის შემთხვევების პრევენცია

2.2.2.1. დეკლარაციების შევსების ახალი ინსტრუქციისა და ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის გაცნობა მოსამართლეებთან, საჯარო სამსახურის ბიუროსთან კოორდინაციით (2017-2018)

ამ აქტივობის განხორციელება იგეგმება 2018 წელს.

2.2.2.2. კორუფციის აღქმისა და რისკების შეფასების ანალიზი საერთო სასამართლოების სისტემაში (2017)

ამ აქტივობის განხორციელება იგეგმება 2018 წელს.

2.2.2.3. კორუფციის აღმოფხვრის თაობაზე სასწავლო მოდულის დამუშავება და დანერგვა მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთათვის (2017-2018)

ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ შეიმუშავა „კორუფციის საქმეების ეფექტიანი განხილვის“ სასწავლო მოდული – მოსამართლის მორალის, ეთიკისა და კეთილსინდისიერების საკითხებთან მიმართებით და, ასევე, სხვა სასწავლო მოდულები, რომლებიც მოიცავდა „სამოსამართლო ეთიკის“ საბაზისო და გაღრმავებით კურსებს. ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების ჩართულობით, სას-

წავლო მოდულების ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო და პირველი ინსტანციის საქალაქო/რაიონული სასამართლოების მოსამართლეებმა, ასევე, სასამართლოს მოხელეებმა.

№	ტრენინგის სახელწოდება	ჩატარებული ტრენინგის რაოდენობა	სამიზნე ჯგუფი	მონაწილეთა რაოდენობა
1	კორუფციასთან დაკავშირებულ საქმეთა ეფექტიანი განხილვა	3	მოსამართლეები	38
2	სამოსამართლო ეთიკის სიღრმისეული კურსი	1	მოსამართლეები	13
3	სასამართლოს მოხელეთა ეთიკის წესები	1	მოხელეები	20
4	სამოსამართლო ეთიკის საბაზისო კურსი	1	მოსამართლეები	11

2.3. სტრატეგიული მიზანი	<i>მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა</i>
--------------------------------	---

პროგრამა 2.3.1. – დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის დახვეწა

2.3.1.1. არსებული დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გაუმჯობესება, საერთაშორისო სტანდარტების

მიხედვით, სამუშაო ჯგუფის ფარგლებში (ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მოსაზრება No.3, GRECO-ს რეკომენდაციების გათვალისწინება (შენწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება, საჩივრის ავტორისათვის შეტყობინება (2017-2018))

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მყარი გარანტიების შექმნის აუცილებლობიდან გამომდინარე, მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში, 2017 წლის 8 თებერვალს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. ცვლილებების საფუძველზე უმეტესწილად გაზიარებულია საქართველოს შესახებ „კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის“ (GRECO) შეფასების მეოთხე რაუნდის ანგარიშის რეკომენდაციები.

- მოსამართლეს უფლება აქვს, გაასაჯაროს დისციპლინური საქმისწარმოება³⁷.
- დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილება მიენიჭა მხოლოდ დამოუკიდებელ ინსპექტორს³⁸.

- დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მოსამართლეთა დაცვის დამატებითი გარანტიებია გათვალისწინებული: დადგინდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო სხდომაზე, დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის საკითხის განხილვისას, მოსამართლის მოწვევის აუცილებლობა; სავალდებულო გახდა დისციპლინური სამართალწარმოების თაობაზე მოსამართლის ინფორმირება; დისციპლინური საქმის გამოკვლევის ეტაპზე, მოსამართლეს შეუძლია ისარგებლოს დამცველის დახმარებით; მოსამართლის

37 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 754 -ე მუხლი.

38 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 756 -ე მუხლი.

თანამდებობიდან გათავისუფლება განისაზღვრა, როგორც უკიდურესი ღონისძიება და იგი გამოიყენება განსაკუთრებულ შემთხვევებში³⁹.

- უზრუნველყოფილია დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის მეტი გამჭვირვალობა⁴⁰.

- დაზუსტდა საბჭოს გადაწყვეტილების მიღების პროცედურებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზები⁴¹.

2018 წლის 20 აპრილს განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში⁴². შედეგად, ორგანული კანონის იერარქიის დონეზე მოწესრიგდა მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან გათავისუფლების, დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურული საკითხები.

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების დაზუსტების, სამოსამართლო ეთიკის წესების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით განახლების საკითხები და, ზოგადად, დისციპლინური სამართალწარმოების მაქ-

39 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 7515, 755, 7510, 7550 მუხლები.

40 მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე. ასევე, სადისციპლინო კოლეჯისა და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები, მოსამართლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე (თუ თავად მოსამართლემ არ მოითხოვა დისციპლინური სამართალწარმოების გასაჩარობა), ქვეყნდება ოფიციალურ ვებგვერდებზე, ხოლო გადაწყვეტილება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, ქვეყნდება სრულად.

41 დადგინდა საბჭოს მხრიდან დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა; დისციპლინურ საქმეებზე, სადაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას ხმათა სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება.

42 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის №2/5/658 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

სიმაღური ოპტიმიზაცია კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება. ამ კუთხით, მნიშვნელოვანი რეფორმა მიმდინარეობს ინსტიტუციურ დონეზე, სასამართლო სისტემის ფარგლებში (იხ. 2.1.1 და 2.1.2 აქტივობები).

2.3.1.4. ინსპექტორის ინსტიტუტის ამოქმედება (2017)

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, კონკურსის შედეგად, 2017 წლის 20 ნოემბერს დამოუკიდებელი ინსპექტორი შეარჩია⁴³. დღეისათვის დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური დაკომპლექტებულია შვიდი კონსულტანტით და სრულფასოვნად ასრულებს მოქმედი კანონმდებლობით მასზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს.

პროგრამა 2.3.2. – სამოსამართლო საქმიანობაში გადაცდომების გამოვლენის ქმედითი მექანიზმის განვითარება

2.3.2.1. საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება სამოსამართლო ეთიკის წესებზე, საჩივრის წარდგენის უფლებებზე ცნობიერების გასაზრდელად (2017-2018)

მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირის საჩივარი. ინტერესის შემთხვევაში, ყველას აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურასთან დაკავშირებით და წარადგინოს საჩივარი. დისციპლინური კანონმდებლობა, დისციპლინური საჩივრის ფორმა და მისი შევსების ინსტრუქცია განთავსებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე⁴⁴. დისციპლინური საჩივრით მიმართვა შესაძლებელია როგორც ნაბეჭდი საჩივრის წარდგენის მეშვეობით,

43 იხ. <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/312.pdf> [23/07/2018].

44 ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებგვერდზე: <http://hcoj.gov.ge/ge/distsiplinuri-samartaltsarmoeba> [23/07/2018].

ისე ელექტრონულად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის გამოყენებით. საჩივრის წარმოდგენის კიდევ უფრო მეტად ხელმისაწვდომობისთვის, სასამართლოებში განთავსებულია საჩივრის ყუთები.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდისგან დამოუკიდებლად, ევროპის საბჭოს პროექტის დახმარებით, შეიქმნა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ვებგვერდი⁴⁵, სადაც განთავსებულია დისციპლინური საჩივრის ფორმა და მისი შევსების ინსტრუქცია⁴⁶, აგრეთვე დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია⁴⁷.

<p>2.4. სტრატეგიული მიზანი</p>	<p><i>საზოგადოების წინაშე სასამართლო სისტემის დიალობის უზრუნველყოფა და ანგარიშგაღებულების აღქმის გაძლიერება</i></p>
---------------------------------------	---

პროგრამა 2.4.1. – სტატისტიკური ფორმებისა და ანალიტიკური ანგარიშების და მათი გავრცელების მექანიზმის დახვეწა

2.4.1.1. სტატისტიკის ერთგვაროვანი წარმოების მეთოდოლოგიის შემუშავება (სასამართლო სისტემის ყველა ინსტანციისთვის და ინსტიტუციისთვის) და დანერგვა ვებგვერდებზე და კომუნიკაციის სხვა არხებში (2017-2018)

სასამართლო სტატისტიკის გაუმჯობესების საკითხთან დაკავშირებით, 2017 წლის ივლისში, ევროკავშირის პროექტის ფარგლებში მოწვეული იყო სლოვენელი ექსპერტი, რადობრეზოვარი. ერთკვირიანი მისიის ფარგლებში, მან არსებუ-

45 ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებგვერდზე: <http://independent-inspector.ge/> [23/07/2018].

46 ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებგვერდზე: <http://independent-inspector.ge/Complaint> [23/07/2018].

47 ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებგვერდზე: <http://independent-inspector.ge/About/Work/16> [23/07/2018].

ლი მდგომარეობა შეაფასა. გაიმართა სამუშაო შეხვედრა საერთო სასამართლოების სისტემაში სტატისტიკის წარმოებაზე პასუხისმგებელი რგოლების წარმომადგენლებს შორის, შეფასდა მოქმედი ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა და ის პარალელური ელექტრონული რეესტრები სასამართლო სისტემაში, საიდანაც ამჟამად სასამართლო სტატისტიკის მონაცემები მიიღება. ექსპერტმა შეიმუშავა კონკრეტული რეკომენდაციები, რომლის საფუძველზეც იგეგმება სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. ამჟამად, შექმნილია საერთო სასამართლოებში მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების სრული ნუსხა, ინსტანციების მიხედვით, და მიმდინარეობს ფორმების გადახედვა, მათში გარკვეული ცვლილებების შეტანა, მონაცემების დაზუსტება, მენეჯერულ დონეზე აღნიშნულ ფორმებში არსებული ინფორმაციის საჭიროების დადგენა, რის შემდეგაც, დამტკიცდება სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოწვევით, 2017 წლის 19-20 სექტემბერს, საქართველოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) შეფასების მისია ეწვია. დელეგაციის ვიზიტის მიზანი იყო მართლმსაჯულების სისტემაში მონაცემების შეგროვების სანდოობის გაზრდის უზრუნველყოფა და მონაცემების შეგროვების ეფექტური შიდა მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა. 2018 წელს ასევე დაგეგმილია სტატისტიკური ანალიტიკური ანგარიშების მომზადების ერთიანი მეთოდოლოგიის დადგენა, მათ შორის, სასამართლო სისტემის მენეჯმენტში მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) ინდიკატორების ფართოდ დანერგვის მიზნით.

2.4.1.3. საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკის ანალიზი და დახვეწა (2017-2018)

გასულ წლებში სასამართლო სისტემაში ამოქმედდა ელექტრონული გამჭვირვალობისა და ინფორმაციის პროაქტიული

გამოქვეყნების მექანიზმები და დაინერგა ელექტრონული კომუნიკაციის პლატფორმა. პლატფორმის ინტეგრირებით, საზოგადოებას მიეცა საშუალება, დაამყაროს პირდაპირი ინტერაქციული კავშირი დაწესებულების პასუხისმგებელ პირებთან, მოითხოვოს და მიიღოს საჯარო ინფორმაცია ელექტრონულად⁴⁸.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის, სასამართლოების (საბჭოს) ოფიციალურ ვებგვერდებზე ასევე მოცემულია:

- განმარტებები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ძირითად პროცედურებზე;

- პროცედურის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები;


- ინფორმაციები – სასამართლოს საკადრო უზრუნველყოფის, სასამართლოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო პრივატიზების, სასამართლოს დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ⁴⁹.

საჯარო ინფორმაციაზე წვდომის შეფასებისთვის, მაგალითისთვის, თუ ავიღებთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკას, ირკვევა, რომ 2017 წელთან მიმართებით გაზრდილია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მიმართვიანობა, თუმცა, წინა წლებისგან განსხვავებით, შემცირებულია დაუკმაყოფილებელი განცხადებების პროცენტული მაჩვენებელი. კერძოდ, შემოსული 777 განცხადებიდან, არ დაკმაყოფილდა მხოლოდ 2.9%⁵⁰.

48 იხ. ინფორმაცია შემდეგ ვებგვერდზე: <http://service.court.ge/public/23/07/2018>].

49 მაგალითისთვის, იხ: <http://hcoj.gov.ge/ge/public-info>; <http://www.supremecourt.ge/publicinformation/> [23/07/2018].

50 იხ. დეტალური ინფორმაცია, განცხადებათა დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლებზე: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2.5-angarishi-2017.pdf> [23/07/2018].



ზემოთქმულთან ერთად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ასევე გეგმავს თანამშრომლობას საკითხზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

2.4.1.5. საერთო სასამართლოების და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წლიური ანგარიშების ვებგვერდზე განთავსებისა და გავრცელების პროექტის დანერგვა (მათ შორის, ფინანსების თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საზოგადოებისათვის (2017-2018))

პროექტულად გამოქვეყნდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის 2013-2017 წლების საქმიანობის ანგარიში⁵¹, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს 2017 წლის საქმიანობის ერთობლივი ანგარიში⁵². ამავდროულად, დანერგილია თითოეული სასამართლოს საქმიანობის წლიური სტატისტიკური მონაცემების პროექტიული გამოქვეყნება⁵³; ასევე, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ვებგვერდზე ღია და მარტივად მოძიებ-

51 ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებგვერდზე: <http://hcoj.gov.ge/files/news/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%202013%20-%202017.pdf> [23/07/2018].

52 ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებგვერდზე: <http://www.supremecourt.ge/news/id/1573> [23/07/2018].

53 ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებგვერდზე: http://www.court.ge/geo_courts [23/07/2018].

ადია საერთო სასამართლოს დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ ინფორმაცია⁵⁴. ანალოგიური ინფორმაცია საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, ასევე ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდებზე⁵⁵.

პროგრამა 2.4.2. – საზოგადოებასთან კომუნიკაციის ეფექტიანი მექანიზმის ამოქმედება

2.4.2.1. კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება (2017)

ევროკავშირის პროექტის ადგილობრივი ექსპერტის მხარდაჭერით მომზადდა სასამართლოს სისტემის საკომუნიკაციო სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები, რომელშიც ასახულია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების სტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური სრულყოფის საკითხი⁵⁶. კერძოდ, შეფასდა არსებული მდგომარეობა, განხილულ იქნა შიდა და გარე კომუნიკაციის საკითხები, გამოვლინდა ამ მიმართებით არსებული სუსტი და ძლიერი მხარეები (სვოტ ანალიზი), რის საფუძველზეც დაიგეგმა სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები. დოკუმენტი განსაზღვრავს სასამართლო სისტემის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების სტრუქტურულ ჩარჩოს, თვითშეფასებას, მისიას, სტრატეგიულ მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს. სასამართლო კომუნიკაციის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დოკუმენტზე მუშაობის დასრულება დაგეგმილია 2018 წელს.

54 ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებგვერდზე: <http://ccd.court.ge/public/23/07/2018>.

55 ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებგვერდებზე: <http://hcoj.gov.ge/public-info>, <http://www.supremecourt.ge/publicinformation/> [23/07/2018].

56 ახალკაცი ქ., სასამართლო სისტემის კომუნიკაციის ძირითადი მიმართულებები, EU4Justice ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტი, 2018.

2.4.2.2. სასამართლო მოხელეებისთვის არსებული კომუნიკაციის სტანდარტის გადახედვა და ამოქმედება (2017)

აღნიშნული აქტივობის განხორციელება იგეგმება 2018 წელს.

2.4.2.3. სპიკერ-მოსამართლეებისთვის ტრენინგების ორგანიზება (2017-2018)

ევროკავშირის პროექტის ფარგლებში, 2018 წლის ივლისის თვეში იგეგმება სპიკერ-მოსამართლეთა ტრენინგები, ეფექტური კომუნიკაციის თემაზე. 2018 წელს, ასევე დაგეგმილია დამატებითი ტრენინგების ორგანიზებაც.

პროგრამა 2.4.3. – საზოგადოების ნდობის შეფასება მართლმსაჯულების და სასამართლო სისტემის მიმართ

2.4.3.2. კვლევის შედეგების საფუძველზე პოლიტიკის/სტრატეგიის შემუშავება (2017-2018)

აღნიშნული აქტივობის განხორციელება იგეგმება 2018 წელს.

3. სტრატეგიული მიმართულება	ხარისხიანი მართლმსაჯულებისა და პროფესიონალიზმის უზრუნველყოფა
3.1. სტრატეგიული მიზანი	საუკეთესო პოტენციალის მქონე მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეების მოზიდვა და შერჩევა

პროგრამა 3.1.1. – საუკეთესო პოტენციალის მქონე კადრების დასასაქმებლად შესაბამისი წინაპირობების შექმნა

3.1.1.1. საუკეთესო პოტენციალის მქონე კადრების დასაქმების ხელშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება (2017-2018)

2017 წლის 16 ოქტომბრის სხდომაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განიხილა საუკეთესო პოტენციალის

მქონე კადრების დასაქმების ხელშემშლელი გარემოებების შე-
სახებ მოხსენება და იმსჯელა გადაწყვეტის შესახებ. ამ მიზნით, 2018 წლის 14-17 მარტს, საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს წევრები და იუსტიციის უმაღლესი სკოლის
დამოუკიდებელი საბჭოს წევრი, ევროკავშირის პროექტის
ფარგლებში, სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ საფრანგეთში.
ვიზიტის მონაწილეები გაეცნენ საფრანგეთის მართლმსაჯუ-
ლების ეროვნული სკოლის საბაზისო და განგრძობადი სწავ-
ლების მეთოდებს, ჩარიცხვის პროცედურებსა და სტაჟირების
სისტემას. აღნიშნული ვიზიტის შედეგად, სამუშაო ჯგუფის მიერ
განისაზღვრა, რომ ცვლილებები უნდა განხორციელდეს „სა-
ჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „იუსტი-
ციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში. ამ-
ასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორ-
მა წარმოადგენს საქართველოს პარლამენტთან არსებული
პლატფორმის მიერ გამოყოფილი რეფორმის ერთ-ერთ მნიშ-
ვნელოვან მიმართულებას.

საუკეთესო პოტენციალის მქონე კადრების მოზიდვისა და
წახალისების მიზნით, პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზა-
ციების მხარდაჭერით, 2018 წლის თებერვალში, საერთო სასა-
მართლოებიდან შერჩეული მოსამართლის თანაშემწეებისა და
ანალიტიკური სამსახურების წარმომადგენლების ცოდნის და
უნარების განვითარების მიზნით, მოეწყო მართლმსაჯულების
ზამთრის სკოლა. ამასთან, 2018 წლის ივლისის ბოლოს იგეგ-
მება მართლმსაჯულების ზაფხულის სკოლა.

3.1.1.3. საღამოს სწავლებისა ან/და სხვა ალტერნატიული სწავლების პროგრამის მიზანშეწონილობის დადგენა (2017- 2018)

2017 წლის სექტემბრიდან საქართველოს იუსტიციის უმაღ-
ლეს სკოლაში ხორციელდება ევროკავშირის მიერ მხარდა-
ჭერილი პროექტი – „სამოსამართლო სწავლების ხელშეწყო-

ბა Twinning-ის პროექტის მეშვეობით“ (შემდგომში Twinning-ის პროექტი). მისი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია დისტანციური სწავლების პროგრამების შემუშავება, რა მიმართულებითაც განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- 2017 წლის 10 ნოემბერს, ლატვიელმა ექსპერტმა უდვინს პავულსმა და ხორვატმა მოსამართლემ, ექსპერტმა ივა ივანისევიჩი მოსტოვანმა იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებს გააცნეს დისტანციური სწავლების მიმართულებით არსებული საუკეთესო გამოცდილება სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით და წარმოადგინეს რეკომენდაციები ელექტრონული სწავლების დანერგვასთან დაკავშირებით;

- 2018 წლის მარტში განხორციელდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტი ხორვატიის სამოსამართლო აკადემიაში, დისტანციური სწავლების პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის მიმართულებით გამოცდილების გაზიარების მიზნით;

- 2018 წლის მარტში განხორციელდა ხორვატი და ლატვიელი ექსპერტების ვიზიტი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. ვიზიტის ფარგლებში მომზადდა საჭიროებების ანალიზი იმ თემების იდენტიფიცირების მიზნით, რომელზეც შემუშავდება დისტანციური სწავლების პროგრამები, ასევე შემუშავდა დისტანციური სწავლების პლატფორმისთვის საჭირო ტექნიკური მახასიათებლების მონახაზი;

- 2018 წლის მარტში, ფრანგმა და ლატვიელმა ექსპერტებმა გააანალიზეს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სამოსამართლო კანდიდატების მომზადების არსებული პროგრამა და შეიმუშავეს შესაბამისი რეკომენდაციები;

- 2018 წლის ივნისში ხორვატმა ექსპერტებმა იუსტიციის უმაღლესი სკოლის თანამშრომლებისთვის ჩაატარეს ტრენინგი დისტანციური სწავლების მოდულის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებით.

Twinning-ის პროექტის ფარგლებში, საღამოს სწავლებასთან

დაკავშირებით განხორციელებული პირველადი მოკვლევის შედეგად, გამოვლინდა, რომ მსგავსი პრაქტიკა ევროპის მასშტაბით არ არსებობს. ევროპის სამოსამართლო სწავლების ქსელის (EJTN) გენერალურ ასამბლეაზე 2016 წელს დამტკიცებული ერთ-ერთი პრინციპის თანახმად, სწავლება მოსამართლის ჩვეული სამუშაო ცხოვრების ნაწილია და მოსამართლემ ის სამუშაო საათების ფარგლებში უნდა გაიაროს.

Twinning-ის პროექტის ფარგლებში, იუსტიციის უმაღლესი სკოლის სამოსამართლო კანდიდატების მომზადების პროგრამის განახლება დაგეგმილია 2018 წლის მეორე ნახევარში. მომზადების პროგრამის განახლების დაწყებისას, სამუშაო ჯგუფი საღამოს სწავლების მიზანშეწონილობაზეც იმსჯელებს.

3.1.1.4 მოსამართლეობის კანდიდატთა სარეზერვო სიის შექმნა (2017-2018)

მესამე სამუშაო ჯგუფმა შექმნა მოსამართლეობის კანდიდატთა სარეზერვო სია⁵⁷, რომლის პირველადი ვერსია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გაცნობისათვის 2018 წლის 4 ივნისის სხდომაზე წარედგინა. საკითხის განხილვა მოსამართლეობის კანდიდატთა სარეზერვო სიის სრულყოფის მიზნით გადაიდო.

პროგრამა 3.1.2. – სტუდენტებში მოსამართლისა და სასამართლო მოხელის პროფესიის პოპულარიზაცია

3.1.2.1. პერიოდული შეხვედრების გამართვა სასამართლო სისტემაში არსებული პროფესიების შესახებ (2017)

სასამართლო სისტემაში არსებული პროფესიების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, რაიონულმა,

57 აღნიშნული სიის არსებობა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ ავალდებულებს კონკრეტული პირის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებას. ამასთან, მოსამართლეთა სარეზერვო სიაში შესული პირები არ ირიცხებიან საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვში.

საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა სკოლის მოსწავლეებთან არაერთი შეხვედრა/ტური გამართეს. შეხვედრებს ესწრებოდნენ როგორც სასამართლო აპარატის მოხელეები, ისე მოსამართლეები. სამართლით დაინტერესებულ სკოლის მოსწავლეებსა და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ეწვიონ სასამართლოს, დასვან შეკითხვები და აქტიურად ჩაერთონ დისკუსიაში, მოისმინონ პრეზენტაცია სასამართლო სისტემის, მისი ფუნქციონირებისა და მოსამართლის როლის შესახებ, ხოლო ტურის ბოლოს დაათვალიერონ სასამართლოს სხდომის დარბაზები. სტატისტიკისათვის იხ. ცხრილი:

სასამართლო	მონაწილე პირი	რაოდენობა	
		2017 წელი	2018 წელი
საქართველოს უზენაესი სასამართლო	სტუდენტები, სხვადასხვა ორგანიზაციის იურისტი სტაჟიორები	22 იმიტირებული პროცესი	16 იმიტირებული პროცესი
თბილისის სააპელაციო სასამართლო	იმიტირებული პროცესი – სტუდენტები, სასამართლოს ტურის პროექტის ფარგლებში – სკოლის მოსწავლეები და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები	18-მდე იმიტირებული პროცესი	16 იმიტირებული პროცესი
ქუთაისის საქალაქო სასამართლო	სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები	1 იმიტირებული პროცესი 6 გაცნობითი ტური მოსწავლეთათვის	1 იმიტირებული პროცესი 1 გაცნობითი ტური მოსწავლეთათვის
თბილისის საქალაქო სასამართლო	სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები	100-მდე იმიტირებული პროცესი	36 იმიტირებული პროცესი 5 გაცნობითი ტური მოსწავლეთათვის

ზუგდიდის რაიონული სასამართლო	საჯარო სკოლის მე-9 – მე-12 კლასის მოსწავლეები	6 იმითირებული პროცესი	-
ქუთაისის საქალაქო სასამართლო	იურიდიული კლინიკების სტაჟიორები, სკოლის მოსწავლეები	3 იმითირებული პროცესი	2 იმითირებული პროცესი
ახალციხის რაიონული სასამართლო	სტუდენტები, სასამართლოს სტაჟიორები, სკოლის მოსწავლეები	9 იმითირებული პროცესი	7 იმითირებული პროცესი
სამტრედიის რაიონული სასამართლო		1 იმითირებული პროცესი	
გორის რაიონული სასამართლო	სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები	5 იმითირებული პროცესი	2 იმითირებული პროცესი
თელავის რაიონული სასამართლო	სკოლის მოსწავლეები	-	2 იმითირებული პროცესი
ფოთის საქალაქო სასამართლო	სკოლის მოსწავლეები	-	2 იმითირებული პროცესი
ხაშურის რაიონული სასამართლო	სკოლის მოსწავლეები	-	1 იმითირებული პროცესი
სენაკის რაიონული სასამართლო	სკოლის მოსწავლეები	-	1 იმითირებული პროცესი

3.1.2.2. იმითირებული სასამართლო პროცესების ორგანიზება (სხვადასხვა უნივერსიტეტებში და სასამართლოებში მოსამართლეების ჩართულობით (2017))

იხ. ცხრილი 3.1.2.1 აქტივობაში.

3.1.2.3. დასაქმების ფორუმებზე სასამართლოს სისტემის მონაწილეობა (2017)

საქართველოს უნივერსიტეტთან, თავისუფალ უნივერსიტეტსა და კავკასიის უნივერსიტეტთან 2017 წელს მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, 2018 წლისათვის დაიგეგმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საერთო სასამარ-

თლოების წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობა უმაღლესი სასწავლებლების დასაქმების ფორუმებში.

3.1.2.4. სტაჟირების ინსტიტუტის განვითარება (2017-2018)

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 18 სექტემბრის №1/251 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოებში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესი. აღნიშნული წესის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოში მოწყობილი სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის შედეგად, 2017 წლიდან 2018 წლის ივნისის ჩათვლით მიღებულია 242 სტაჟიორი. თბილისის საქალაქო სასამართლო, სტაჟირების ინსტიტუტის განვითარების მიზნით, სტაჟიორთა შეფასების სისტემის შემუშავებასა და დანერგვას გეგმავს.

<p>3.2. სტრატეგიული მიზანი</p>	<p><i>მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა სწავლის მომზადებისა და განგრძობადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება</i></p>
---------------------------------------	---

პროგრამა 3.2.1. – მსმენელად მიღების პროცესის გაუმჯობესება

3.2.1.1. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის გაუმჯობესება, კანდიდატთა სწავლების ვადის გაზრდით და სწავლების მეთოდების დახვეწით (2017)

სამოსამართლო კანდიდატების მომზადების პროგრამის ხანგრძლივობის გაზრდის მიმართულებით მუშაობა Twinning-ის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს. 2018 წლის მარტში, ფრანგმა და ლატვიელმა ექსპერტებმა იუსტიციის უმაღლესი სკოლის სამოსამართლო კანდიდატების მომზადების არსებული პროგრამა გააანალიზეს. ვიზიტის ფარგლებში შემუშავდა რეკომენდაციები პროგრამის ვადებთან მიმართებით – სამო-

სამართლო კანდიდატების მოსამზადებელი სწავლებისთვის ოპტიმალური ხანგრძლივობის განსაზღვრის თაობაზე. საფრანგეთში ვიზიტის დროს, ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით, დაიგეგმა ცვლილებებზე მუშაობა. Twinning-ის პროექტის ფარგლებში, 2018 წლის მეორე ნახევარში შემუშავდება სამოსამართლო კანდიდატების მომზადების პროგრამა გახანგრძლივებული ვადით, რომლის იმპლემენტაციაც შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა საწყისი მომზადებისა და განგრძობადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით, USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით, შემუშავდა რამდენიმე კვლევა, რომლებიც მარეგულირებელი ნორმების გაუმჯობესებას ეხება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საექსპერტო კომისიის წევრების შერჩევის შემდეგ, მათთვის USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით, ჩატარდა 4 ტრენინგი ტესტის მეთოდოლოგიასა და შექმნაზე.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC)“ წინადადებით, ტრენინგის მონაწილეებმა გაიარეს ტესტური დავალების შექმნის ყველა ეტაპი (შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური ექსპერტიზა), ტესტის ფსიქომეტრული მახასიათებლების „წაკითხვა“ და გამოყენება.

3.2.1.2. მსმენელთა შერჩევის კრიტერიუმების განახლება და პროცედურის დახვეწა (2017)

აღნიშნული აქტივობის განხორციელება იგეგმება 2018 წელს.

3.2.1.3. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ტესტებისა და კაზუსების პერიოდული შედგენა და განახლება (2018)

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 19 თებერვალს მიიღო №1/93 გადაწყვეტილება მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ,

ხოლო 2018 წლის 19 მარტს – №1/152 გადაწყვეტილება მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილებით განახლდა საგამოცდო პროგრამა.

აღსანიშნავია, რომ USAID/PROLoG-ის დაფინანსებით, გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა (NAEC) შექმნა ინტენსიური სასერტიფიკატო პროგრამა საკვალიფიკაციო გამოცდის საკითხების მომზადების მეთოდოლოგიაში და ტრენინგი ჩაუტარა იუსტიციის საბჭოს მიერ შერჩეულ 30 ექსპერტს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა 2018 წლის ბაზუხულში დანიშნა. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიამ გამოცდისთვის ახალი ტესტები შეადგინა. ტესტების განახლება იგეგმება პერიოდულად.

პროგრამა 3.2.2. – მსმენელთა სწავლების პროცესის გაუმჯობესება

3.2.2.1. არსებული სამოსამართლო კანდიდატების მომზადების პროგრამის ანალიზი (2017)

იხ. 3.1.1.3 აქტივობის კომენტარი.

3.2.2.3. მსმენელთა სტაჟირების სისტემის დახვეწა (2018)

2017 წელს ევროპის საბჭომ გააანალიზა სამოსამართლო კანდიდატების სტაჟირების პროგრამა, რომლის საფუძველზეც, ქართველმა და საერთაშორისო ექსპერტებმა მოამზადეს ანგარიში და რეკომენდაციები არსებული პროგრამის დახვეწის მიზნით. რეკომენდაციები მოიცავდა სამოსამართლო კანდიდატების სწავლების ხანგრძლივობის გაზრდის, მენტორ-მო-

სამართლებების, სტაჟირების ინსტიტუტის და სხვა საკითხებს⁵⁸.

Twinning-ის პროექტის ფარგლებში შემუშავდა რეკომენდაციები მომზადების პროგრამასთან მიმართებით, მათ შორის, სტაჟირების კომპონენტის დახვეწისა და გახანგრძლივების კუთხით. ევროპის საბჭომ სტაჟირების პროგრამა შეაფასა და შესაბამისი რეკომენდაციები მოამზადა⁵⁹. 2018 წელს, Twinning-ის პროექტის ფარგლებში, ასევე მომზადდა „მოსამართლეთა კანდიდატების მომზადების პროგრამის ანალიზი“, რომელშიც ექსპერტების რეკომენდაციები სტაჟირების ვადის გაზრდას შეეხებოდა.

პროგრამა 3.2.3. – მოსამართლეთათვის განგრძობადი სწავლების სისტემის დახვეწა

3.2.3.1. მოსამართლეთათვის კვალიფიკაციის ასამბლუბელი სისტემის დახვეწა, სავალდებულო სწავლების საათების მიზანშეწონილობის დადგენა (2018)

2018 წლის 4 ივნისს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო №1/205 გადაწყვეტილება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სავალდებულო ტრენინგების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“. გადაწყვეტილებით განისაზღვრა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სავალდებულო ტრენინგების გავლის წესი, ტრენინგების მიზანი, პირობები და ხანგრძლივობა.

3.2.3.4. სწავლების დისტანციური მეთოდების ჩატარების უზრუნველსაყოფად საჭიროებების ანალიზი (2017)

იხ. 3.1.1.3 აქტივობის კომენტარი.

58 მოსამართლე ვალერია კოსი და გამოყენებითი კვლევების კომპანია, რეკომენდაციები იუსტიციის უმაღლესი სკოლის სამოსამართლო კანდიდატების სტაჟირების პროგრამასთან დაკავშირებით, ევროპის საბჭო, 2017 <http://www.hsoj.ge/uploads/recommendations.pdf>, [23/07/2018].

59 იხილეთ ბმული: <http://www.hsoj.ge/uploads/recommendations.pdf> [23/07/2018].

3.2.3.6. სასამართლოს თავმჯდომარეების ადმინისტრირების და მართვის უნარ-ჩვევების სპეციალური კურსის ორგანიზება (2017-2018)

ევროპის საბჭოს მხარდაჭერილი პროექტის – „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების გაძლიერება“ – ფარგლებში, უცხოელი ექსპერტებისა და ქართველი მოსამართლე-ექსპერტების მონაწილეობით შემუშავდა შემდეგი 2 სასწავლო მოდული:

- სიღრმისეული კურსი სასამართლოს მენეჯმენტში სასამართლოს თავმჯდომარეებისა და სასამართლოს მენეჯერებისთვის;

- მენეჯმენტი და ლიდერობა მოსამართლეებისთვის.

2017-2018 წლებში, აღნიშნული მოდულების გამოყენებით ჩატარდა:

- 2 ტრენინგი მოსამართლეებისთვის თემაზე – „მენეჯმენტი და ლიდერობა მოსამართლეებისთვის“, რომელსაც დაესწრო 27 მოსამართლე;

- 2 ტრენინგი სასამართლოს მოხელეებისთვის თემაზე – „სიღრმისეული კურსი სასამართლოს მენეჯმენტში სასამართლოს თავმჯდომარეებისა და სასამართლოს მენეჯერებისთვის“, რომელსაც დაესწრო სასამართლოს 31 მოხელე.

პროგრამა 3.2.4. – სასამართლო მოხელეთა და სისტემის სხვა თანამშრომელთათვის განგრძობადი სწავლების სისტემის დახვეწა

3.2.4.1. სასამართლოს მოხელეთა და სხვა თანამშრომელთათვის საჭიროებაზე მორგებული პროგრამების შემუშავება და არსებულების დახვეწა (2017-2018)

2017 წლის ნოემბერში, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელმა საბჭომ დაამტკიცა 2018 წლის მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების პროგრამა (იხ. ბმული), რომელიც, გარდა სამართლებრივი

საკითხებისა, ფარავს ადამიანის უფლებათა ევროპულ და საერთაშორისო სამართალსა და ზოგად, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულ საკითხებს:

- სასამართლოს საქმეების ანალიზი;
- ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების რეკომენდაციები;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციები;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტების ანალიზი;
- სკოლის მასწავლებელთა საბჭოს რეკომენდაციები;
- საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების ანალიზი;
- უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები;
- განვითარებულ სახელმწიფოებში მოსამართლეთა სწავლების სფეროში არსებული სიახლეები და მიმართულებები;
- ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის – „სამოსამართლო სწავლების ხელშეწყობა Twinning-ის მეშვეობით“ – ფარგლებში, უცხოელი ექსპერტების მიერ მომზადებული ანალიზები და რეკომენდაციები.

2017 წლის განმავლობაში, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ, პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, შეიმუშავა 13 ახალი სასწავლო მოდული, რომელსაც თან ახლდა მოსამართლე-ექსპერტებისთვის ტრენერთა ტრენინგი და საპილოტო ტრენინგი მოქმედი მოსამართლეებისთვის/სასამართლოს სხვა მოხელეებისთვის, ესენია:

- კორუფციასთან დაკავშირებული საქმეების ეფექტური განხილვა (CoE);
- კიბერდანაშაულთან დაკავშირებული საქმეების ეფექტური განხილვა (CoE);
- სიძულვილის დანაშაულის ეფექტური განხილვა (CoE);
- ტრეფიკინგთან დაკავშირებული საქმეების ეფექტური განხილვა (CoE);

- სიღრმისეული კურსი სასამართლოს მენეჯმენტში სასამართლოს თავმჯდომარეებისა და სასამართლოს მენეჯერებისთვის (CoE);
- ლიდერობა და მენეჯმენტი (CoE);
- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (CoE);
- ეფექტური კომუნიკაცია (CoE);
- ქალთა წინააღმდეგ ძალადობა და ოჯახში ძალადობა (CoE; UN Women)
- ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა (OHCHR)
- საკორპორაციო/სამეწარმეო სამართლის კურსი (USAID/ PROLoG/GIZ)
- კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა – ადმინისტრაციული სამართლის მიმართულება (CoE);
- მორიგების წარმოება სასამართლოში (GIZ).

პროგრამის შემუშავებისას გამოყენებულია კომპლექსური მეთოდი, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგს:

- სასამართლოს საჭიროებების ანალიზი;
- ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების რეკომენდაციები;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციები;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტების ანალიზი;
- სკოლის მასწავლებელთა საბჭოს რეკომენდაციები;
- საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების ანალიზი;
- უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები;
- განვითარებულ სახელმწიფოებში მოსამართლეთა სწავლების სფეროში არსებული სიახლეები და მიმართულებები;
- ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის – „სამოსამართლო სწავლების ხელშეწყობა Twinningis მეშვეობით“

3.2.4.2. უცხო ენების ცოდნის გაღრმავების ხელშეწყობა (უცხო ენების სწავლებისა და სერტიფიცირების ცენტრებთან თანამშრომლობით (2018))

უცხო ენების ცოდნის გაღრმავების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს USAID-სა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან, რათა 2018 წლის ბოლომდე თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოში USAID-ის, ხოლო რეგიონებში იუსტიციის უმაღლესი სკოლის ხელშეწყობით, საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის ჩატარდეს უცხო ენების შესწავლისა და გაღრმავების სასერტიფიკატო კურსები.

3.2.4.3. ჩატარებული ტრენინგების შედეგების შეფასების მეთოდების დახვეწა (2017)

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა, ჩატარებული ტრენინგების შეფასებისას, მსოფლიოში აპრობირებული „კირკ-პატრიკის“ ოთხდონიან მეთოდოლოგიას იყენებს. ეს საშუალებას აძლევს, ტრენინგი არაერთი კუთხით შეაფასოს და მასში საჭიროებისამებრ შეიტანოს ცვლილებები. 2017 წელს, ევროპის საბჭომ სკოლის ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობის სექტორის თანამშრომლებისათვის ჩაატარა ტრენინგი შეფასების ახალი – სასამართლო პრაქტიკის ანალიზის – ინსტრუმენტის შესასწავლად.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ჩატარებული ტრენინგების შედეგების შეფასების მიმართულებით მომზადდა 2 სახის კითხვარი:

- ტრენინგის მონაწილეების მიერ ტრენინგის შეფასების გრძელვადიანი კითხვარი, რომელსაც მონაწილეები შეაფასებენ ტრენინგის გავლიდან 3-6 თვის შემდეგ;
- ტრენინგის მიერ ტრენინგის შეფასების კითხვარი.

იუსტიციის უმაღლესი სკოლა ასევე გეგმავს ტრენინგის შედეგების შეფასების მექანიზმის სახით ე.წ. მომხსენებლის ინსტიტუტის და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის დანერგვას.

პროგრამა 3.2.5. – მოსამართლეთა და მონვეული სპეციალისტების მაღალი კვალიფიკაციის უზრუნველყოფა

3.2.5.1. მოსამართლეთა და მონვეული სპეციალისტების შერჩევის პროცესის გაუმჯობესება (2017)

აღნიშნული აქტივობა დაგეგმილია 2018 წელს.

3.2.5.2. მოსამართლეთა და მონვეული სპეციალისტების სწავლების კვალიფიკაციის ამაღლება, მათ შორის, ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგიაში (2017-2018)

2017 წელს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, ევროპის საბჭოს და GIZ-ის მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგები იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენერებისთვის ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგიაში:

თემა	ტრენინგების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა
ზრდასრულთა განათლების მეთოდოლოგია	2	26 მონაწილე
ზრდასრულთა სწავლების შეფასების მეთოდოლოგია	2	16 მონაწილე

3.2.5.4. სწავლების შეფასების სისტემის დახვეწა (2017)

იხ. 3.2.4.3 აქტივობის კომენტარი.

<p>3.3. სტრატეგიული მიზანი</p>	<p><i>მოსამართლეთა, სასამართლო მოხელეთა და სისტემის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემის გაუმჯობესება და მოტივაციის უზრუნველყოფა</i></p>
---------------------------------------	--

პროგრამა 3.3.1. – მოსამართლეთა შემდგომ განვითარებაზე ორიენტირებული პერიოდული შეფასების სისტემის დანერგვა

3.3.1.1. ექსპერტის მიერ შეფასების კრიტერიუმების გადახედვა და შეფასების ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება CCJE-სა და ENCJ-ს სტანდარტების მიხედვით (2017)

2017 წლის 14-15 ნოემბერს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) მონაწილეობით გაიმართა სამუშაო სემინარი მოსამართლეთა პერიოდული შეფასების წესზე, რომლის ფარგლებშიც, ექვსმა ექსპერტმა არსებული წესის დახვეწის, საქმეთა წონების მინიჭების მეთოდოლოგიის განახლების, შეფასების პერიოდის გაზრდის შესახებ ისაუბრა. შეხვედრის ფარგლებში გამოიკვეთა შეფასების პროცესზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ზედამხედველობის განხორციელების აუცილებლობა. მონაწილე პირები შეჯერდნენ, რომ სასურველია მოსამართლის გადაწყვეტილების დასაბუთებულობისა და ხარისხის შეფასებაზე ერთგვარი საორიენტაციო დოკუმენტის მომზადება, რათა შეფასება მაქსიმალურად ობიექტურ კრიტერიუმებს დაეყრდნოს.

პროექტის ფარგლებში, მაკედონიის, სლოვენიის, ლატვიისა და პოლონეთის მაგალითზე, ექსპერტებმაგააანალიზეს ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) და მართლმსაჯულების საბჭოების ევროპული ქსელის (ENCJ) სტანდარტები და ევროპული გამოცდილება, სასამართლოს გადაწყვეტილებების ხარისხის, პროცედურებისა და სასამარ-

თლოს გადაწყვეტილებების მკაფიოობის, პროცედურების გაწერის და სამსახურების ხელმისაწვდომობის კუთხით.

2018 წლის იანვარში, USAID/PROLoG-ის ექსპერტმა ალემ ზალარმა მოამზადა ანგარიში საქართველოში მოსამართლეთა დაწინაურების შესახებ⁶³. მასში მიმოხილულია მოსამართლეთა დაწინაურების და ინდივიდუალური შეფასების საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები და პრაქტიკა.

მოსამართლეთა შეფასების სისტემის დანერგვის მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა 2018 წლის აპრილში განიხილეს ორი განსხვავებული პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. პროექტები შეეხებოდა მოსამართლეთა პერიოდული შეფასების სისტემას, მოიცავდა შეფასების როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ინდიკატორებს. 2018 წლის 2 აპრილს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ სასამართლო სისტემის რეფორმაზე მომუშავე გაფართოებული ჯგუფისათვის წინადადების სახით გადაგზავნის მიზნით, სხდომაზე წარადგინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ცვლილებათა პროექტი. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა უმრავლესობამ აღნიშნული პროექტი არ მოიწონა. 2018 წლის 4 აპრილს, სამუშაო ჯგუფმა განიხილა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საბჭოს წევრის წინადადება. განხილვის შედეგად სამუშაო ჯგუფმა მიიჩნია, რომ საკითხი სიღრმისეულ კვლევას საჭიროებდა და მიიღო გადაწყვეტილება, წევრთა აქტიური ჩართულობით, შეფასების სისტემაზე მუშაობის გაგრძელების შესახებ.

3.3.1.2. შეფასების სისტემის დასაანერგად კანონქვემდებარე აქტების მომზადება (2017-2018)

63 ზალარი ა., ანგარიში საქართველოში მოსამართლეთა დაწინაურების შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტი – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG), იანვარი, 2018.

აღნიშნული აქტივობის შესრულება იგეგმება 2018 წელს.
პროგრამა 3.3.3. – სასამართლო მოხელეთა და სისტემის სხვა თანამშრომელთათვის შეფასების სისტემის ამოქმედება

3.3.3.1. საჯარო სამსახურის კანონის შესაბამისად, მოხელეთა რანგირების, სერტიფიცირების და მოხელის კარიერული განვითარებისთვის, წინვლასა და დამსახურებაზე ორიენტირებული სისტემის ჩამოყალიბება (2017)

ევროკავშირის პროექტის ფარგლებში, ექსპერტმა მოამზადა ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო, რომელიც შეეხება სამუშაო აღწერილობის შედგენასა და წესს (ტიპური ფუნქცია-მოვალეობების აღწერა), კონკურსის ჩატარების და შერჩევის პოლიტიკასა და პროცესს, ინტერესთა კონფლიქტის და დისციპლინური პროცესის მართვას, პროფესიულ განვითარებას და ა.შ.⁶⁴

„თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 29 ნოემბრის №1/232 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 24 ივლისის №1/237 გადაწყვეტილებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განისაზღვრა მოხელეთა რანგები⁶⁵. მნიშვნელოვანია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოხელეთა შეფასების სისტემის დანერგვა და საპილოტოდ გაშვება 2018 წლის ოქტომბრიდან იგეგმება.

64 ოქროპირიძე ი., ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო, EU4Justice ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტი, 2018.

65 „<http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/237.pdf> <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/237.pdf> [23/07/2018].

3.3.3.3. ადამიანური რესურსების სტრუქტურული ერთეულების პროფესიონალიზმის ამაღლებისთვის ტრენინგების ორგანიზება (2017-2018)

ადამიანური რესურსების პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, რეგულარულად იმართება სხვადასხვა ტრენინგი.

თარიღი	დასახელება
21/01/2017-22/01/2017	სამუშაო შეხვედრა „მესამე ტალღის“ საკანონმდებლო ცვლილებების იმპლემენტაციის თაობაზე – გუდაური, (USAID)
28/09/2017-29/09/2017	ტრენინგი თემაზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი – თბილისი, (GGI)
7– 8/10/2017	HR პოლიტიკის განსაზღვრა იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოებში – ბორჯომი, (EU4Justice)
25-26/11-2017	ტრენინგი თემაზე – პერსონალის შერჩევის და გასაუბრების ჩატარების ტექნიკები – თბილისი, (EU4Justice)
22/12/2017	პრეზენტაცია – საჯარო მოხელის საქმიანობის შეფასების სისტემის განვითარება საქართველოში, მიღწეული შედეგები და შერჩეული მოდელები – თბილისი, (UNDP)
24-25/02/2018	ტრენინგი სამუშაო აღწერილობების და ფუნქციების განერის შესახებ – თბილისი, (EU4Justice)
13-15/04/2018	ტრენინგი თემაზე ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო და პერსონალურ მონაცემთა დამუშავება სასამართლო სისტემაში – ყვარელი, (EU4Justice)

3.3.3.4. მართვის უნარების განვითარების ტრენინგების ორგანიზება სასამართლოებისა და უმაღლესი საბჭოს მენეჯერულ კომპიციებზე მყოფ თანამშრომლებში (2017-2018)

2018 წლის შემოდგომაზე, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს პროექტების ფარგლებში, იგეგმება ტრენინგი სასამართლოს თავმჯდომარეებსა და მენეჯერებს შორის ფუნქციების განაწილების თაობაზე.

3.4. სტრატეგიული მიზანი	სასამართლო სისტემის ხარისხის გაზომვის ინდიკატორებისა და სტანდარტების განვითარება
--------------------------------	---

პროგრამა 3.4.1. – ხარისხის გაზომვის ინდიკატორების განვითარება

3.4.1.1. მართლმსაჯულების სისტემის ხარისხის გაზომვის ინდიკატორების საუკეთესო პრაქტიკების შესწავლა და ანალიზი (2017)

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, დაწყებული აქვს მუშაობა მოსამართლეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობისა და ხარისხის შეფასებაზე ერთგვარი საორიენტაციო დოკუმენტის მომზადებასა და საქმიანობის შეფასების სისტემის განახლებაზე. ამ მიზნით, ევროპის საბჭომ ქართულად თარგმნა და გამოსცა მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) მიერ მიღებული მართლმსაჯულების ხარისხის გაზომვის სტანდარტები, რომლის პრეზენტაციაც 2018 წლის 8 ივნისს მოეწყო.

3.4.1.2. მომსახურების ხარისხის შეფასების ინდიკატორების შერჩევა/გადახედვა, დამუშავება, დანერგვა, როგორც შიდა ასევე, გარე მომხმარებლებისთვის (2017-2018)

2018 წლისათვის იგეგმება ხარისხის შეფასების ინდიკატორების გადახედვა.

3.4.1.4. მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (2017-2018)

აღნიშნული აქტივობის შესრულება 2018-2019 წლებისათვის იგეგმება.

პროგრამა 3.4.2. – ხარისხის სტანდარტების განვითარება და დანერგვა

3.4.2.1. სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის მეთოდოლოგიის და კრიტერიუმების შემუშავება (2017)

იხ. 1.4.4.2 აქტივობა.

ამასთან, იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან თანამშრომლობით, ევროპის საბჭოსა და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) მხარდაჭერით, იქმნება HELP-ის პროგრამით გათვალისწინებული დასაბუთებულობის სტანდარტის შესახებ ტრენინგ-მოდული, რასაც შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება მოჰყვება.

პროგრამა 3.4.3. – სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების მექანიზმის დახვეწა

3.4.3.1. პრაქტიკის შესწავლის და განზოგადების მეთოდოლოგიის შემუშავება (2017-2018)

2017 წლის ნოემბერში, ევროკავშირის პროექტის ფარგლებში, ადგილობრივმა ექსპერტმა მოამზადა კვლევის სახელმძღვანელო გზამკვლევი, რომელიც განიხილავს დოკუმენტის/კვლევის სახეებს, სამართლებრივ ანალიზს, დოკუმენტების სტრუქტურასა და სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენების სტანდარტებს. აღნიშნული დოკუმენტის მომზადებაში ჩართული იყვნენ საერთო სასამართლოების სამივე ინსტანციის ანალიტიკური სამსახურების წარმომადგენლები, რომელთა საჭიროებების და მათ მიერ მომზადებული კვლევების შესწავლის საფუძველზე შეიქმნა საბოლოო გზამკვლევი.

3.4.3.2. პრაქტიკის განზოგადების და ანალიტიკური განყოფილების თანამშრომელთა გადამზადება შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად (2017-2018)

ევროკავშირის პროექტის და USAID/PROLoG-ის მიერ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მწერალი თანაშემწეებ-

ისთვის, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი სასამართლო პრაქტიკის განზოგადების განყოფილების თანამშრომელთათვის ჩატარდა ტრენინგების ციკლი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საკითხებზე. ამასთან, კვლევების სახელმძღვანელო გზამკვლევთან დაკავშირებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი სამივე ინსტანციის სასამართლო ანალიტიკური რგოლების წარმომადგენლების მონაწილეობით. აღნიშნული ინფორმაცია ასახულია ცხრილში:

N	თარიღი	ჩატარების ადგილი	შეხვედრის/ტრენინგის თემა
1	12-14 მაისი	გასვლითი შეხვედრა	ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მისი ზედამხედველობის მექანიზმები (სასამართლოს პროცედურების განხილვა დასაშვებობის და არსებითი განხილვის ეტაპზე).
2	25-26 მაისი	საქართველოს უზენაესი სასამართლო	დისკრიმინაციის აკრძალვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის და მე-12 დამატებითი ოქმის პირველი მუხლის და საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად.
3	26-28 ივლისი	გასვლითი შეხვედრა	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი უახლესი გადაწყვეტილებების მიმოხილვა; სახელმწიფოზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები; ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში არსებით განხილვაზე დასაშვებობის კრიტერიუმები.
4	30 ივნისი – 1 ივლისი	საქართველოს უზენაესი სასამართლო	სიცოცხლის უფლება და სისხლის სამართალწარმოება; წამების არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა; სამართლიანი სასამართლოს უფლება; მხარეთა თანასწორობის და შეჭიბრებითობის პრინციპი, განაჩენის დასაბუთება, მსაჯულთა ინსტიტუტი; დამცველის ყოლის უფლება, ბრალდებულის ძირითადი უფლებების შეზღუდვის საფუძვლები, დაუსწრებელი სამართალწარმოება.

5	26-28 ივლისი	გასვლითი შეხვედრა	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი უახლესი გადაწყვეტილებების მიმოხილვა, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში არსებით განხილვაზე დასაშვებობის კრიტერიუმები, ევროპული კონვენციის მიხედვით სახელმწიფოზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები, სამართლიანი სასამართლოს უფლება და შესაბამისი გარანტიები.
6	31 ივლისი – 3 აგვისტო	გასვლითი შეხვედრა	ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შესული განხილული მნიშვნელოვანი საჩივრები და სასამართლოს გადაწყვეტილებები; საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებები.
7	29 სექტემბერი	გასვლითი შეხვედრა	საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმიანობა, სასამართლო გადაწყვეტილების მოძიების მიზნით ცენტრისთვის ინტერანეტის საშუალებით შეკითხვების მიწოდება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საძიებო სისტემის (HUDOC) გამოყენების სპეციფიკა და მომავალში ქართულენოვანი ვებგვერდის გამოყენების შესაძლებლობები.
8	6-8 ოქტომბერი	საქართველოს უზენაესი სასამართლო	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების სამუშაო შეხვედრა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და პრაქტიკით დადგენილი სტანდარტების იმპლემენტაციის თაობაზე ადგილობრივ სასამართლო პრაქტიკაში.
9	10-11 ნოემბერი	საქართველოს უზენაესი სასამართლო	ანალიტიკური სამსახურების/განზოგადების თანამშრომლებისთვის სამართლებრივი კვლევის, ანალიზის და არგუმენტაციის საკითხები.

3.4.3.3. უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მხარდაჭერა, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობა სხდომის აქტუალურ საკითხებზე (2017-2018)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოში გაიმართა შემდეგი სხდომები:

შეხვედრის თარიღი	თემა	მონაწილე პირი/ მომხსენებელი
2/2/2017	ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სამართალწარმოების სტანდარტების პრაქტიკაში სრულყოფილად დანერგვა	აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის სამართლებრივი მრჩეველი – მაიკლ გრანტი
9/3/2017	ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებულ საქმეებზე ადგილობრივი და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა	ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის ხელმძღვანელი – რენატე ვინტერი და ვენის სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარე – ულრიხ ნახტერბერგერი
1/4/2017	აგრესიის დანაშაული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედებამდე	კიოლნის უნივერსიტეტის პროფესორი – კლაუს კრესი
07/04/02017	მხარდამჭერის ინსტიტუტი	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მიერ მონვეული ექსპერტი – ჰაინრიჰ შნიტგერი
20/05/2017	საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები	ევროპის საბჭოს კონსულტანტი – ნანა მჭედლიძე
19/10/2017	არასრულწლოვანთა საქმეებზე სასჯელის დასაბუთების პრაქტიკაზე	ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის ხელმძღვანელი – რენატე ვინტერი და ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის ხელმძღვანელი – რანდელ ბაროუზი
18/12/2017	„სასამართლო მონიტორინგის პროგრამის“ მე-17 შუალედური ანგარიში	აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის სამართლებრივი მრჩეველი – მაიკლ გრანტი

<p>20.12.2017 22.12.2017</p>	<p>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება სსკ 273-ე მუხლზე, როგორც ახალი გარემოება</p>	<p>საერთო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი მოსამართლეები</p>
<p>14.03.2018</p>	<p>სსკ 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით სასჯელის დანიშვნისას გამოსაცდელი ვადის ათვლის საკითხი და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ვადის ჩათვლის საკითხი სსკ 191-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში</p>	<p>საერთო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი მოსამართლეები; სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წარმომადგენლები</p>
<p>15.05.2018</p>	<p>კონფერენცია – ნარკოტიკების შესახებ კანონმდებლობა სამართლებრივ გზაჯვარედინზე – ნარკოტიკული საშუალებების კონტროლის სისტემის ლიბერალიზაცია</p>	<p>პროფ. ჰანს-იორგ ალბრეხტი – ფრაიბურგის მაქს პლანკის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის დირექტორი; ეკა ბესელია, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე; აბაკი ზოიძე, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე; დოქ. სელმან დურსუნი, სტამბოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; პროფ. ელიკო ნიკლაური-ლამიხი, ფრაიბურგის მაქს პლანკის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის ყოფილი საბჭოთა ქვეყნების განყოფილების ხელმძღვანელი; კამილ სალიმოვი, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; მერაბ ტურაგა და თეიმურაზ ტულუში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები; გიორგი ღლონტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი; ელვირა რადნივავა, ბურიატსკის (ულან უდე) სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი</p>

<p>14.04.2018</p> <p>18.05.2018</p>	<p>სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათშორისო საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში მომზადებული სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებების პროექტი</p>	<p>ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პროფესორები (ნონა თოდუა, ირაკლი დვალიძე, თეიმურაზ ცქიტიშვილი, ირინა ხერხეულიძე და სხვანი);</p> <p>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე – მერაბ ტურავა</p>
---	--	---

3.4.3.4. სასამართლო გადაწყვეტილებების სტრუქტურის ერთიანი ფორმის შემუშავება (2017-2018)

იხ. 1.4.4.2 აქტივობა.

3.4.3.5. სისხლის სამართლის საქმეებზე სასჯელის დანიშნისას მხედველობაში მისაღებ გარემოებებზე რეკომენდაციების შემუშავება (2017-2018)

2017 წლის 19 ოქტომბერს გაიმართა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომა არასრულწლოვანთა საქმეებზე სასჯელის დასაბუთების და სასჯელის დანიშნისას ინდივიდუალური შეფასების გამოყენების პრაქტიკის შესახებ. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ევროკავშირის პროექტის ხელმძღვანელი – რენატე ვინტერი და ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის ხელმძღვანელი – რანდელ ბაროუზი, რომლებმაც ინდივიდუალური შეფასების გამოყენების და სასჯელის დასაბუთების ევროპულ პრაქტიკაზე ისაუბრეს.

3.4.3.6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების პრაქტიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა (2017-2018)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, უზენაეს სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის, 2017 წლის დასაწყისში გაფორმდა მემორანდუმი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილე-

ბათა საძიებო ბაზის ქართულ ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით, ქართული ინტერფეისის შექმნის თაობაზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლის განყოფილებამ, იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, მოამზადა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საძიებო სისტემის ტერმინთა განმარტება ქართულ ენაზე. დამატებით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა HUDOC-ის ინტერფეისისთვის თარგმნა მასალები. ამჟამად, მიმდინარეობს პროგრამის ტექნიკურად გამართვის პროცესი.

2017 წლის პირველი იანვრიდან დღემდე, ადამიანის უფლებათა ცენტრმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 201 საქმის მოკლე სამართლებრივი შეჯამება თარგმნა. მათ შორის, ევროპის საბჭოს პროექტთან თანამშრომლობით მომზადდა გადაწყვეტილებების თარგმანი, რომელთა ნაწილიც უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული⁶⁶.

HUDOC-ის ვებგვერდზე განთავსებულია ქართულ ენაზე ნათარგმნი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 805 გადაწყვეტილება⁶⁷. მათგან, 2017 წელს 45 გადაწყვეტილება ევროპის საბჭომ თარგმნა, ხოლო ადამიანის უფლებათა ცენტრის თანამშრომლებმა მეორედ წაიკითხეს და გაასწორეს.

ზემოთქმულთან ერთად, ქართულ ენაზე მზადდება პრაქტიკული სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თაობაზე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით.

ცენტრის მიერ მომზადებული ან ნათარგმნი დოკუმენტები ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე⁶⁸.

66 აღნიშნული გადაწყვეტილებების თარგმანი ხელმისაწვდომია ადამიანის უფლებათა ცენტრის ვებგვერდზე: <http://www.supremecourt.ge/human-rights-centre/european-court-of-human-rights/>

67 ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: [https://hudoc.echr.coe.int/eng#{"languageisocode":\["GEO"\]} \[23/07/2018\].](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

68 კვლევები იხილეთ შემდეგ ვებგვერდზე: [http://www.supremecourt.ge/information25/ \[23/07/2018\].](http://www.supremecourt.ge/information25/ [23/07/2018].)

ტრენინგები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების პრაქტიკასთან დაკავშირებით, ყოველწლიურად ტარდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში:

N	ტრენინგის სახელწოდება	ჩატარებული ტრენინგის რაოდენობა	სამიზნე ჯგუფი	მონაწი- ლეთა რაოდ- ენობა
1	ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები (ზოგადი კურსი)	1	მოხელეები	15
		1	მოსამართლეები	13
2	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები	1	მოხელეები	14
		1	მოსამართლეები	16
3	ადამიანის წამების, არაკუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა	1	მოსამართლეები	15
		1	მოხელეები	9
4	გამოხატვის თავისუფლება; მათ შორის, სიძულვილის ენასთან დაკავშირებული საკითხები	1	მოსამართლეები	13
5	დისკრიმინაციის აკრძალვა – შიდა კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები	1	მოსამართლეები	16
		1	მოხელეები	16

6	მართლმსაჯულების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის გზით	1	მოსამართლეები	17
		1	მოხელეები	17
7	ნარკომომხმარებელთა უფლებები	1	მოსამართლეები	15
8	ტრენინგი ადამიანის უფლებებზე	6	მოხელეები	133
9	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (პრეცედენტები)	2	მოხელეები	33
		2	მოსამართლეები	27

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა გადამზადების 2017 წლის პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგებზე განიხილეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, კერძოდ:

- სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხები – 2 სამუშაო შეხვედრა;
- ადმინისტრაციული სამართალწარმოების აქტუალური საკითხები – 2 სამუშაო შეხვედრა;
- სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები – 1 სამუშაო შეხვედრა.

4. სტრატეგიული მიმართულება	<i>სასამართლო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფა</i>
4.1. სტრატეგიული მიზანი	<i>სასამართლოების, მოსამართლეების, სასამართლო მოხელეების და სისტემის თანამშრომლების ოპტიმალური რაოდენობისა და გონივრული დატვირთვის უზრუნველყოფა</i>

პროგრამა 4.1.1. – სასამართლოთა, მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა ოპტიმალური რაოდენობის უზრუნველყოფა

4.1.1.1. სასამართლოების, მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის წესის შემუშავება ექსპერტის მხარდაჭერით (2017)

USAID/PROLoG-ის ექსპერტმა, იესპერ ვიტრუპმა მოამზადა კვლევა სასამართლოების, მოსამართლეთა და სასამართლოს თანამშრომელთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე⁶⁹.

4.1.1.2. მოსამართლეთა დატვირთვის განსაზღვრის მეთოდოლოგიის ანალიზი, ექსპერტის შეფასებით (2017)

USAID/PROLoG-ის მიერ მოწვეულმა ექსპერტმა, იესპერ ვიტრუპმა 2017 წლის ბოლოს მოამზადა კვლევა სასამართლოების, მოსამართლეთა და სასამართლოს თანამშრომელთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის მიზნით შემდგომი კვლევის მიზანშეწონილობის თაობაზე⁷⁰. მასში ასახულია სასამართლო სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის საკითხი, ხარისხის სფეროში არსებული პრობლემები და განსაზღვრუ-

⁶⁹ ვიტრუპი ი., კვლევა „საქართველოში სასამართლოების, მოსამართლეებისა და სასამართლოებში დასაქმებულ თანამშრომელთა შესაბამისი რაოდენობის განსაზღვრის მიზანშეწონილობის შესწავლა“, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერილი პროექტი „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG), ნოემბერი, 2017.

⁷⁰ იქვე.

ლია საერთო სასამართლოების მასშტაბით მოსამართლეთა რიცხოვნობის სტანდარტები. ექსპერტის მიერ წარმოდგენილი კვლევის თანახმად, გაანალიზდა საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა, შემოთავაზებულია 3 მეთოდი, რომელთა მიხედვით შეიძლება დადგინდეს მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა ოპტიმალური რაოდენობა. კერძოდ, პირველი მეთოდის მეშვეობით, უნდა ჩატარდეს კვლევა და დადგინდეს საქმეთა წონები, რომლის ერთ-ერთი ფორმულა მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპულ კომისიას აქვს განსაზღვრული⁷¹. მეორე მეთოდის მიხედვით, მოსამართლეთა ოპტიმალური რაოდენობა დგინდება ევროპის ქვეყნებში 100 000 მოსახლეზე მოსამართლეთა რაოდენობის მიხედვით. მესამე მეთოდის მიხედვით, უნდა ჩატარდეს სასამართლოში გადატვირთულობის საკითხების კვლევა და, შესაბამისად, დადგინდეს ბიზნესპროცესის შეფასების შედეგად მისი გადამჭრის, საქმეთა ნაკადის შემცირებისთვის აუცილებელი მოქმედებები.

2018 წლის მაისიდან, USAID/PROLoG-ის ექსპერტი, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად, მუშაობს კვლევაზე, რომელიც მიზნად ისახავს მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრას. კვლევა უახლოეს მომავალში დასრულდება, მისი შედეგების პრეზენტაცია კი 2018 წლის სექტემბერშია დაგეგმილი.

პროგრამა 4.1.2. – საქმეთა განაწილების და მართვის ელექტრონული სისტემის ამოქმედება

4.1.2.1. შესაბამის სასამართლო მოხელეთა გადამზადება (2017)

ევროკავშირის პროექტის ხელშეწყობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი დეპარტამენტის და საერთო 71 მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სახელმძღვანელო პრინციპები სასამართლო სტატისტიკის შესახებ (GOJUST), 10-11 დეკემბერი, 2008.

სასამართლოების ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა გამართეს შეხვედრები სასამართლოების მენეჯერული რგოლებისთვის, საქმეთა ელექტრონული განახლების წესის და პროგრამის გაცნობის მიზნით.

4.1.2.2. რუსთავის საქალაქო სასამართლოში ელ. განაწილების სისტემის საპილოტო პროგრამის ამოქმედება, პროცესზე დაკვირვება და შედეგების ანალიზი (2017)

მოსამართლეთა მიუკერძოებლობისა და მათი თანაბარი დატვირთვის უზრუნველყოფის მიზნით, მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში, 2017 წლის 13 თებერვალს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 58¹ მუხლში განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმად, რაიონულ (საქალაქო), სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები ნაწილდება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2017 წლის 1 მაისს მიიღო №1/56 გადაწყვეტილება „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“. გადაწყვეტილების საფუძველზე, 2017 წელს რუსთავის საქალაქო სასამართლოში წარმატებით, საპილოტოდ გაეშვა საქმის ელექტრონულად განაწილების სისტემა.

4.1.2.3. ელ. განაწილებისა და მართვის სისტემის სრულყოფა და საერთო სასამართლოს ყველა ინსტანციაში დანერგვა (2018)

ელექტრონული განაწილებისა და მართვის სისტემა მთელი საქართველოს მასშტაბით სრულად ამოქმედდა 2017 წლის 31 დეკემბრიდან.

საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა შექმნა საერთო სასამართლოების საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა და მისი მოთხოვნები თანამედროვე დაპროგრამების სტანდარტებს ეფუძნება. სისტემის უსაფრთხოების მაჩვენებლები მის დაცულობას, მესამე მხარის მიერ შეუღწევადობასა და საიმედოობას უზრუნველყოფს.

საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის სრულყოფის მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ წესში შეიტანა რამდენიმე ცვლილება, რომლებიც სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისაკენ იყო მიმართული.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით, საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით სულ განაწილდა 136 348 საქმე, რაც მოიცავს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს, ასევე მათთან დაკავშირებულ დოკუმენტებსა და შუამდგომლობებს. ელექტრონული განაწილების სისტემაში შეფერხება დაფიქსირდა 4-ჯერ, რა დროსაც რიგითობით განაწილდა 44 საქმე.

<p>4.2. სტრატეგიული მიზანი</p>	<p><i>საქმის განხილვის საპროცესო გადების ოპტიმიზაცია და ნაშთად დარჩენილი საქმეების შემცირება</i></p>
---------------------------------------	--

პროგრამა 4.2.1. – სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმის განვითარება

4.2.1.1. სასამართლოების ეფექტიანობის შეფასების და მონიტორინგის მექანიზმის გაუმჯობესება CEPEJ-ის სტანდარტებისა და ანგარიშების მიხედვით (მათ შორის, სასამართლოების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების გადახედვა და დანერგვა (2017-2018))

სასამართლოების ეფექტიანობის შეფასების და მონიტო-

რინგის მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში CEPEJ-ის სტანდარტებისა და ანგარიშების შესწავლა/განზოგადება მიმდინარეობს. სასამართლოების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების გადახედვა 2018-2019 წლებისათვის იგეგმება.

4.2.1.2. სასამართლოების ეფექტიანობის შეფასების სტატისტიკური და ანალიტიკური ანგარიშების ერთგვაროვანი წარმოების, შედეგების წარდგენისა და შემდგომი რეაგირების მექანიზმის დახვეწა (საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას (2017-2018))

აღნიშნული აქტივობის განხორციელება იგეგმება 2018-2019 წლებისათვის.

პროგრამა 4.2.2. – საქმეთა გაჭიანურებისა და გადატვირთულობის პრობლემის ანალიზი და შესაბამისი ზომების გატარება

4.2.2.1. საქმეთა გაჭიანურებისა და გადატვირთულობის მიზეზების შესწავლა (2017)

იხ. 4.1.1.2 აქტივობის კომენტარი.

4.2.2.2. ძველი, ნაშთად დარჩენილი საქმეების შემცირების მექანიზმის შემუშავება და დანერგვა (2017)

ძველი, ნაშთად დარჩენილი საქმეების შემცირების მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2016 წლის ბოლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში განსაზღვრა მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია, რომელიც განიხილავს საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ დავებს, თუ სარჩელის ფასი 5 000 ლარს არ აღემატება. სპეციალიზებული მოსა-

მართლებების მიერ, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ათასობით სარჩელის ვადებში ეფექტიანმა მართვამ, მართლმ-საჯულების პროცესის დაჩქარება გამოიწვია.

საქმეთა ნაკადის შემცირების მიზნით, სამოქალაქო საპროცესო, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსსა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში საკანონმდებლო ცვლილებები მომზადდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, გაიზარდა მაგისტრატ მოსამართლეთა პირველი ინსტანციით განსახილველ საქმეთა რაოდენობა. ცვლილებები ასევე შეეხო სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ქონებრივ-სამართლებრივ დავათა განხილვის წესს და სამოქალაქო/ადმინისტრაციულ საქმეთა პალატების მოსამართლეთა მიერ დავების ერთპიროვნულად განხილვის შესაძლებლობას. ამასთან, ცვლილებებით გაიზარდა ადმინისტრაციულ საქმეებზე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად განსახილველ საქმეთა რაოდენობა. შედეგად, თუ 2017 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმეთა ერთპიროვნულად განხილვის მაჩვენებელი იყო 49.2%, 2018 წელს 68.7%-მდე გაიზარდა, რის საფუძველზეც, მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობით განხილულ საქმეთა მაჩვენებელი 31,3%-მდე შემცირდა⁷².

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებებით, სააპელაციო სასამართლოებში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია ჩამოყალიბდეს. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 30 აპრილს მიიღო №1/175 გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის

72 2017 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ კოლეგიური შემადგენლობით განიხილა საქმეთა 50.8%.

სამართლის საქმეთა პალატაში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ⁷³.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 24 ივლისის №1/233 გადაწყვეტილებით⁷⁴, განისაზღვრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია. 2017 წლის 24 ივლისის №1/238 გადაწყვეტილებით⁷⁵, ცვლილებები შევიდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 3 ოქტომბრის №1/92-2006 გადაწყვეტილებაში და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ჩამოყალიბდა მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია, რომელიც კომერციულ დავებს განიხილავს (თუ სასარჩელო ფასი 500 000 ლარს აღემატება), ხოლო 2017 წლის 11 სექტემბრის №1/250 გადაწყვეტილებით⁷⁶, დაკონკრეტდა კომერციული დავების განმხილველ მოსამართლეთა მიერ განსახილველ საქმეთა ჩამონათვალი. ზემოაღნიშნული ცვლილებები საქმეთა ნაკადის მართვისა და ძველი, ნაშთად დარჩენილი საქმეების შემცირებისაკენ იყო მიმართული.

მნიშვნელოვანია, რომ საქმეთა ნაკადის შემცირების მიზნით, 2017 წლიდან 2018 წლის ივნისის ჩათვლით, თბილისის საქალაქო სასამართლოში დაინიშნა 45 სხდომის მდივანი, 34 მოსამართლის თანაშემწე, 52 მთავარი კონსულტანტი – მოსამართლის თანაშემწე (მწერალ-თანაშემწე), ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოში – 24 მწერალ-თანაშემწე და სასამართლოს დაემატა სხდომის მდივნის 10 შტატი. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აქტიურად მსჯე-

73 იხილეთ ბმული: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/175-2018.pdf> [23/07/2018].

74 იხილეთ ბმული: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/233.pdf> [23/07/2018].

75 იხილეთ ბმული: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/238-2017.pdf> [23/07/2018].

76 იხილეთ ბმული: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/250-2017.pdf> [23/07/2018].

ლობს შტატების გაზრდაზე იმ რაიონულ/საქალაქო სასამართლოებში, სადაც საქმეთა ქარბი ნაკადი შეინიშნება.

ძველი, ნაშთად დარჩენილი საქმეებისგან მოსამართლეთა განტვირთვის მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისთვის შენდება ფლიგელი, სადაც 28 ახალი სასამართლო დარბაზი დაიწყებს ფუნქციონირებას, რაც ხელს შეუწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას. მნიშვნელოვანია, რომ მშენებლობის დასრულება იგეგმება 2018 წელს. თბილისის საქალაქო სასამართლოს განტვირთვის მიზნით, ასევე, დაგეგმილია ახალი შენობის მშენებლობა, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და უსაფრთხოების დაცვის მაღალი სტანდარტებით. მშენებლობის დასრულება იგეგმება 2020 წლის ბოლოს. აღნიშნულ პროექტს მხარს უჭერს ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის შესაბამისი თანამშრომლების გადამზადებასა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზებას ამერიკის შეერთებულ შტატებში, სათანადო გამოცდილების გაზიარების მიზნით.

აღნიშნული ქმედებების მიუხედავად, საერთო სასამართლოების სისტემაში, საქმეთა ქარბი ნაკადი კვლავ გამოწვევად რჩება. საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის სამინისტროს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლობების აქტიური ჩართულობითა და პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, სამუშაო შეხვედრების ფარგლებში გრძელდება სასამართლო სისტემის გადატვირთულობის შემცირების მექანიზმებზე მსჯელობა.

4.2.2.3. დროის მართვის, დაყოვნებების პრევენციისა და შემცირების პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა (2017)

საერთო სასამართლოების სისტემაში განხილული საქმეების ანალიზი ადასტურებს რიგი კატეგორიის საქმეებზე სარჩელით მომართვის გაზრდილ მაჩვენებელს 2016-2017 წლებში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მაგალითზე, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები შემოსულ სარჩელთა 79,8%-ს შეადგენს. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, ჯერ კიდევ 2016 წლის ბოლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციების გათვალისწინებით დაკომპლექტდა კოლეგიის შემადგენლობა⁷⁷ და მიმდინარეობს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავების განხილვა. ამან, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ათასობით სარჩელის ვადებში ეფექტიანი მართვა და მართლმსაჯულების პროცესის დაჩქარება გამოიწვია. შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 თვის მონაცემებით, ამ კატეგორიის საქმეების წარმოებაში არსებული დავებიდან – 51%-ზე მეტის განხილვა დასრულდა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო, დონორი ორგანიზაციის დახმარებით, აწარმოებს კვლევას⁷⁸, რომელიც შეისწავლის სასამართლო სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობისა და ხარისხის სფეროში არსებულ პრობლემებს და განსაზღვრავს საერთო სასამართლოების მასშტაბით მოსამართლეთა რიცხოვნობის სტანდარტებს. დამატებით იხ. 4.2.2.2 აქტივობის კომენტარი.

77 დღესდღეობით, თბილისის საქალაქო სასამართლოში მსგავსი კატეგორიის საქმეებს განიხილავს 5 მოსამართლე.

78 აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერილი პროექტის – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფარგლებში მოწვეული ექსპერტის, იესპერ ვიტრუპის დახმარებით კვლევა და ანალიზი მომზადდება.

4.3. სტრატეგიული მიზანი	<i>სასამართლოს სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურისა და ადმინისტრირების სრულყოფა</i>
--------------------------------	---

პროგრამა 4.3.1. – საერთო სასამართლოებში ორგანიზაციულ-სტრუქტურული რეფორმის გატარება

4.3.1.1. თბილისის საქალაქო სასამართლოში დანერგილი ორგანიზაციული სტრუქტურის მუშაობის შეფასება (2017)

აღნიშნული აქტივობის განხორციელება იგეგმება 2018 წელს.

4.3.1.2. უზენაესი სასამართლოს ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის დანერგვა (2017)

ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემუშავდა ახალი სტრუქტურა, რომელიც 2017 წლის 1 ივლისიდან დაინერგა. იგი მმართველობით რგოლზე გადასვლას გულისხმობს. ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, საკონსულტაციო კომპანია „სინერჯი ჯგუფმა“ შექმნა დოკუმენტი, რომელიც უზენაესი სასამართლოს ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარების სამუშაოებსა და უახლოესი 3-5 წლის პრიორიტეტულ ამოცანებს ასახავს.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით გაიწერა უზენაესი სასამართლოს ახალი სტრუქტურა. დოკუმენტი ითვალისწინებს მოსამართლეთა მხარდამჭერი ერთეულების პროცესების, პროცედურებისა და მეთოდების დახვეწას, საერთაშორისო პრაქტიკის მოძიებასა და ანალიზს, მოსამართლეთა საქმიანობის მხარდამჭერი რგოლების შემდგომ გაძლიერებას.

4.3.1.5. სასამართლოს თავმჯდომარეთა და მენეჯერთა ფუნქციების შესწავლა და გამიჯვნა (2017)

2018 წლის მაისში, სამუშაო ჯგუფს წარედგინა ევროპის საბჭოს ექსპერტის – რეი ბარნიინგემის მომზადებული ანგარი-

ში თემაზე – „სასამართლოს თავმჯდომარეებსა და სასამართლოს მენეჯერებს შორის ურთიერთობა და მათი ფუნქციები საქართველოში“⁷⁹. ანგარიში შეეხება სასამართლოს თავმჯდომარეებსა და მენეჯერებს შორის ფუნქციური გამიჯვნის საკითხებს. მასში ასახულია სასამართლო სისტემის მენეჯერების გამოკითხვის შედეგები, მომზადებულია ამავე თემაზე ევროპის სამი ქვეყნის (ლიეტუვა, ლატვია, ჰოლანდია) შედარებითი ანალიზი და, ასევე, მოცემულია რეკომენდაციები სასამართლოს მენეჯერის ფუნქციების გაძლიერებასთან დაკავშირებით, რაც მიზნად ისახავს თავმჯდომარის განტვირთვას ადმინისტრაციული ფუნქციებისგან.

4.3.1.6. კომერციული/საგადასახადო პალატ(ებ)ის დაარსება და ამოქმედება (კონცეფციის შემუშავება, საკანონმდებლო ბაზის მომზადება, მოსამართლეთა ტრენინგები (2018-2019))

საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებულ ინვესტორთა საბჭოს ფორმატში შემუშავდა წინადადება საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის შესახებ, კომერციული დავების სწრაფად და ეფექტურად განხილვის მიზნით. კომერციული პალატების დაარსებას მხარს უჭერს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების რეალიზაციამდე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2017 წლის 1 აგვისტოდან თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩამოყალიბდა კომერციული დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაცია, 5 მოსამართლის შემადგენლობით⁸⁰. კომერციული დავების განმხილველ მოსამართლეებს გადაეცათ 250 საქმე, საიდანაც ამ პერიოდში დასრულდა 102-ის (40,8 %) განხილვა.

აღნიშნული დავების განმხილველმა მოსამართლეებმა

79 ბარნინგემი რ., სასამართლოს თავმჯდომარეებსა და სასამართლოს მენეჯერებს შორის ურთიერთობა და მათი ფუნქციები საქართველოში, ევროპის საბჭოს პროექტი – „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“, აპრილი, 2018.

80 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 24 ივლისის №1/238 გადაწყვეტილება.

2018 წლის პირველ ნახევარში განიხილეს 6 871 ვალდებულებითსამართლებრივი დავა (ანუ განსახილველ საქმეთა 64.2%), ხოლო საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების 5 030 საქმე არის დასრულებული.

პროგრამა 4.3.2. – იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ორგანიზაციულ-სტრუქტურული რეფორმის გატარება

4.3.2.2. მენეჯმენტის დეპარტამენტისა და დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტის ამოქმედება (2017)

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შეიქმნა ორი ახალი სტრუქტურული ერთეული: დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის აპარატი და მენეჯმენტის დეპარტამენტი. საქმეთა ელექტრონული წარმოების პროგრამის ტექნიკური გამართულობის უზრუნველსაყოფად, ამოქმედდა მენეჯმენტის დეპარტამენტი, რომლის ფუნქციები მოიცავს ელექტრონული წარმოების პროგრამის მონიტორინგსა და მისი გამართულად მუშაობის ხელშეწყობას⁸¹.

მოსამართლის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას იწყებს, აგრეთვე დისციპლინური საქმის წინასწარ შემოწმებასა და გამოკვლევას ახორციელებს დამოუკიდებელი ინსპექტორი, რომელიც თავის დასკვნებს და მოსაზრებებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს⁸². საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი

81 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 31 მარტის №1/135 გადაწყვეტილება „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, საშტატო ნუსხისა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/206-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

82 „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.

ინსპექტორი კონკურსის საფუძველზე, 2017 წლის 20 ნოემბერს აირჩია.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს დონორ ორგანიზაციებთან. შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, *USAID/PROLoG-ისა* და ევროპის საბჭოს პროექტის მხარდაჭერით, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს ტრენინგები ჩაუტარდა. მათი თემატიკა მოიცავდა დისციპლინურ სამართალწარმოებაზე საერთაშორისო პრაქტიკასა და გამოცდილებას, ასევე სამართლებრივი დასაბუთების საკითხებს.

4.3.2.3. საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის სტრუქტურული გაძლიერება (2017)

ევროკავშირის პროექტის ადგილობრივი ექსპერტის მხარდაჭერით მომზადდა სასამართლოს სისტემის საკომუნიკაციო სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები, რომელშიც ასახულია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების სტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური სრულყოფის საკითხი⁸³, მათ შორის, სამსახურის ფუნქციების განსაზღვრა შემდეგი მიმართულებებით: პრესასთან ურთიერთობა, სოციალური მედიის მართვა, ღონისძიებების მართვა და ა.შ.

ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისა და მოსამართლეების მონაწილეობით, 2017 წლის 11-12 ნოემბერს გაიმართა სამუშაო შეხვედრა გერმანელ მოსამართლე ელენ ბესტთან. შეხვედრის მიზანს სპიკერ-მოსამართლეებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ფუნქციონირების ერთგვაროვანი პრაქტიკის შემუშავება და დანერგვა წარმოადგენდა. 2018 წლის 21 მაისს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო №1/192 გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო და თბილისის საქალაქო სასამართლოებში სპიკერ-მოსამართლეების დამტკიცების შესახებ⁸⁴.

83 ახალკაცი ქ., სასამართლო სისტემის კომუნიკაციის ძირითადი მიმართულებები, EU4Justice ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტი, 2018.

84 იხ. <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%20>

პროგრამა 4.3.5. – შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესება სასამართლო ინსტანციებს შორის

4.3.5.2. რეგიონებში მოსამართლეებთან შეხვედრების ორგანიზება (2017-2018)

იხ. 3.4.3.2 აქტივობის კომენტარი.

4.3.5.3. ინფორმაციის გაცვლის ერთიანი სისტემის და საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესება (მათ შორის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (2017-2018))

ინტერნეტის ფუნქციური გაუმჯობესებისათვის, საერთო სასამართლოების შენობების ნაწილისთვის მოეწყო ალტერნატიული (სარეზერვო) ინტერნეტარხები, ხოლო დარჩენილი ნაწილისათვის სათადარიგო არხების დარეზერვების მიზნით, სერვისის მომწოდებელთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ასევე, სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებს და 2018 წლის ბოლომდე სრული დატვირთვით შევა ექსპლუატაციაში ერთიანი სისტემის და საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესების მიზნით შექმნილი ახალი mail server MS exchange.

პროგრამა 4.3.6. – სასამართლო სისტემის შიდა ფინანსური მართვისა და ბიუჯეტირების პროცესის დახვეწა

4.3.6.1. სასამართლოს თავმჯდომარეთა და სასამართლოს მენეჯერთა აქტიური ჩართულობით, ბიუჯეტის დაგეგმვისა და მართვის არსებული შიდა მოდელის გაუმჯობესება, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად (2017-2018)

ბიუჯეტის დაგეგმვისა და მართვის პროცესის გაუმჯობესება 2018-2019 წლებისათვის იგეგმება.

4.4. სტრატეგიული მიზანი	დაგების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარება
--------------------------------	--

პროგრამა 4.4.1.– მსხვილ, გაერთიანებულ სასამართლოებში სამედიაციო ცენტრების ჩამოყალიბება

4.4.1.1. ექსპერტის დახმარებით ეროვნული მედიაციის კომუნიკაციის გეგმის შემუშავება (2017-2018)

ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროექტის მხარდაჭერით, კომუნიკაციების ექსპერტმა შეიმუშავა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018-2019 წლების მედიაციის საკომუნიკაციო სტრატეგია. იგი შეეხება მედიაციის საკომუნიკაციო მიზნებს, მიზნობრივ ჯგუფებს, სტრატეგიებს, ტაქტიკასა და სამოქმედო გეგმას, მათ შორის, სამედიაციო სერვისების შესახებ საინფორმაციო კამპანიის ორგანიზებას. მედიაციის საკომუნიკაციო სტრატეგია საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 16 ივლისის სხდომაზე მოიწონა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, მედიაციის სტრატეგიის განხორციელების მიზნით, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი აირჩია.

2018 წლის 13-15 ივლისს, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (შემდგომში UNDP) მხარდაჭერით, მოსამართლეთათვის მედიაციის საკითხებზე ტრენინგი გაიმართა.

4.4.1.2. სამედიაციო ცენტრების განვითარების რუკის და გეგმის გაკეთება (2017-2018)

მედიაციის განვითარების მიზნით, 2018 წლის 16 ივლისის სხდომაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მედიაციის მნიშვნელობასა და სამედიაციო ცენტრების განვითარების აუცილებლობაზე იმსჯელა. სამუშაო ჯგუფში აქტიურად განიხილება 2018-2019 წლებისათვის სამედიაციო ცენტრების განვითარება, თბილისის საქალაქო სასამართლოს გარდა,

რუსთავის საქალაქო და გორის რაიონულ სასამართლოებში. ტერიტორიული მანდატის გაფართოებაზე სამუშაო ჯგუფში აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები შესაბამის სასამართლოს თავმჯდომარეებსა და UNDP-სთან.

4.4.1.3. მედიაში ტრენინგის კურიკულუმების შექმნა, მედიატორების, მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეებისთვის (2017-2018)

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოთხოვნით, მედიატორთა რაოდენობის გაზრდის მიზნით, დაიგეგმა და 2017 წლის დეკემბერში ჩატარდა მედიატორთა მომზადების 56-საათიანი ტრენინგი. ტრენინგ-მოდული შემუშავდა სამი ადგილობრივი ექსპერტის მიერ (სოფო ტყემალაძე, ალექსანდრე წულაძე და სოფო ჩაჩავა). სულ შეირჩა 21 იურისტი მონაწილე და ოთხი ფსიქოლოგი. ტრენინგი წარმატებით გაიარა 23-მა მონაწილემ.

2018 წლის 12-14 ივლისს, ევროკავშირის პროექტის ფარგლებში, სისხლის სამართალსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მედიაციის გაფართოებასთან დაკავშირებით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა. მას მოსამართლეები, პროკურორები, მედიატორები, სოციალური მუშაკები, იუსტიციის სამინისტრო და პენიტენციური სისტემის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

4.4.1.4. სასამართლოებში მოსამართლეების და მოხელეების მომზადება (2017-2018)

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების 2017 წლის პროგრამის ფარგლებში, GIZ-ის მხარდაჭერით, შემუშავდა და ჩატარდა სპეციალური კურსი მოსამართლეებისთვის „სასამართლო მორიგების“ თემაზე, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია სასამართლო მედიაციის საკითხებიც. GIZ-ის მხარდაჭერით მოეწყო 3 ტრენინგი თემაზე – „მორიგების წარმოება სასამართლოში“. მათში მონაწილეობა მიიღო 36-მა მოსამართლემ.

4.4.1.5. სამედიაციო სერვისების შესახებ საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება (2017-2018)

იხ. 4.4.1.1 აქტივობის კომენტარი.

4.4.1.6. საგალდებულო მედიაციის ამოქმედება (2017-2018)

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა. კანონპროექტის პირველადი ვერსია შეიქმნა სამუშაო ჯგუფში, რომელსაც ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტი ხელმძღვანელობდა. სამუშაო ჯგუფში მოწვეული იყვნენ მედიაციით დაინტერესებული ყველა ორგანიზაციის წარმომადგენლები. აღნიშნული აქტივობის განხორციელება შესაძლებელი იქნება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების ამოქმედების შემდეგ.

4.4.1.7. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მედიაციის საგალდებულო სასწავლო კურსის დანერგვა (2017-2018)

აღნიშნული აქტივობის განხორციელება შესაძლებელი იქნება შესაბამისი კანონის მიღების და საგალდებულო მედიაციის ამოქმედების შემდეგ.

პროგრამა 4.4.2. – სასამართლო მედიაციის განვითარების პროგრამის შემუშავება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილების შესაბამისად)

4.4.2.1. სასამართლო მედიაციის დანერგვისა და განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება (2017)

აღნიშნული აქტივობის განხორციელება იგეგმება 2018-2019 წლებისათვის.

4.4.2.4. სასამართლო მედიატორთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და შენარჩუნების მიზნით, საჭირო ზომების განსაზღვრა (2017-2018)

აღნიშნული აქტივობის განხორციელება იგეგმება 2018-2019 წლებისათვის.

პროგრამა 4.4.3. – დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების (მედიაცია, არბიტრაჟი) განვითარების ხელშეწყობა

4.4.3.5. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების პრაქტიკის შესწავლა (2018)

2017 წელს ჩატარდა კვლევა საქართველოში არბიტრაჟის განვითარების ტენდენციების შესწავლის მიზნით⁸⁵. ევროკავშირმა და UNDP-მ მოამზადეს „გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო და რაიონული სასამართლოს მოსამართლეებისთვის“⁸⁶. იგი შედგენილია პრაქტიკული სახელმძღვანელოს ფორმით, რათა მოსამართლეებს არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმეების გადაწყვეტა გაუმარტივოს. გზამკვლევი ეხება საქალაქო/რაიონული სასამართლოების განსჯად საკითხებს, დანართის სახით კი, მოცემულია არბიტრის დანიშვნის სანიმუშო ფორმა. ამჟამად მზადდება გზამკვლევის მეორე ნაწილი, რომელიც სააპელაციო სასამართლოების განსჯადობას დაქვემდებარებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხების გადაწყვეტას შეეხება.

პროგრამა 4.4.4. – სასამართლო მორიგების განვითარება და გააქტიურება

აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ქვეექტივობების განხორციელება გადაიდო 2018-2019 წლებისათვის.

85 კვლევა „არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში“ მომზადდა CRRC – საქართველოს მიერ ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით. კვლევა ხელმისაწვდომია გაეროს განვითარების პროგრამის ვებგვერდზე: http://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic_governance/legal-and-practical-aspects-of-arbitration-in-georgia-2018.html [23/07/2018].

86 გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისთვის ხელმისაწვდომია: <http://www.gaa.ge/images/resource/12/phpoULwDR6f38c54fd25cae9866ee5daad4c92dba.pdf> [23/07/2018].

პროგრამა 4.4.5. – ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებაში მედიაციის შემოღება

4.4.5.1. ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე მედიაციის პრაქტიკის შესწავლა (2017)

აქტივობის შესრულების მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დონორ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. შესაბამისად, აქტივობის შესრულება 2018-2019 წლებისათვის იგეგმება.

2018 წლის 12-14 ივლისს, ევროკავშირის პროექტის ფარგლებში, სისხლის სამართალსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მედიაციის გაფართოებასთან დაკავშირებით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა. მას მოსამართლეები, პროკურორები, მედიატორები, სოციალური მუშაკები, იუსტიციის სამინისტრო და პენიტენციური სისტემის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

4.5. სტრატეგიული მიზანი	<i>ელექტრონული მმართველობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება</i>
--------------------------------	---

პროგრამა 4.5.3. – საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავება

4.5.3.1. კომპლექსური IT აუდიტის ჩატარება (2017)

IT აუდიტის ჩატარების მიზნით, გასული და მიმდინარე წლის განმავლობაში, დონორ ორგანიზაციებთან არაერთგზის კომუნიკაციის შედეგად, ევროკავშირის პროექტის (Human Dynamics), USAID/PROLOG-ის, ევროპის საბჭოს პროექტისა და GIZ-ის დაფინანსების ფარგლებში, შეიქმნა IT აუდიტის განმა-

ხორციელებელი კომპანია, რომლის კვლევები მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება, ხოლო სასამართლო სისტემის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური განვითარების პოლიტიკის და სტრატეგიის დოკუმენტის, ასევე, სამოქმედო გეგმის შემუშავება, დასრულდება ზემოაღნიშნული კვლევის საფუძველზე.

კვლევის ფარგლებში, გარდა ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული სხვა საკითხებისა, ყურადღება გამახვილდება:

- ელექტრონული საქმისწარმოების ფუნქციონირებისა და შესაბამისი ტექნიკური პრობლემების დიაგნოსტიკებაზე;
- სასამართლოში არსებული რესურსების (ადამიანური და მატერიალური, მათ შორის, ქსელური ინფრასტრუქტურა) შეფასებაზე;
- საქმის ელექტრონული განაწილების სრულფასოვნად დაწერგვისათვის არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებაზე;
- სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობის უზრუნველყოფა ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის მეშვეობით (ამუშავება/ამუშავების გარეშე).

IT მიმართულებით, 2017 წლის განმავლობაში, ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა შემდეგი ტრენინგები: ა) ლინუქსის ოპერაციული სისტემის შესწავლის მიზნით, პირველი კურსი; ბ) ლინუქსის ოპერატიული სისტემის შესწავლის მიზნით, მეორე კურსი; 3) VM WARE 6.0. ვერსიის შესწავლის კურსი.

პროგრამა 4.5.4. – ინფორმაციულ-ტექნოლოგიური (IT) ინფრასტრუქტურის გამართულობა

4.5.4.1. შიდა და გარე ქსელის ტექნიკური გამართვა (2017)

გარე ქსელის ფუნქციონირება სრულყოფილად არის უზრუნველყოფილი და მოწყობილია ცენტრალური სასერვეროს შიდა ქსელი; საერთო სასამართლოების 14 სასამართლოში ახალი ქსელური მარშრუტიზატორების ინსტალაცია მიმდინარეობს.

4.5.4.2. IT უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების უზრუნველყოფა (2017)

უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტები, ახალი სასერვეროს გაშვების პარალელურად, სრულად დაცულია. ამჟამად, ქსელურ ტოპოლოგიაში ინტეგრირებული CISCO-ს წარმოების ბრენდმაუერი (ფაირვოლი – ASA) უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტებს უზრუნველყოფს. ეს გულისხმობს შიდა და გარე ქსელებიდან, აგრეთვე შიდა ქსელის სეგმენტებიდან, როგორებიცაა: “inside network”, “outside network”, “DMZ”, ქსელური პაკეტების მიმოცვლისა და ფილტრაციის, ასევე შესაბამის პაკეტებზე პოლიტიკების გავრცელების საშუალებას ე.წ. LAYER 3 დონეზე – ანუ ფილტრაციას IP მისამართების და არა აპლიკაციის დონეზე (IPS მოდულის ფუნქციონირების გარეშე), რაც ქსელში მიმოცვლილი პაკეტების სიღრმისეულ ანალიზს და შესაბამისი საფრთხეებისა და ანომალიების პრევენციას ვერ უზრუნველყოფს.

4.5.4.3. ადეკვატური მოცულობის სერვერების განთავსება (2017)

2017 წელს ექსპლუატაციაში შევიდა სრულიად ახალი მოდერნიზებული სასერვერო ოთახი, სადაც ადეკვატური მოცულობის სერვერებიც განთავსდა.

4.5.4.4. ვებგვერდების ტექნიკური გამართვის უზრუნველყოფა (2017-2018)

ევროკავშირის პროექტისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ჩართულობით მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი ვებგვერდის შემუშავება, რომელიც საერთო სასამართლოების ერთიანი ვებგვერდის დიზაინის მოდელად განიხილება.

პროგრამა 4.5.5. – სასამართლო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება

4.5.5.1. სასამართლოში ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის დახვეწა და ამუშავება ყველა ინსტანციაში – სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე (2017-2018)

სასამართლოში ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა “Case management” სასამართლოს ყველა ინსტანციაში – სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე ინფორმაციების აკუმულირების საშუალებას იძლევა. აღნიშნული პროგრამის ოპერირებას ახდენს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

4.5.5.2. სასამართლოში საქმეთა შემთხვევითობის პრინციპზე დაფუძნებული ელექტრონული განაწილების სისტემის დახვეწა-განვითარება (2017-2018)

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2017 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებით (N1/56), საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი დაამტკიცა. 2017 წლის 1 მაისიდან წლის ბოლომდე მასში შევიდა სამი, ხოლო 2018 წელს – 9 ცვლილება.

2017 წლის 1 ივლისიდან, საქმეთა განაწილების ახალი წესი საპილოტო რეჟიმში ამოქმედდა რუსთავის საქალაქო სასამართლოში. საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემასთან თავსებადი ელექტრონული მოდული შექმნა უშუალოდ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეველოპმენტის ჯგუფმა⁸⁷.

⁸⁷ არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა სწავლები-სა და მონიტორინგის ცენტრმა“ რუსთავის საქალაქო სასამართლოში პილოტური რეჟიმის შუალედური მონიტორინგი განახორციელა, 2017 წლის 9 ოქტომბერს გამოაქვეყნა მონიტორინგის შედეგები და სისტემის გაუმჯობესებისთვის საჭირო რეკომენდაციები (იხ. <https://emc.org.ge/ka/products/rogor-mushaobs-sakmis-ganatsilebis-akhali-sistema-sasamartli-oshi> [23/07/2018]).

2017 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეველოპმენტის ჯგუფის წარმომადგენლები რეგიონებს ეწვივნენ და თითოეულ სასამართლოში არსებულ ქვესპეციალობებს ადგილზე გაეცნენ. ეს შეხვედრები აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ელექტრონულ სისტემაში სწორად ასახულიყო განაწილების მოდულები სასამართლოების მიხედვით.

პარალელურად, 2017 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ევროკავშირის პროექტის დაფინანსებით გადამზადდნენ სასამართლოს მენეჯერები და შესაბამისი მოხელეები (კანცელარიისა და სამდივნოს თანამშრომლები). ამავე პერიოდში ნაწილობრივ დაკომპლექტდა მენეჯმენტის დეპარტამენტი, რომელმაც დეკემბრის ბოლომდე სრულად გაუწია ადმინისტრირება პროგრამაში მოსამართლეთა დამატებას, მათ შორის, კოლეგიების ქრილში და ასახა შვებულების, მივლინების, ბიულეტენისა და მორიგეობების გრაფიკი. 2017 წლის 1 დეკემბრიდან, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეველოპმენტის ჯგუფმა, სატესტო რეჟიმში, გაააქტიურა საქმის წარმოების ელექტრონულ პროგრამაში საქმის განაწილების ღილაკი, კანცელარიის თანამშრომლების მიერ პროგრამის შესაძლებლობების უკეთ გაცნობის უზრუნველსაყოფად.

4.5.5.3. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის მოდული (კანცელარიის პროგრამა (2017-2018))

2018 წლის 2 აპრილს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტში ექსპლუატაციაში შევიდა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამა. მისი მეშვეობით, დეპარტამენტში მომზადებული და მიღებული დოკუმენტაცია ელექტრონული სახით იმოძრავებს, გამარტივდება და დაჩქარდება დოკუმენტბრუნვის პროცესი, გაუმჯობესდება საქმისწარმოების ხარისხი, დაიზოგება დრო და მატერიალური რესურსი. აღნიშნული პროგრამის საერთო სასამართლოების სისტემაში დანერგვა იგეგმება 2018 წელს.

4.5.5.4. შიდა ბიუჯეტის შემუშავებისა და ფინანსური ანალიზის, ანგარიშგების მოდულის შექმნა და დანერგვა (2017-2018)

აღნიშნული აქტივობის განხორციელება იგეგმება 2018-2019 წლებში.

4.5.5.5. საკადრო სისტემის მართვის ელექტრონული მოდულის დანერგვა (2017-2018)

2017 წელს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შეთანხმდა საერთო სასამართლოებში საკადრო სისტემის მართვის ელექტრონული მოდულის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკური სამსახურის პროგრამის HR MS-ის დანერგვაზე.

4.5.5.6. ელექტრონული არქივის პროგრამის დახვეწა (2017-2018)

აღნიშნული აქტივობის განხორციელება იგეგმება 2018 წელს.

4.5.5.7. სტატისტიკის მოდულის დანერგვა (2017-2018)

აღნიშნული აქტივობის განხორციელება იგეგმება 2018 წელს.

4.5.5.8. სასამართლო გადაწყვეტილებათა ავტომატური გამოქვეყნების პროგრამის შემუშავება და გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემის დანერგვა (2017-2018)

იხ. 4.5.3.1 აქტივობის კომენტარი.

4.5.5.9. სასამართლოს ელექტრონული ბიბლიოთეკის შემდგომი დახვეწა (2017-2018)

აღნიშნული აქტივობის განხორციელება იგეგმება 2018 წელს.

4.6. სტრატეგიული მიზანი	პარტნიორ სტრუქტურებთან ურთიერთობის განვითარება
--------------------------------	---

პროგრამა 4.6.1. – პროგრამები აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უცხოურ სასამართლოებთან, მედიასთან ურთიერთობების გაუმჯობესება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 4.6.1 პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების შესრულება უმეტესწილად 2018-2019 წლებისათვის იგეგმება, თუმცა აღსანიშნავია, რომ პარტნიორ სტრუქტურებთან ურთიერთობის განვითარების მიზნით, დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობითა და დახმარებით, შეიქმნა გაფართოებული სამუშაო ჯგუფი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და წევრების, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით. აღნიშნული ჯგუფი მუშაობს საქართველოში მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის „მეოთხე ტალღაზე“. ჯგუფის ფარგლებში, 2017 წელს – ხუთი, ხოლო 2018 წელს – სამი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა ასევე მიიღეს დაინტერესებულმა მოსამართლეებმა და საერთაშორისო ექსპერტებმა⁸⁸.

⁸⁸ ევროპის საბჭოს „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში მოწვეული ექსპერტი გერჰარდ რაისნერი (ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) ყოფილი თავმჯდომარე); ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებული პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, მოწვეული ექსპერტი ვიქტორია ჰენლი; ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის ხელმძღვანელი რენატა ვინტერი და ამავე პროექტის ექსპერტი, გაეროს სპეციალური ტრიბუნალის საერთაშორისო მოსამართლე აგნეშკა მილატრი.

5. ტრატეგიული მიმართულება	მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
5.1. სტრატეგიული მიზანი	სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელების გაუმჯობესება

პროგრამა 5.1.1. – ეროვნული პრაქტიკის ჰარმონიზება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს (და არამართლ) პრეცედენტულ სამართალთან

5.1.1.1. ეროვნული პრაქტიკის შესაბამისობის ანალიზი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან, სასამართლო პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი რგოლების აქტიური ჩართვით (2017-2018)

ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 2017 წლის იანვარში ჩატარდა კვლევა თემაზე – „საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები“⁸⁹. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ის მაგალითები, როდესაც საქართველოს საერთო სასამართლოებს გამოყენებული აქვთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები. ავტორი დადებითად აფასებს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების გამოყენებას, ხოლო ევროპული სასამართლოს პრაქტიკის არასრული თუ არაზუსტი გამოყენება მხოლოდ კონვენციის მე-5 მუხლთან მიმართებით დაფიქსირდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განხორციელების განყოფილებამ მოამზადა კვლევა – „დისკრიმინაციის აკრძალვის

89 მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, 2017, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168070a54c> [23/07/2018].

საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში⁹⁰. იგი აანალიზებს 2014 წლის მაისიდან 2016 წლის ჩათვლით, საქართველოს საერთო სასამართლოების მუშაობაში საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეთა გამოყენების პრაქტიკას, დისკრიმინაციის საკითხებთან დაკავშირებით. საქმეთა შესწავლამ აჩვენა, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოყენებულმა საერთაშორისო აქტებმა ან/და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა გავლენა არ იქონია სასამართლო გადაწყვეტილებებზე ან მათი გავლენა ძალზედ უმნიშვნელოა. უმრავლეს შემთხვევაში, სასამართლო მას იყენებს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან (აქტებთან) ერთად. ამასთან, კვლევის მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენება, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისთვის თვითმიზანი არ არის, მაგრამ პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს ის რამდენიმე გადაწყვეტილება, რომელშიც მოსამართლეები სიღრმისეულად მიმოიხილავენ ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომელსაც შემდგომ ზედმიწევნით ზუსტად მიუსადაგებენ საქმეში არსებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს. კვლევის ფარგლებში გაიცა დისკრიმინაციის საკითხებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების თაობაზე ტრენინგების რაოდენობის გაზრდის, დისკრიმინაციული შინაარსის მქონე საქმეთა ყოველწლიური განზოგადებისა და სხვა რეკომენდაციები.

უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოამზადა კვლევითი მასალა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის გამოყენების ფარგლებთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორც სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებთან, აგრეთვე,

90 კვლევა ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/diskriminaciis-akrzalvis-saertashoriso-standartebis-asaxva-erovnul-sasamartlo-praktikashi.pdf> [23/07/2018].

სისხლისსამართლებრივ ბრალდებასთან მიმართებით⁹¹. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს კვლევა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებზე „**ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ**“ ევროპული კონვენციის გამოყენების პრაქტიკის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს და ევროკავშირის პროექტის თანამშრომლობის ფარგლებში, მომზადდა კვლევა 2016-2017 წლებში საქართველოს საერთო სასამართლოების (თბილისის, გორის, რუსთავის, თელავის, ახალციხის, ქუთაისის, ზუგდიდის, ბათუმის სასამართლოები) მიერ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკის შესახებ. კვლევის მიზანი იყო ძირითადი ტენდენციების გამოკვეთა და ეროვნული კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის წარმოჩენა⁹². განვლილ წლებთან შედარებით, აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა და დასაბუთების სტანდარტი პროგრესირებს, რაზეც მეტყველებს როგორც სტატისტიკური მონაცემები, ისე განჩინებების შესწავლის შედეგი. განჩინებებში იკვეთება მსჯელობის აგება ევროპულ სტანდარტებზე დაყრდნობით, მიუხედავად იმისა, სასამართლო მიუთითებს თუ არა კონკრეტულ წყაროზე. სასამართლოების მიერ პროკურატურის შუამდგომლობის დასაბუთებაზე მსჯელობისა და, შესაბამისად, მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების უფრო მსუბუქი ღონისძიებებით შეცვლის ან საერთოდ, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის პრეცედენტების მაჩვენებელი მზარდია.

91 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული დაცვის ფარგლები (ამონარდი), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2017, ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebi1.pdf> [23/07/2018].

92 საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკის მიმოხილვა, 2016-2017 წლები, შესაბამისობა ეროვნულ და ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან, ევროკავშირის მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევა, თბილისი, 2018.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და უზენაეს სასამართლოს შორის თანამშრომლობის ფარგლებში, 2017 წელს, უზენაესი სასამართლო უმაღლეს სასამართლოთა ქსელის წევრი გახდა. აღნიშნული ვებგვერდის (ინტრანეტის) საშუალებით, წევრი სახელმწიფოების უმაღლეს სასამართლოებს აქვთ შესაძლებლობა, ჰქონდეთ წვდომა იურისტკონსულტანტის მიერ მომზადებულ ახალ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე მოკლე ანალიტიკურ ინფორმაციებზე, ყოველკვირეულ მიმოხილვებსა და კონვენციის თემატურ კვლევებზე⁹³.

ოფიციალური მოთხოვნა გარკვეულ საკითხებზე ინფორმაციის მოსაპოვებლად გათვალისწინებულია როგორც სტრასბურგის სასამართლოსგან, ასევე წევრი სახელმწიფოების უმაღლესი სასამართლოების მხრიდან⁹⁴, ეს ხელს უწყობს აღნიშნული სასამართლოების ერთმანეთთან დაახლოებას და უფრო მჭიდრო თანამშრომლობის რეჟიმის დამყარებას⁹⁵, ისევე როგორც კონვენციის მე-16 ოქმით გათვალისწინებულ ურთიერთობებს და პროცესებს⁹⁶. აღნიშნული ქსელი წარმო-

93 Introduction to the Superior Court Network (“SCN”) – https://www.echr.coe.int/Documents/SCN_Introduction_Network_June2018_ENG.pdf [23/07/2018].

94 წევრი სახელმწიფოების უმაღლესი სასამართლოს საკონტაქტო პირები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს აწვდიან ინფორმაციას ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკისა და სხვა საკითხების (მაგ. პრაქტიკაში არსებული თავისებურებების) შესახებ.

95 იხ. Operational Rules of the Superior Courts Network – https://www.echr.coe.int/Documents/SCN_Operational_Rules_ENG.pdf [23/07/2018].

96 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის №16 ოქმის მე-10 მუხლის შესაბამისად და ამ ოქმის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, საქართველოს უზენაესი სასამართლო და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არიან უფლებამოსილი, მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მოთხოვნით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა ახალი 3041 მუხლი, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლოში საქმისა და საჩივრის შესვლის შემდეგ საქმესთან დაკავშირებულ იმ პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც შეეხება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებას ან გამოყენებას, საკასაციო სასამართლოს მიენიჭა უფლება, საკონსულ-

ადგენს კონვენციის მე-16 ოქმის წინამორბედს უფრო მკაფიო და ნათელი სამართალწარმოების პროცესის უზრუნველსაყოფად. კონვენციის მე-16 ოქმის პირველივე მუხლი შესაძლებლობას ანიჭებს ხელშემკვრელი მხარეების უმაღლესი ინსტანციის სასამართლოებს (კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის №16 ოქმის მე-10 მუხლის შესაბამისად და ამ ოქმის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, საქართველო ასახელებს საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს)⁹⁷, მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მოთხოვნით იმ პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებას და გამოყენებას ეხება.

5.1.1.2. ანალიზის შედეგად პრობლემების გამოვლენა და მოსამართლეთა და სასამართლოების შესაბამისი პერსონალის ტრენინგები/კურიკულუმების შემუშავება ადამიანის უფლებათა სწავლებებზე (2017-2018)

საერთო სასამართლოების სისტემაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში გამოყენების საკითხებზე ევროპის საბჭოს კვლევის მიხედვით, ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თანაშემწეებისა და მოსამართლეებისთვის, ასევე საერთაშორისო სასამართლო და ადგილობრივი სასამართლო

ტაციო დასკვნისათვის მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. ამასთან, უზენაესი სასამართლო ვალდებული იქნება, დაასაბუთოს საკონსულტაციო დასკვნისათვის მიმართვის მოთხოვნა და ევროპულ სასამართლოს წარუდგინოს საქმის სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე სათანადო ინფორმაცია.

97 საქართველოს განცხადება „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის“ №16 ოქმის მე-10 მუხლის შესაბამისად, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/54727> [23/07/2018].

პრაქტიკის განზოგადების და შესწავლის განყოფილების თანამშრომლებისთვის, მრგვალი მაგიდის ფარგლებში მოიწვია ადამიანის უფლებათა სფეროს ექსპერტები, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების განხილვის მიზნით:

თარიღი	თემა	მომხსენებელი
11-12/01/2017	ევროპული ანტიდისკრიმინაციული სამართლებრივი ჩარჩო; დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის საკითხები; დისკრიმინაციის ცნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის გათვალისწინებით; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 ოქმი.	ევროპის საბჭოს ექსპერტი – ივანა როანა და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი – ქეთევან შუბაშვილი
2-3/06/2017	სამართლებრივი კვლევა, სამართლებრივი ანალიზი: ანალიტიკური ტექსტების ენობრივ-სტრუქტურული შეფასებები.	ევროპის საბჭო
17/03/2017	საკუთრების უფლება სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულების ქრილში.	ევროპის საბჭოს ექსპერტი – მარეკ ანტონი ნოვიკი
18-19/03/2017	სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების სტანდარტები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით.	ევროპის საბჭოს ექსპერტი – რალფ ალეველდტი

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ტრენინგ-საჭიროებების გამოვლენა ხორციელდება კომპლექსური მეთოდის გამო-

ყენებით, რომელიც, მათ შორის, მოიცავს სასამართლოს საქმეების ანალიზს, ზემდგომი ინსტანციების სასამართლოებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტების ანალიზს, სკოლის მასწავლებელთა საბჭოს რეკომენდაციებს, საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების ანალიზს, უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, განვითარებულ სახელმწიფოებში მოსამართლეთა სწავლების სფეროში არსებულ სიახლეებსა და მიმართულებებს.

ამასთან, 2017 წელს შემუშავდა 2 სასწავლო მოდული ადამიანის უფლებების საკითხებზე, ესენია:

- ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა (OHCHR);

- ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა (CoE და UN Women).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების 2017 წლის პროგრამის ფარგლებში, ადამიანის უფლებების თემებზე ჩატარდა შემდეგი ტრენინგები:

იუსტიციის უმაღლესი სკოლა მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა გადამზადება	რაოდენობა
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები	2
ნარკომომხმარებელთა უფლებები	1
გამოხატვის თავისუფლება; მათ შორის, სიძულვილის ენასთან დაკავშირებული საკითხები	1
ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები (ზოგადი კურსი)	4
ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა	3
ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა	4

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართლმსაჯულების ეფექტური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	1
ბავშვთა უფლებები	1
თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და საერთაშორისო დაცვის საჭიროების ქვეშ მყოფ სხვა პირთა უფლებები	2
დისკრიმინაციის აკრძალვა - შიდა კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები	2
მართლმსაჯულების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის გზით	2
საერთაშორისო შრომითი სტანდარტები და საქართველოს შრომის კოდექსი	1

5.1.1.3. უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის და საერთო სასამართლოებში ანალიტიკური განყოფილებების შესაძლებლობების გაძლიერება (2017)

ევროკავშირის პროექტი დახმარებას უწევს საერთო სასამართლოებში შემავალ ანალიტიკურ სამსახურებს შესაძლებლობების გაძლიერებაში. ანალიტიკური სამსახურების საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჩართულობით, სასამართლოს შიდა ქსელზე – ინტრანეტზე შეიქმნა ანალიტიკური სამსახურის პანელი, რომლის მეშვეობითაც, საერთო სასამართლოების მოსამართლეებისთვის უზრუნველყოფილი იქნება ინფორმაციის ოპერატიული და ეფექტური მიწოდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საერთაშორისო სტანდარტების შესახებ⁹⁸. ასევე, განთავსდება ინფორმაცია სხვადასხვა სასამართლოს ანალიტიკური სამსახურების მიერ ქართულ ენაზე ნათარგმნი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თაობაზე. 2017 წელს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს აპარატს დაემატა ანალიტიკური სამსახური, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს – ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო

⁹⁸ ინტრანეტის სატესტო რეჟიმი გაშვებულია.

პრაქტიკის განზოგადებისა და სტატისტიკის სამსახური⁹⁹. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ აქტივობა 3.4.3.2-ში არსებული ცხრილი.

5.1.1.4. ადამიანის უფლებათა რეგიონული ცენტრის დაარსება მოსამართლეთა და სასამართლოს შესაბამისი პერსონალის კონსულტირების მიზნით¹⁰⁰ (იგულისხმება მსხვილ სასამართლოებში შესაბამისი პროფილის კონსულტანტის შექმნა/გადამზადება (2018))

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეგიონული ცენტრები არ დაარსებულა, თუმცა ჩატარდა ადამიანის უფლებათა ცენტრის შექმნის წინარე სამუშაოები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2018 წლის 1 იანვრიდან ქ. ბათუმისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებს დაემატა ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის განზოგადების სპეციალისტის თითო საშტატო ერთეული.

ევროკავშირის პროექტის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის ორგანიზებით, ინტენსიური შეხვედრები იმართებოდა საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის გაცვლისა და მოსამართლეებისათვის საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის თაობაზე ინფორმაციის ეფექტურად მიწოდების მიზნით:

- 2017 წლის 29 სექტემბერს შეხვედრა გაიმართა თელავის რაიონულ სასამართლოში, თელავის რაიონული სასამართლოსა და ახმეტის მაგისტრატი სასამართლოს მოსამართლეებისა და მოსამართლეთა თანაშემწეებისთვის¹⁰¹.

99 იხ. <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/208.pdf> [23/07/2018].

100 აღნიშნული აქტივობის ქვეშ ასევე იგულისხმება თბილისსა და რეგიონებში შესაბამის სამსახურებთან შეხვედრების გამართვა და საერთაშორისო პრაქტიკის განზოგადების განყოფილების საქმიანობის გაცნობა, ადგილობრივად მსგავსი სპეციალისტების ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით.

101 შეხვედრაზე მონაწილეებმა განიხილეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საძიებო სისტემის (HUDOC) გამოყენების სპეციფიკა და მომავალში ქართულენოვანი ვებგვერდის გამოყენების

5.1.1.5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე ხელმისაწვდომობის გაზრდა HUDOC-ისთვის მასალის გაქართულებით, პრაქტიკული სახელმძღვანელოების შემუშავებით და გაგრძელებით (გთავაზობთ ახალ ფორმულირებას (2017-2018))

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, უზენაეს სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის გაფორმდა მემორანდუმი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო ბაზის ქართულ ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ქართული ინტერფეისის შექმნის თაობაზე. მომზადდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საძიებო სისტემის ტერმინთა განმარტება ქართულ ენაზე. დამატებით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა HUDOC-ის ინტერფეისისთვის თარგმნა საჭირო მასალები. ამჟამად ვებგვერდი სატესტო რეჟიმში მუშაობს და მისი პრეზენტაცია 2018 წლის სექტემბერში იგეგმება.

5.1.1.6. HUDOC-ზე განთავსების მიზნით მასალის თარგმნის საკოორდინაციო ცენტრის დაარსება საქართველოს უზენაეს სასამართლოში, იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით (2017)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრი უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თარგმნას და უახლესი პრაქტიკის შესახებ საინფორმაციო დოკუმენტების მომზადებას. მოსამართლეებს შესაძლებლობა აქვთ, მიმართონ ადამიანის უფლებათა ცენტრს საერთო სასამართლოების სისტემის შიდა ქსელის – „ინტრანეტის“ საშუალებით, სადაც ასევე განთავსებულია ყველა გამოცემა და ინფორმაცია. დამატებით იხილეთ აქტივობა 3.4.3.6.

5.1.1.7. მოწმეთა დაკითხვის პრაქტიკის ანალიზი (2018)

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2016 წლის 15 თებერვალს შესაძლებლობები. გაიმართა მსჯელობა უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე ადამიანის უფლებათა ცენტრის საძიებო სისტემაში საქმეების მოძიების მეთოდებზე.

მონმეთა დაკითხვის ახალი წესის შესახებ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების ამოქმედებისთვის შემუშავა რეკომენდაციები სპეციალური ინსტრუქციებითა და საპროცესო ფორმებით¹⁰². 2017 წლის პირველ ნახევარში გაიმართა შეხვედრები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონულ სასამართლოებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეების მონაწილეობით: ოზურგეთისა და ზუგდიდის რაიონულ, ბათუმისა და ფოთის საქალაქო სასამართლოებში, ქუთაისის საქალაქო, წყალტუბოს მაგისტრატ და ახალციხის რაიონულ სასამართლოებში, მარნეულის მაგისტრატ და ბოლნისის რაიონულ სასამართლოებში, რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და მცხეთის რაიონულ სასამართლოში, თბილისის სააპელაციო სასამართლოში. შეხვედრების მიზანი იყო მოსამართლეებისთვის ინფორმაციის მიწოდება და დისკუსიის გამართვა მონმის დაკითხვის ახალი წესის თაობაზე, როგორც შიდა კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანამშრომლობდა არასამთავრობო ორგანიზაცია – ადამიანის უფლებათა ცენტრთან, რომელმაც 2017 წლის 3 ოქტომბერს მონმის დაკითხვის ახალი წესის შესახებ კვლევის პრეზენტაცია გამართა. აღნიშნულ კვლევაში წარმოდგენილია შემდეგი რეკომენდაციები¹⁰³:

- განისაზღვროს მოსამართლის როლი მონმის დაკითხვის პროცესში, საპროცესო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებით;
- შემუშავდეს მოსამართლეთათვის მონმის დაკითხვის ახალი წესის შესახებ განჩინების დასაბუთების სტანდარტების სწავლების თაობაზე სასწავლო პროგრამა, იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ;
- ჩატარდეს სწავლება მოსამართლეთათვის, მონმის და-

102 იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შემუშავა რეკომენდაცია გამოძიების დროს სასამართლოში პირის მონმედ დაკითხვის წესის ამოქმედებასთან დაკავშირებით.

103 ავალიანი თ., მონმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი, 2017, გვ. 31, იხ. [http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hrdc/research-geo%20\(1\).pdf](http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hrdc/research-geo%20(1).pdf) [23/07/2018].

კითხვის პროცესში მათი უფლება-მოვალეობებისა და სამართლოში დაკითხვისას მოწმის უფლებების დაცვის სტანდარტების, საუკეთესო პრაქტიკის შესახებ.

უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, 2016 წელს, საქართველოს ყველა რეგიონში მაგისტრი მოსამართლის წინაშე სულ შემოტანილი იყო 82 შუამდგომლობა მოწმის დაკითხვის თაობაზე, აქედან 69 დაკმაყოფილდა, რომელთაგანაც დაიკითხა 64 მოწმე. 2017 წელს, სულ შემოტანილი იყო 128 შუამდგომლობა, აქედან დაკმაყოფილდა 117 შუამდგომლობა და დაიკითხა 116 მოწმე. ამასთან, 116 დაკითხული მოწმიდან 62 დაიკითხა მის მიერ საქართველოს ტერიტორიის დიდი ხნით დატოვების საფუძველით; 49 მოწმე დაიკითხა ისეთი საფუძველით, რომელიც სახეზეა, როცა არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს; მოწმეთაგან 4 დაიკითხა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების, ინდივიდუალური შეთანხმების ან ნაცვალგების პირობების საფუძველზე შემოსული უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ, ხოლო 1 მოწმე დაიკითხა მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხის არსებობის საფუძველით, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის დაკითხვას საქმის არსებითი განხილვის დროს.

უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, საქართველოს ყველა რეგიონში მაგისტრი მოსამართლის წინაშე 2018 წლის I ნახევარში სულ შემოტანილი იყო 121 შუამდგომლობა მოწმის დაკითხვის თაობაზე, აქედან 109 დაკმაყოფილდა, დაიკითხა 105 მოწმე. ამასთან, 2018 წელს საქართველოს საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში შემოსული შუამდგომლობების საფუძველები მოწმეთა დაკითხვის შესახებ შემდეგია: 105 დაკითხული მოწმიდან, 64 დაიკითხა მის მიერ საქართველოს ტერიტორიის დიდი ხნით დატოვე-

ბის საფუძვლით, 2 დაიკითხა იმ საფუძვლით, რომ არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს, ხოლო 39 დაიკითხა იმ საფუძვლით, რომ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს.

მონშეთა დაკითხვის ახალი წესის შესახებ აქტუალური საკითხების განხილვის კუთხით, 2017 წელს, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ ჩაატარა ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა თბილისის, ქუთაისის, რუსთავის საქალაქო და ბოლნისის, ახალციხის, ხაშურის, გურჯაანის და თელავის რაიონული სასამართლოების 9 მოსამართლე.

პროგრამა 5.1.2. – მხარეთა შეჭიბრებითობის პრინციპის კანონმდებლობაში სრული საპროცესო რეალიზაციის ხელშეწყობა

5.1.2.1. პერიოდული კვლევის ჩატარება სისხლის, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მხარეთა თანასწორობის პრინციპის რეალიზების მიზნით (2017)

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წელს მოამზადა ანალიზი სასამართლო ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით საერთო სასამართლოების სისტემაში არსებული რეკომენდაციების თაობაზე. მასში ასახულია ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ¹⁰⁴, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სასამართლოს მონიტორინგის ანგარიში და მასში წარმოდგენილი რეკომენდაციები¹⁰⁵, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა

104 Handbook on European Law Relating to Access to Justice, COE, P.18; Human Rights Committee, General Comment №32, Article 14: Right to equality before courts and tribunals and to a fair trial, U.N. Doc. CCPR/C/GC/32 (2007).

105 ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონიტორინგის ანგარი-

ასოციაციის და საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიშები¹⁰⁶, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ანგარიში¹⁰⁷, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-6 მუხლის თაობაზე დადგენილი პრაქტიკა.

რეკომენდაციები	განხორციელებლი აქტივობები
<i>არასათანადო მოპყრობის საქმეებზე შესაბამისი მექანიზმის ჩამოყალიბება</i>	მოსამართლის უფლებამოსილების გაზრდა საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში წამების ან არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე რეაგირების მიზნით.
<i>მტკიცებულებების წარდგენის საერთო წესის შემუშავება</i>	ირიბი ჩვენების დროს ¹⁰⁸ მტკიცებულებათა დასაშვებობის მინიმალური სტანდარტის დაკმაყოფილების საკითხი. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში განხილულ იქნა იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული წინადადება ირიბი მტკიცებულებების – განაგონის დასაშვებად გამოცხადების შესახებ.

ში, იენისი-ნოემბერი, 2015, გვ. 5.

106 სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიშები №11; №9; №8.

107 ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, 2014 წლის 14 იანვარი, გვ. 108.

108 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატება 1911 მუხლი და განისაზღვრება მოსამართლის უფლებამოსილება წამების, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევაში. აღნიშნული მუხლის თანახმად, თუ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მოსამართლეს გაუჩნდება ეჭვი, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელებულია წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, ან აღნიშნულის თაობაზე თავად ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა განუცხადა სასამართლოს, იგი რეაგირებისათვის მიმართავს შესაბამის გამოძიების ორგანოს.

<p><i>აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების დასაბუთება სასამართლო გადაწყვეტილებებში</i></p>	<p>უზენაესი სასამართლოს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განხორციელების განყოფილებამ მოამზადა კვლევა, რომელიც შეეხება მოსამართლეთა მიერ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების დასაბუთების სტანდარტებს.</p>
<p><i>დაცვის მხარის უფლება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე მიმართოს სასამართლოს</i></p>	<p>უზენაესი სასამართლოს მოწვევით, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანულმა ფონდმა (IRZ) მოამზადა კვლევა¹⁰⁹, რომლის თანახმად, მოსამართლემ თავად უნდა განსაზღვროს, კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდებულის ინტერესების დაცვას უფრო მეტი წონა მიანიჭოს თუ სახელმწიფო საიდუმლო ინტერესებისა და საზოგადოების ინტერესების დაცვას.</p>

2018 წელს გაიმართა სამუშაო შეხვედრები აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკის თემაზე მომზადებული კვლევის¹¹⁰ განხილვის მიზნით, კერძოდ, 16 თებერვალს – საერთო სასამართლოების მოსამართლეებისა და პროკურორების ერთობლივი მონაწილეობით, ხოლო 23-24 ივნისს – სასამართლო სისტემის წარმომადგენლების მონაწილეობით.

ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატის (OHCHR) საქართველოს ოფისის მხარდაჭერით ჩატარდა კვლევა სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების თაობაზე შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ¹¹¹. კვლევის ფარგლებში წარმოდგენილია შემდეგი რეკომენდაციები:

109 ექსპერტთა დასკვნა თემაზე: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის ნიველირება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადაწყვეტილების საფუძველზე.

110 საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკის მიმოხილვა, 2016-2017 წლები, შესაბამისობა ეროვნულ და ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან, ევროკავშირის მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევა, თბილისი, 2018.

111 ბურჯანაძე გ., კვლევა სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების თაობაზე შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, სასამართლო სისტემის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, მე-4 სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მომზადებული კვლევა, 2016.

- არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების შემთხვევაში, მოსამართლის შესაძლებლობის არსებობა, გაათავისუფლოს ბრალდებული პასუხისმგებლობისგან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე;
- საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ირიბი ჩვენების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების მიღება;
- ადვოკატთა ოფისში ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებების უზრუნველსაყოფად, კანონმდებლობაში დამატებითი გარანტიების არსებობა;
- მსჯავრდებულის სასარგებლოდ კვალიფიკაციის შეცვლის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოში ბრალდების ახალ ფორმულირებასთან დაკავშირებით საქმეში არსებული მტკიცებულებების თავიდან გამოკვლევის შესაძლებლობის არსებობა;
- დაცვის მხარისათვის საკანონმდებლო დონეზე მტკიცებულებების გამოთხოვის უფლებამოსილების მინიჭება;
- ბრალდების მხარისათვის ჩხრეკის და ამოღების შედეგად მოპოვებული საგნის პირველადი გამოკვლევის უფლების გაუქმება; ასევე, ექსპერტიზის დასკვნის მეორე მხარისთვის წარდგენის ვალდებულების გაუქმება დაცვის მხარისათვის;
- წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებების რელევანტურობის შესახებ მსჯელობის აუცილებლობა და აღნიშნულის შესახებ სათანადო რეგულაციის არსებობა;
- კომპიუტერული მონაცემების გამოთხოვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო წესის ცვლილება და დაცვის მხარისათვის ამგვარი საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შესაძლებლობის სრულად მინიჭება;
- მოწმეთა დაკითხვის არსებული მოდელის ცვლილება და დაცვის მხარისათვის მოწმეთა ისეთივე პირობებში დაკითხვის უფლების მინიჭება, როგორც აქვს ბრალდების მხარეს;

- ცრუ ჩვენებისთვის ბრალდებულის პასუხისგებაში მიცემის დაუშვებლობა და აღნიშნულის შესახებ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის შენიშვნაში მითითების აუცილებლობა;
- მტკიცებულებათა გაცვლის არსებული წესის დახვეწა და იმ შემთხვევათა გათვალისწინება, რომლებიც, დღევანდელი მდგომარეობით, ამ წესის რეგულირების ფარგლებს გარეთ ექცევა;
- მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის პროცედურის დახვეწა.

5.1.2.2. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების სასამართლო მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით, თემატური შეხვედრების ჩატარება – პროცესის მონაწილე მხარეების ჩართულობით (2017-2018)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში გამართული შეხვედრების შესახებ იხილეთ აქტივობა 3.4.3.3.

5.1.2.3. წინადადებების მომზადება, იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის და კერძო სამართლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან კოორდინაციით (მხარეთა თანასწორობა, მოსამართლის დისკრეციის გაზრდა, მტკიცებულებების წარდგენის წესი (2018))

2018 წელს იუსტიციის სამინისტრომ დაასრულა მუშაობა სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებებზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში მომზადდა წინადადებები სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებების მიზნით შესაბამის საკანონმდებლო პროექტზე. კერძოდ, პროექტი ეხება მოსამართლის როლის გაზრდას სისხლის სამართლის პროცესში – სასჯელის დანიშვნისას მოსამართლისთვის მეტი დისკრეციის მინიჭების კუთხით. გაზიარებულია სასამართლოს მიერ შეთავაზებული

რედაქციები რიგ მუხლებთან მიმართებით¹¹².

5.2. სტრატეგიული მიზანი	სასამართლოზე თანაბარი წვდომის და საჭირო სერვისების უზრუნველყოფა
--------------------------------	--

პროგრამა 5.2.1. – ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მხარდაჭერა და გაძლიერება, მათ შორის, რეგიონების დონეზე

5.2.3.1. მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეების მომზადება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის სრულად ამოქმედებისთვის (2017-2018)

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა გადამზადების 2017 წლის პროგრამის ფარგლებში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თემატიკაზე ჩატარდა 5 ტრენინგი. აქედან 4 მოეწყო მოსამართლეებისათვის

112 კერძოდ, სსკ 34-ე მუხლის მე-21 ნაწილთან მიმართებით (შეურაცხადობა ფსიქიკური დაავადების გამო), სასამართლოს წინადადებით დაემატა მე-21 ნაწილი, რომლის თანახმადაც, თუ სავარაუდო დანაშაული შერაცხადმა პირმა ჩაიდინა, მაგრამ ფსიქიკურად დაავადდა განაჩენის გამოტანამდე, რის გამოც არ შეუძლია გააცნობიეროს თავისი ქმედება ან უხელმძღვანელოს მას, პირი მოთავსდება სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება შეჩერდება მის გამოჯანმრთელებამდე; სსკ 37-ე მუხლზე (ხელმძღვანელის ბრძანების ან მითითების შესრულება); სსკ 67-ე მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 ნაწილებთან მიმართებით (პირობითი მსჯავრის ვადის გაუქმება ან გამოსაცდელი ვადის გაგრძელება/შემცირება) სასამართლოს მიერ შეთავაზებული წინადადებები გამოსაცდელი ვადის დინების გაგრძელებისა და შეჩერების შესახებ გაზიარებულ იქნა; სსკ 71-ე მუხლის მე-4 ნაწილთან მიმართებით (სს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო); სსკ 145-ე მუხლს (დანაშაულის პროვოკაცია) მე-2 ნაწილში სასამართლოს წინადადებით ჩაემატა „ბ“ ქვეპუნქტი – „დანაშაულის პროვოკაცია ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ“, ასევე, მე-3 ნაწილად დაემატა დამამძიმებელი გარემოება – „რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანის სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგი“; სსკ 197-ე მუხლის 1-ლ ნაწილთან მიმართებით (ფალსიფიკაცია) დანაშაულის შემადგენლობას ნივთის თვისებრიობის ელემენტთან ერთად დაემატა ნივთის ხარისხობრივი ელემენტიც.

და მასში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სასამართლოს მოსამართლეებმა, ხოლო 1 – მოხელეებისათვის და მას დაესწრო სასამართლოს 25 მოხელე. ტრენინგები მიზნად ისახავდა მონაწილე პირთა ინფორმირებას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ და, შესაბამისად, მომზადებას მისი სრულად ამოქმედებისათვის.

შეხვედრის თარიღი	თემა	მესპერტი/მონაწილე სტუმრები	მონაწილე
27-28/01/2017	ნაფიც მსაჯულთა სასამართლო	თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე – ეკა არეშიძე	მოსამართლე ³
17-18/02/2017			მოსამართლეები ⁴
02/03/2017		ევროპის საბჭოს ექსპერტი – რაფე ალევალდტი	მოსამართლე ⁵
4-5/03/2017			მოსამართლე ⁶
6-7/06/2017	ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამერიკული მოდელი	ამერიკელი მოსამართლეები: ჯიმ ბოდიფორდი, ანა ჰარისი, ჯეკ პარტენი და ბენ სტადარდი	მოსამართლე ⁷

5.2.3.2. მოსამართლეთა სასწავლო ვიზიტების ორგანიზება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით მიზნით (2017)

2017 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის პროგრამის ფარგლებში, ნაფიც მსაჯულთა საქმეების განმხილველი მოსამართლეებისთვის ორი სასწავლო ვიზიტი განხორციელდა:

113 იხ. http://www.hsoj.ge/geo/media_center/news/789-2017-01-28-nafic-msa-julta-sasamartlo [23/07/2018].

114 იხ. http://www.hsoj.ge/geo/media_center/news/805-2017-03-02-nafic-msa-julta-sasamartlo [23/07/2018].

115 იხ. http://www.hsoj.ge/geo/media_center/news/805-2017-03-02-nafic-msa-julta-sasamartlo [23/07/2018].

116 იხ. http://www.hsoj.ge/geo/media_center/news/808-2017-03-06-nafic-msa-julta-sasamartlo [23/07/2018].

117 იხ. http://www.hsoj.ge/geo/media_center/news/888-2017-06-06-nafic-msa-julta-sasamartlo [23/07/2018].

- 6-13 მაისს, ჯორჯიის შტატში თბილისის და რუსთავის საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მონაწილეობით;

- 14-20 ოქტომბერს, ბათუმის, ქუთაისის, გორის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების და თბილისის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა საქმეებზე კოორდინატორის მონაწილეობით.

სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, მოსამართლეები გაეცნენ განსხვავებულ სამართლებრივ რეგულაციებს, დაესწრნენ ნაფიც მსაჯულთა შერჩევას და ნაფიც მსაჯულთა პროცესს.

ზემოაღნიშნულის გარდა, 2018 წლის 15 მარტს, ევროკავშირის მხარდაჭერით, თბილისში გაიმართა სამუშაო შეხვედრა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის თაობაზე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით. მას დაესწრო თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.

5.2.3.3. ერთიანი ინსტრუქციების შემუშავება ნაფიც მსაჯულთა პროცესის თაობაზე, ამერიკული და ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით (2017)

საქართველოს უზენაეს სასამართლოში ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, სამართალწარმოების სტანდარტების საერთო სასამართლოების პრაქტიკაში სრულყოფილად დანერგვის მიზნით. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩევლის, მაიკლ გრანტის მიერ შემოთავაზებული ამერიკული მოდელის გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ერთიანი ინსტრუქციები ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის თაობაზე. ამ ეტაპისათვის, მიმდინარეობს მუშაობა ინსტრუქციების მატერიალური ნაწილის შესამუშავებლად, რაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ დანაშაულთა შესახებ სათანადო განმარტებების მომზადებას გულისხმობს.

სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებისა და ინგლისური სამართლის მიხედვით, სამართალწარმოების თაობაზე რეკომენდაციები შეიმუშავა ევროპის საბჭოს ექსპერტმა

– ჯერემი მაკბრაიდმა. საკანონმდებლო წინადადებების განსახილველად, 2017 წლის 17 ნოემბერს, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფორმატში, უზენაეს სასამართლოში გაიმართა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტრუქციების შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რის შემდეგაც, მისმა მონაწილეებმა შემოთავაზებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები წარმოადგინეს.

5.2.3.5. სასამართლოების ინფრასტრუქტურის მორგება ნაფიც მსაჯულთა საჭიროებებზე (2017-2018)

საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის საქალაქო სასამართლოებსა და გორის, თელავისა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში განახორციელა სამუშაოები ნაფიც მსაჯულთა საჭიროებებზე სასამართლოების ინფრასტრუქტურის მორგების მიზნით. შედეგად, ყველა ის სასამართლო, სადაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, იქმნება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით. საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულება 300 000 ლარს შეადგენს.

პროგრამა 5.2.4. – შ.შ.მ. პირებისთვის სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესება და ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფა

5.2.4.1. შ.შ.მ. პირებისთვის ინფრასტრუქტურული გარემოს და ტექნოლოგიების ადაპტირების გარემოს შეფასება (2017-2018)

შ.შ.მ. პირთათვის ადაპტირებული გარემოს მოწყობის უზრუნველსაყოფად, საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ჩაატარა სიღნაღისა და ოზურგეთის რაიონული სასამართლო-

ების, აგრეთვე, ბორჯომისა და ქობულეთის მაგისტრატი სასამართლოების შენობების სარეკონსტრუქციო სამუშაოები. აღნიშნულ სასამართლოთა შენობების არსებული ინფრასტრუქტურის შეფასების შედეგად, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთითა და მისი სპეციალისტების ჩართულობით, სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი პროექტები მომზადდა. შედეგად, სასამართლოების შენობების მისადგომებთან და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო პანდუსები, ასევე, რეკონსტრუქცია ჩატარდა სველ წერტილებს, სადაც შ.შ.მ. პირებისათვის ადაპტირებადი საჭირო მოწყობილობები განთავსდა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისათვის საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებების გასატარებლად. შემუშავებულია პირველადი კონცეფცია და მშენებლობის პროცესში ასევე გათვალისწინებული იქნება შ.შ.მ. პირთა საჭიროებები. გარდა ამისა, შენდება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის განკუთვნილი ახალი ფლიგელი. ამ შემთხვევაშიც, გათვალისწინებულია შენობის აღჭურვა შ.შ.მ. პირთათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურით.

2018 წლის პრიორიტეტულ მიმართულებად განიხილება შ.შ.მ. პირებისათვის ადაპტირებული ვებპორტალის შექმნა. ამ მიზნით, დაგეგმილია საქმის ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამის ხმოვანი სახით სატესტო რეჟიმში მუშაობა. შ.შ.მ. პირთა მიერ სარჩელის ელექტრონული ფორმების შევსების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, დაგეგმილია სარჩელის ელექტრონულ ფორმაში ხმოვანი გრაფების შექმნა და ბრაველის შრიფტის გამოყენებით სარჩელის შევსების შესაძლებლობა.

GIZ-ის მხარდაჭერით, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში, 2 სამუშაო შეხვედრა გაიმართა გერმანელი

ექსპერტის – ფრიდრიხ შნიტგერისა და ბერლინის სასამართლოს მოსამართლის – მარია მამერის მონაწილეობით, შ.შ.მ პირთა უფლებების საერთო სასამართლოების სამართალწარმოებაში სათანადო დაცვის მიზნით. 2018 წლის 15-16 ივნისს, მსგავსი შეხვედრა მოეწყო დასავლეთ საქართველოს სასამართლოების მოსამართლეებისთვის, ბერლინის სასამართლოს მოსამართლის – მარია მამერის მონაწილეობით. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა მხარდამჭერის საქმის წარმოება გახსნიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე – მხარდამჭერის საქმეების განმხილველი მოსამართლის საკვანძო როლი გერმანულ სამართალში, მოზრდილების დაცვა და მხარდამჭერა ადამიანის უფლებების (შეზღუდული შესაძლებლობების) პერსპექტივიდან გამომდინარე, ასევე, გაეროს შ.შ.მ პირთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენციის გავლენა მხარდამჭერის საქმეებთან დაკავშირებულ სასამართლო პრაქტიკაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 4 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ცვლილება განხორციელდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დებულებაში. ცვლილების შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებებს დაემატა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის მიზნით ადაპტირების სამოქმედო გეგმისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროცესის მონაწილეებთან მუშაობის სტანდარტებისა და მეთოდის შემუშავება,¹¹⁸ ხოლო სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი უზრუნველყოფს საერთო სასამართლოებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობას, ადაპტირებული სერვისებისა და

118იხ. <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/203-218.pdf> [23/07/2018].

პროგრამების შეთავაზებას¹¹⁹.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია „საინფორმაციო პოლიტიკის შემუშავება მოწყვლადი ჯგუფებისთვის“. აქტივობის განხორციელება დაგეგმილია 2018 წელს.

5.2.4.4. დიდ სასამართლოებში სპეციალური პოზიციის გამოყოფა, შ.შ.მ. პირებისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების მიზნით (2018)

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 25 ივნისის №1/218 გადაწყვეტილებით, საერთო სასამართლოებს დაევალებათ, 2019 წლის 1 იანვრიდან გამოყონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი¹²⁰.

5.2.4.5. მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეთათვის ტრენინგის ჩატარება, შ.შ.მ. პირთა კომუნიკაციის სტანდარტების და სასამართლო პროცესზე ინფორმაციის მარტივად და გასაგებად მიწოდების მიზნით (2018)

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 25 ივნისის №1/218 გადაწყვეტილებით, იუსტიციის უმაღლეს სკოლას 2019 წლის 1 იანვრიდან დაევალოს მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთათვის ტრენინგების ჩატარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომუნიკაციის სტანდარტებისა და სასამართლო პროცესზე ინფორმაციის მარტივად და გასაგებად მიწოდების თემებზე.

პროგრამა 5.2.5. – ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით სასამართლო პროცედურების გაუმჯობესება და შესაბამისი გარემოს შექმნა სასამართლოში

119 იხ. <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/204-2018.pdf> [23/07/2018].

120 იხ. <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/218-2018.pdf> [23/07/2018].

5.2.5.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თაობაზე სასამართლო პროცესის მონიტორინგი და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი (2017)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილებამ 2016 წელს მოამზადა სასამართლო პრაქტიკის განზოგადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე. კვლევა მიზნად ისახავდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის გამოყენების სამართლებრივი ასპექტების განხილვას, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის ხელმისაწვდომი მიზეზების გამოვლენასა და მათი აღმოფხვრის მიზნით გარკვეული წინადადებების შეთავაზებას. განყოფილებამ შეისწავლა 26 სასამართლოს გადაწყვეტილება, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების განაჩენები, განჩინებები და დადგენილებები. სულ დამუშავებულია 205 საქმე, მათ შორის, 132 განაჩენი, 6 განჩინება, 63 დადგენილება და 4 გადაწყვეტილება.

უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სამსახურის 2017 წლის მონაცემებით:

სასჯელის სახედი თავისუფლების აღკვეთა	2017 წელი არასრულწლოვანთა რაოდენობა	დანაშაულების სახე
1 წლამდე	2	177-ე (ქურდობა); 178-ე (დარცვა); 179-ე (ყაჩაღობა); 180-ე (თაღლითობა);
1-დან 2 წლამდე	17	108-109,111-ე (განზრახ მკვლელობა; 117-ე (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება); 239-ე (ხულიგნობა); 225 ²
2-დან 3 წლამდე	9	(ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა); 151-ე (მუქარა); 372 ⁴
3-დან 5 წლამდე	6	(ზემოქმედების განხორციელება გამოსაკითხ პირზე, მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე ან თარჯიმანზე)
5-დან 10 წლამდე	5	
ჯამში	39	

რაც შეეხება არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესის მონიტორინგს, არსებული საკანონმდებლო რეგულაციის გათვალისწინებით, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება. ეს გამორიცხავს საქმის განხილვაზე დაინტერესებულ პირთა დასწრების შესაძლებლობას, მათ შორის, მონიტორინგის მიზნით. შესაბამისად, აღნიშნული აქტივობის განხორციელების უზრუნველსაყოფად, საჭიროა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების განხორციელება. ამ მიზნით, 2018 წლის 11 ივნისს გამართულ სხდომაზე, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტისათვის საკანონმდებლო წინადადებით მიმართვის შესახებ. საკანონმდებლო წინადადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 29-ე მუხლში ცვლილების განხორციელებას უკავშირდება. ცვლილება გულისხმობს არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვაზე მონიტორინგს, რომლის წესს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

2018 წლის 27 ივნისს საკანონმდებლო წინადადება საქართველოს პარლამენტს გაეგზავნა. ამ ეტაპზე, ის განსახილველად გადაცემული აქვს იურიდიულ საკითხთა კომიტეტს. ზემოხსენებული საკითხის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლო თანამშრომლობს ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს დაფინანსებულ პროექტთან, რომელსაც ახორციელებს „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“. პროექტის ფარგლებში, შემუშავდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საქმეებზე მონიტორინგის წესი, გაიცემა რეკომენდაციები განმახორციელებელი ორგანოს თაობაზე და მომზადებული წინადადებები დასამტკიცებლად სხდომაზე წარედგინება იუსტიციის სამინისტროს უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს.

5.2.5.2. იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში თანამშ-

რომლობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ცვლილებების თაობაზე (2017)

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის სრულყოფისა და მისი შემდგომი იმპლემენტაციის მიზნით, იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში მიმდინარეობს მულტიდისციპლინური ჯგუფის სამუშაო შეხვედრები როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. ჯგუფის მუშაობაში ჩართული არიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლეები. ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც საქართველოს პარლამენტს წარედგინა. ცვლილებები პარლამენტმა 2018 წლის 30 მაისს მიიღო. პროექტი მიზნად ისახავს არსებული სირთულეების აღმოფხვრას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა არასრულწლოვანი მოწმისათვის უფასო იურიდიული დახმარების უფლებით სარგებლობის გაფართოება¹²¹. ასევე, დეტალურად განისაზღვრება, რა შემთხვევებში გამოიყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მატერიალური და საპროცესო ნორმები. კოდექსის ყველა შესაბამის მუხლში კონკრეტდება პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის წესი და მისი ფუნქციები. კანონპროექტის თანახმად, კოდექსის 23-ე მუხლს ემატება ახალი დებულება, რომლის მიხედვით, საქმის სასამართლოში განხილვისას – მოსამართლე, ხოლო გამოძიების სტადიაზე – პროკურორი, უფლებამოსილია, არასრულწლოვ-

121 არასრულწლოვან გამოსაკითხ პირს/მოწმეს ექნება უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება. გადახდისუუნარობის გარდა, ეს იქნება შემთხვევები, როცა არასრულწლოვანი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XIX („დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ“), XX („დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ“), XXII („დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ“) თავებით და 1441-1443 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის („წამება“; „წამების მუქარა“; „დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა“) საქმეზე გამოსაკითხი პირი/მოწმეა.

ნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, არასრულწლოვნის დაკითხვას/გამოკითხვას არ დაასწროს არასრულწლოვანი მოწმის ის კანონიერი წარმომადგენელი, რომელიც იმავე საქმეში მოწმედ მონაწილეობს. კოდექსის 27-ე მუხლში ზუსტდება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები – აღნიშნული ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება აგრეთვე სავალდებულო იქნება იმ შემთხვევაში, როცა საქმე განრიდების საკანონმდებლო კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, თუმცა პროკურორი არ იღებს გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის განრიდების თაობაზე. კოდექსის 59-ე მუხლის ცვლილების თანახმად, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შემთხვევაში, დამნაშავედ ცნობის და სასჯელის განსაზღვრის სხდომები არ გაიყოფა. კანონპროქტით ნათლად განიმარტება, რომ სასამართლო უფლებამოსილია, განრიდების გამოსაყენებლად, საკუთარი ინიციატივით ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე – დასაბუთებული გადაწყვეტილებით, საქმე დაუბრუნოს პროკურორს როგორც წინასასამართლო, ისე არსებითი განხილვის სხდომიდან; აქვე კონკრეტდება, რომ სასამართლოს ეს უფლებამოსილება ვრცელდება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას.

დამატებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს პარლამენტს მიმართა საკანონმდებლო წინადადებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 29-ე მუხლში ცვლილების განხორციელების თაობაზე.

5.2.5.3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის კომენტარების შემუშავებისთვის კოორდინირებული მუშაობა იუსტიციის სამინისტროსთან (2017)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით (7-ს, 21 თებერვალი, 2018 წელი), სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში, სისხლის სამართლის სექტორის მიმართულებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტ-

ტროს, მთავარი პროკურატურის, საერთო სასამართლოების მოსამართლეების, იურიდიული დახმარების სამსახურის და პროცესის მონაწილე მხარეთა ჩართულობით, ასევე გაეროს ბავშვთა ფონდის (შემდგომში – UNICEF) და ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის კომენტარების შემუშავება მიმდინარეობს.

5.2.5.4. ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით სასამართლოში გარემოს გაუმჯობესების თაობაზე კონცეფციის შემუშავება და დანერგვის დაწყება/კურიკულუმის შემუშავება და ტრენინგების ორგანიზება (2017-2018)

გაეროსა და ევროკავშირის ერთობლივი პროგრამის – „ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“ – ფარგლებში, მომზადდა კვლევა თემაზე – „ბავშვზე მორგებული გარემო მართლმსაჯულების სისტემაში: კონცეფცია“¹²².

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო შენობა აღჭურვილია ბავშვისათვის ადაპტირებული გარემოს შესაბამისი სასამართლო დარბაზით, რომელიც, საჭიროების

122 აღნიშნული დოკუმენტი განიხილავს ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფციის სახელმძღვანელო პრინციპებს მართლმსაჯულების ყველა უწყებაში, მათ შორის, სასამართლოში. კვლევის შედეგად, ჩამოყალიბდა კონკრეტული რეკომენდაციები: სასურველია, სასამართლოს მოხელე შესასვლელში დახვდეს ბავშვს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს; მოსაცდელი საკნები უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, რაც შეიძლება მოკლე დროით; თავიდან იქნეს აცილებული ბავშვებისა და ზრდასრულ ბრალდებულთა კონტაქტი სასამართლო შენობაში გადაადგილებისას; სასურველია პროკურორებისა და მოსამართლეების ვიზიტები წინასწარი პატიმრობისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში; ბავშვზე ყველაზე მეტად მორგებული სასამართლო დარბაზების პრიორიტეტულად არასრულწლოვანებისათვის გამოყენება; სათანადო ზომების მიღება დაზარალებულ ბავშვსა და სავარაუდო დამნაშავეს შორის პირდაპირი კონტაქტის თავიდან ასაცილებლად; სპეციალიზებული მოსამართლეების მიერ საქმეთა განხილვის პროცესზე დაკვირვება; გადაწყვეტილებებში გამოყენებული ენა უნდა იყოს ადაპტირებული და გასაგები ბავშვისთვის ან გადაწყვეტილება ზეპირად განემარტოს; რეკომენდებულია სასამართლოსთან სოციალური სამსახურის შექმნის იდეის განხილვა.

შემთხვევაში, პრიორიტეტულად გამოიყენება. დამატებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ძალაში შესვლასთან ერთად, თბილისის საქალაქო სასამართლოში თანამედროვე ინფრასტრუქტურული მოწყობის პროექტები დაინერგა. კერძოდ, მოეწყო სამი საკანი კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა განსათავსებლად. საკნები, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აღჭურვილია სველი წერტილებით, ვიდუო-სამეთვალყურეო და თანამედროვე კონდიციონერების სისტემით.

სამოქალაქო საქმეებზე არასრულწლოვანთათვის სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველსაყოფად, საოჯახო-სამართლებრივი დავების განმხილველი მოსამართლეები განთავსდნენ ბავშვზე მორგებულ გარემოში, საქალაქო სასამართლოს ბაზაზე არსებულ ცალკე შენობაში, რომელიც იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი შენობის ბაზაზე მოეწყო და აღიჭურვა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის განკუთვნილი 3 (სამი) სხდომის დარბაზით, 5 (ხუთი) სამუშაო ოთახითა და არასრულწლოვნებთან შეხვედრებისათვის განკუთვნილი ოთახით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოში იგეგმება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისათვის საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებების გატარების მიზნით. შემუშავდა პირველადი კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სტანდარტებს ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის განკუთვნილი ახალი ფლიგელის მშენებლობის ფარგლებში, გათვალისწინებულია ანალოგიური სტანდარტების დანერგვა.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის 2017 წლის პროგრამის ფარგლებში, ბავშვის უფლებების თემატიკაზე მოსამართლეებისთვის ჩატარდა ერთი ტრენინგი, რომელსაც დაესწრო 12 მოსამართლე, ასევე ერთი ტრენინგი ჩატარდა „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ კონვენციის თემაზე, რომელსაც დაესწრო 13 მოსამართლე. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ, მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების 2018 წლის პროგრამის ფარგლებში, ბავშვის უფლებათა საკითხებზე (როგორც სისხლის სამართლის, ასევე, სამოქალაქო სამართლის მიმართულებით) გათვალისწინებულია შემდეგი ტრენინგების ჩატარება: ბავშვთა უფლებები, მათ შორის, ბავშვებით ვაჭრობა, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია და ბავშვთა სექსუალური ძალადობის საკითხები; ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტები.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებებით, იუსტიციის უმაღლეს სკოლას დაევალა ბავშვის უფლებების სფეროში მოსამართლის სპეციალიზაციის მიზნით დაგეგმილი სასწავლო კურსის კურიკულუმების შემუშავება, რისთვისაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განესაზღვრა ვადა 2018 წლის 1 დეკემბრამდე. ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით სასამართლოში გარემოს გაუმჯობესების თაობაზე კონცეფციის საფუძველზე, ბავშვზე მორგებული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, 2019 წლის 1 იანვრიდან სკოლას ასევე დაევალა ტრენინგების ჩატარება მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთათვის.

5.2.5.5. სამოქალაქო სამართლის მიმართულებით მოსამართლეთა სპეციალიზაცია ბავშვთა უფლებების საკითხებზე (2018)

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 25 ივნისს მიიღო №1/215 გადაწყვეტილება ბავშვის უფლებების სფეროში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ.

აღნიშნული გადაწყვეტილებით, საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა სპეციალიზაციის მიზნით, იუსტიციის უმაღლესი სკოლა ჩაატარებს სასწავლო კურსს, რომლის თემატიკასა და ხანგრძლივობას თავად განსაზღვრავს. პროცესის მონიტორინგის მიზნით, იუსტიციის უმაღლესი სკოლა სასწავლო კურსის ბოლოს მოამზადებს ანგარიშს, რომელიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარედგინება. ბავშვის უფლებების სფეროში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტი 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება¹²³.

5.2.5.7. ფსიქოლოგიისა და ფსიქიატრის სიების დაზუსტება (2017-2018)

არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება, ფსიქოლოგის ჩართულობის შესაძლებლობის შესახებ უფრო მეტად დაკონკრეტებას საჭიროებს. არსებული რედაქცია საქმის მწარმოებელ ორგანოს უტოვებს ფართო დისკრეციას, საკუთარი შეხედულებით გადაწყვიტოს ფსიქოლოგის ჩართვის საჭიროება და თავადვე შეარჩიოს მისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები კანდიდატი. მნიშვნელოვანია, გაიწეროს ფსიქოლოგის სავალდებულო ჩართულობის წინაპირობები, იმ შემთხვევებში კი, როდესაც ასეთი გარემოებები სახეზე არ იქნება, პროცესის მწარმოებელ ორგანოს მიეცეს დისკრეცია, არსებული სიტუაციისა და ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, თავად გადაწყვიტოს ფსიქოლოგის ჩართვის საკითხი. ასევე მნიშვნელოვანია მოწვეული ფსიქოლოგების მაღალი კომპეტენციისა და მათ მიერ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების ცოდნის უზრუნველყოფა. ამ მხრივ, აღსანიშნავია სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის საბჭოს ფარგლებში მოქმედი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგად, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

123 იხ. გადაწყვეტილება №1/215 – <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/215-2018.pdf> [23/07/2018].

საქართველოს კანონის პროექტის მომზადება, რომელიც, ამ ეტაპისთვის, საქართველოს პარლამენტის მიერ მესამე მოსმენითაა მიღებული. სხვა საკითხებთან ერთად, პროექტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის წესსა და მის ფუნქციებს ითვალისწინებს¹²⁴.

სასამართლო პროცესებში, ძირითადად, სოციალური მომსახურების სააგენტოს ფსიქოლოგები მონაწილეობენ, რადგან სხვა არცერთ ტერიტორიულ თუ ადგილობრივ სამსახურს ფსიქოლოგის შტატი არ აქვს. თავად სოციალური მომსახურების სააგენტოსაც, მხოლოდ სამხარეო ცენტრებში აქვს ფსიქოლოგის თითო შტატი, რის გამოც, საერთო სასამართლოები ფსიქოლოგის მომსახურების დეფიციტს განიცდიან. საქმეს ართულებს ის გარემოებაც, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში 2018 წლის 30 მაისს შეტანილი ცვლილებით, არასრულწლოვანთა საქმეებზე მონაწილეობის უფლება მხოლოდ არასრულწლოვანთა უფლებების სფეროში სპეციალიზებულ ფსიქოლოგებს აქვთ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტმა მოახდინა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული რესურსცენტრების დებულებაში ცვლილების შეტანის საკითხის ინიცირება. აღნიშნული ცვლილების თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ რესურსცენტრებს მიმდინარე წლის ბოლომდე დაემატება ფსიქოლოგის თითო შტატი, რის შემდეგაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო გეგმავს, ფსიქოლოგების ერთიანი სიის შედგენის მიზნით, ითანამშრომლოს შესაბამის უწყებებთან – სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, განათლების სამინისტროსა და იმ უწყებასთან, რომელიც მათ სერტიფიცირებას მოახდენს.

124 განისაზღვრა კოდექსით დადგენილ შემთხვევებში, მართლმსაჯულების პროცესში სპეციალიზებული ფსიქოლოგის მონაწილეობის აუცილებლობა. აგრეთვე, დაზუსტდა ფსიქოლოგის მოწვევის წესი, რაც უნდა განხორციელდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საქმის სასამართლოში განხილვისას – მოსამართლის, ხოლო გამოძიებისას – ბრალდების მხარის მიერ.

პროგრამა 5.2.6. – თარჯიმნის სერვისის გაუმჯობესების უზრუნველყოფა

5.2.6.1. თარგმანის ხარისხის მონიტორინგის მექანიზმის შექმნა (2017)

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 25 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება საერთო სასამართლოებში სამართალწარმოებისას მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ხარისხის მონიტორინგის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ¹²⁵. გადაწყვეტილების საფუძველზე, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი უზრუნველყოფს საერთო სასამართლოებში სამართალწარმოებისას მთარგმნელობით და სათარჯიმნო მომსახურებას, რომლის ხარისხს მონიტორინგს თავადვე უწევს. მონიტორინგის განხორციელების წესის შესაბამისად, მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ხარისხს აკონტროლებენ თარჯიმნის მომსახურებით მოსარგებლე პროცესის მონაწილეები, სასამართლო სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, რომელთაც სხდომის მდივანი სხდომის ოქმში დააფიქსირებს. პროცესის დასრულების შემდეგ, სხდომის მდივანი შეადგენს წერილობით ინფორმაციას, სადაც თარჯიმნის მომსახურებასთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნებს აღწერს. ინფორმაცია ეგზავნება საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, რომელიც არსებული ხარვეზების მომავალში გამოსწორებას უზრუნველყოფს. ხარისხის მონიტორინგისა და მიღებული ზომების შესახებ ანგარიშს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი წელიწადში არანაკლებ ორჯერ წარუდგენს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

2018 წლის 30 მაისს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) ოფისის მხარდაჭერით, საერთო სასამართლოების სათარჯიმნო მომსახურების ბიუროსთან თანამშრომლობის ფარგლებში, 15 თარჯიმანი გადამზადდა. თარჯიმანთა ტრენინგის კურსი მოსამართლეებთან კომუნიკაციის სტანდარ-

¹²⁵ იხ. <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/216-2018.pdf> [23/07/2018].

ტებსა და თარჯიმნის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს მოიცავდა.

5.2.6.2. თარჯიმნების რაოდენობის საჭიროების კვლევა სასამართლოების მიხედვით (2017)

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით „საერთო სასამართლოებში სამართალწარმოებისას მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ხარისხის მონიტორინგის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი წელიწადში არანაკლებ ორჯერ წარუდგენს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ანგარიშს, რომელიც ასევე მოიცავს ინფორმაციას საანგარიშო პერიოდში თარჯიმნის მონაწილეობით ჩატარებული სასამართლო პროცესის რაოდენობისა და გამოყენებული უცხო ენის თაობაზე. საერთო სასამართლოებში თარჯიმნების რაოდენობის საჭიროების კვლევის ჩატარება 2018 წელს იგეგმება.

პროგრამა 5.2.7. – სასამართლოში გენდერული მგრძობელობის საკითხების გააქტიურება

5.2.7.2. სისტემური ანალიზი სასამართლო მოხელეთა და მოსამართლეების გენდერული მიმართულებით, მათ შორის, მენეჯერულ თანამდებობებზე მდგომარეობის შესწავლა (2018)

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებული ინფორმაციის შესაბამისად, საერთო სასამართლოების სისტემაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა პოზიტიურად მიმდინარეობს როგორც მოსამართლეებთან, ისე მოხელეებთან მიმართებით.

2017	2018
მოსამართლეები	მოსამართლეები
287-დან 148 ქალი = 51%	297-დან 160 ქალი = 53%
აპარატის მოხელეები	აპარატის მოხელეები

1402-დან 882 ქალი = 63%	1430-დან 913 ქალი = 64%
საბჭოს აპარატის მოხელეები	საბჭოს აპარატის მოხელეები
69-დან 30 ქალი = 43%	77-დან 39 ქალი = 50%

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, 2018 წელს, მამაკაცი მოსამართლე წევრი ჩაანაცვლა ქალმა მოსამართლე წევრმა, რის შედეგადაც ქალ წევრთა რაოდენობა გაიზარდა. დღევანდელი მდგომარეობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში 5 ქალია. ამჟამად, საერთო სასამართლოების სისტემაში გამოწვევად რჩება მენეჯერულ პოზიციებზე (სასამართლოს/კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეები) ქალთა მცირე რიცხოვნობა.

5.2.7.3. პერიოდულ ღონისძიებებში/დისკუსიებში მონაწილეობის მიღება გენდერული თანასწორობის საკითხებზე (2017-2018)

2017 წელს დამუშავდა და გამოიცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თემატური კრებული სახელწოდებით: „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე“¹²⁶.

2017 წელს, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ, ევროპის საბჭოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, შეიმუშავა სასწავლო მოდული, თემაზე: „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა“. ჩატარდა ტრენინთა ტრენინგი (ToT) და ერთი საპილოტო ტრენინგი 13 მოქმედი მოსამართლისათვის. ამავდროულად, მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა გადამზადების 2018 წლის პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა 2 ტრენინგი, მათ შორის, ერთი – მოსამართლეებისთვის, რომელსაც დაესწრო 15 მონაწილე და ერთი – სასამართლოს სხვა მოხელეებისთვის, რომელსაც დაესწრო 14 მონაწილე.

126 იხ. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/adamianis-ufleбата-evr.sasamartlos-gadawy.-qalta-mimart-zaladobaze.pdf> [23/07/2018].

2017 წელს ჩატარდა 2 ტრენინგი მოსამართლეების და სასამართლოს სხვა მოხელეებისათვის, თემაზე – „მართლმსაჯულების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის გზით“, რომელსაც დაესწრო 17 მოქმედი მოსამართლე და 17 სასამართლოს მოხელე. ამავდროულად თემაზე ტრენინგის ჩატარება დაგეგმილია 2018 წელსაც.

პროგრამა 5.2.8. – უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაფართოება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე და, ასევე, არასრულწლოვანი მოწმის შემთხვევაში

5.2.8.1. იურიდიული დახმარების სამსახურთან მანდატის გაფართოების საკითხებზე თანამშრომლობის ღონისძიებების ორგანიზება და სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა (2017-2018)

2017 წელს USAID/PROLoG-ის დახმარებით გაიმართა ორი შეხვედრა:

- 18-19 თებერვალი – ბორჯომი, სასტუმრო „ქრაუნ პლაზა“, მრგვალი მაგიდა – დისკუსია იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე¹²⁷;
- 4-5 აგვისტო – იურიდიული დახმარების სამსახურთან მანდატის გაფართოების საკითხებზე კვლევის პრეზენტაცია¹²⁸, რომელიც მოამზადა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა (CRRC-საქართველო)¹²⁹.

127 ესწრებოდნენ ხაშურის, რუსთავის, ახალქალაქის, ახალციხის, გორის, მცხეთის, ხელვაჩაურის, ზუგდიდის, ქუთაისის, თელავის, სიღნაღისა და ბათუმის სასამართლოების სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეები;

128 მონაწილეობა მიიღეს თელავის, ქუთაისის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, ზესტაფონის, თეთრიწყაროს, სიღნაღის, ხაშურის, ოზურგეთისა და თბილისის რაიონული/საქალაქო სასამართლოების, აგრეთვე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ მაგისტრატი მოსამართლეები.

129 კობალაძე მ., გუგუნავა დ., „სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართო-

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ კვლევაში მონაწილე იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების (მოსამართლეები, იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლები და იურიდიული დახმარების გამწვევი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები) უმრავლესობა საჭიროდ მიიჩნევს იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოებას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე¹³⁰. სოციალურად დაუცველთა სტატუსის მქონე ოჯახის წევრებთან ერთად, იურიდიული დახმარება საჭიროა გადახდისუუნარო, მაგრამ სოციალურად დაუცველის სტატუსის არმქონე პირებისთვის.

მოსამართლეთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მეორე ნაწილში გაუქმდეს მითითება „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონზე და მოსამართლეს ჰქონდეს შესაძლებლობა, წინასწარ დადგენილი შეზღუდვების გარეშე, საქმის სპეციფიკიდან და პიროვნებიდან გამომდინარე, პირის გადახდისუუნარობის საკითხი ინდივიდუალურად დაადგინოს და განჩინებით დაუნიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.

ების პერსპექტივები“, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, 2017, იხ. http://www.legalaid.ge/files/1/CRRC-LSA_StudyReport_2017_GEO_final_.pdf [23/07/2018].

130 სამოქალაქო საქმეებიდან, კვლევის შედეგად, გამოვლინდა რამდენიმე პრიორიტეტული თემა, როგორცაა: სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე დავები, სამისდღეშიო გადახდასთან დაკავშირებული დავები, სანივთო ანუ ქონებრივი დავები, რომლებიც უძრავ ქონებასთანაა დაკავშირებული, სამეზობლო, შრომითი დავები, დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონიდან გამომდინარე დავები, შ.შ.მ პირების დავები, სადაც ისინი სპეციალურ, მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებებს იცავენ და სხვა. ადმინისტრაციული საქმეებიდან, კვლევის შედეგად, მანდატის გაფართოების საჭიროება დგას შემდეგი ტიპის დავებზე: უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დავები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან გამომდინარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეები (სადაც სახელეი პატიმრობას არ ითვალისწინებს), დისკრიმინაციის შესახებ კანონიდან გამომდინარე ადმინისტრაციული დავები, საალსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული და სტიქიით მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციასთან დაკავშირებული დავები.

2017 წლის დეკემბერში, საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ იქნა საქართველოს კანონის პროექტი „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც პარლამენტმა მიმდინარე წლის თებერვალში მიიღო. ცვლილების თანახმად, იურიდიული დახმარების სამსახური უფასოდ გაუწევს იურიდიულ დახმარებას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს, მათი ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად. გადახდისუუნარო ბენეფიციარებს კი ეძლევათ შესაძლებლობა, შრომითი და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დავების მოგვარებისას საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურებით ისარგებლონ. არასრულწლოვნის საკითხთან დაკავშირებით იხ. აქტივობა 5.2.5.2.

5.2.8.2. სამუშაო შეხვედრებში მოსამართლეების და სასამართლო წარმომადგენლების მონაწილეობა (2017-2018)

იხილეთ აქტივობა 5.2.8.1.

<p>5.3. სტრატეგიული მიზანი</p>	<p><i>მომსახურების ხარისხის, სიმართლის, სისწრაფის, კომფორტის და ინოვაციურობის უზრუნველყოფა</i></p>
---------------------------------------	--

პროგრამა 5.3.2. – სასამართლოებში მომხმარებელზე ორიენტირებული ინოვაციური ტექნოლოგიური სერვისების დანერგვა

5.3.2.1. სარჩელის აღძვრისთვის საჭირო დოკუმენტების ელექტრონულად მიღების პრაქტიკის დანერგვა

საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ხელშეწყობით, საერთო სასამართლოში საქმისწარმოებასთან დაკავშირებული პროცესების ავტომატიზაციის მიზნით, სასამართლო საქმის ელექტრონულად რეგისტრაციის სერვისი (ecourt.ge)

დაინერგა. მასზე რეგისტრაცია უფასოა, თუმცა ყოველთვიური მომსახურების საფასური აღებული პაკეტის შესაბამისად განისაზღვრება. საქმის რეგისტრაციის ელექტრონული სერვისი მომხმარებელს საშუალებას აძლევს, სასამართლოსთან ურთიერთობა ონლაინ რეჟიმში დაამყაროს (წარადგინოს განაცხადი, მიიღოს ინფორმაცია საქმის რეგისტრაციისა და მსგელობის შესახებ, ატვირთოს საქმესთან დაკავშირებული მასალები). სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ როგორც საბანკო სექტორსა და ადვოკატთა კორპუსს, ისე ფიზიკურ პირებს.

5.3.2.3. ბაჟის გამომთვლელი პროგრამის დანერგვა (2017)

ბაჟის გამომთვლელი პროგრამის დანერგვა გათვალისწინებულია სასამართლო ვებგვერდების ერთიანი ფორმატის კონცეფციის შემუშავებისა და დანერგვის ფარგლებში. იხილეთ აქტივობა 5.3.2.5.

5.3.2.4. სატელეფონო და ონლაინკომუნიკაციის გაუმჯობესებისთვის მოქმედებების ორგანიზება (2018)

საერთო სასამართლოების დეპარტამენტში განხორციელდა IP ტელეფონის პროექტი, რომელიც საერთო სასამართლოების სისტემაშიც დაინერგა და სასამართლოების ერთმანეთთან სწრაფ, ხარისხიან და დაცულ კავშირს უზრუნველყოფს. დეპარტამენტში, ასევე, განხორციელდა ლოკალური ქსელის რეორგანიზაცია.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა, საერთო სასამართლოებში VPN ტექნოლოგიის დანერგვის მიზნით, ტექნიკური სამუშაოები შეასრულა. მათი დასრულების შემდეგ, შესაძლებელი გახდა სასამართლო პროცესის მონაწილეთა დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. საერთო სასამართლოებში არსებული ტექნიკური აღჭურვილობის გათვალისწინებით, სასამართლო პროცესის მონაწილეთა დისტანციური დაკითხვა

შესაძლებელია თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში, თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და ფოთის საქალაქო სასამართლოებში, აგრეთვე რუსთავის, ფოთის, მცხეთის, გორის, თელავის, ზუგდიდის, ახალციხის, ოზურგეთისა და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში.

5.3.2.5. სასამართლო ვებგვერდების ერთიანი ფორმატის კონცეფციის შემუშავება და დანერგვა (2017)

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა, ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით, შეიმუშავა თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდის განახლებული კონცეფცია და დიზაინი, რომელიც სანიმუშო დოკუმენტი იქნება სხვა სასამართლოებისათვის. თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებაპლიკაციის ტექნიკური დოკუმენტი ითვალისწინებს ვებაპლიკაციის ტექნიკურ მოთხოვნებს, დიზაინს, სტრუქტურას, სერვისების აღწერას, შ.შ.მ პირებისათვის ადაპტაციას, ბაჟის გამომთვლელ პროგრამასა და სხვა კომპონენტებს.

ამ ეტაპზე, ევროკავშირთან თანამშრომლობით მიმდინარეობს მუშაობა სასამართლო ვებგვერდების ერთიანი ფორმატის დანერგვაზე, რაც ასევე მოიცავს ბაჟის გამოთვლას და მისი გადახდის შესაძლებლობას. ამასთან, კონცეფცია ითვალისწინებს დამატებით ბაჟის გადახდის პროგრამის ცალკე არსებობას იმ შემთხვევისათვის, თუ მომხმარებელს პროგრამის მეშვეობით ბაჟის გამოთვლა არ ესაჭიროება. საჭიროა აქტივობის შესრულების ვადის 2018 წელს გაგრძელება.

5.3.2.6. ვებგვერდებზე არსებული ინფორმაციის სისრული-სა და გამართულობისათვის სამუშაოების ორგანიზება (2017-2018)

ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის სისრულისა და გამართულობისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტია თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდის განახლებული კონცეფცია და დიზაინი, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ვებგ-

ვერდის მთავარი მენიუსა და მისი აღწერილობის, სერვისები-სა და მათი აღწერილობის განახლებასა და სისრულის უზრუნველყოფასაც მოიცავს. კერძოდ, მთავარ მენიუში მიეთითება სასამართლოსა და მოსამართლეების შესახებ ინფორმაცია, სიახლეები, სასარგებლო ინფორმაცია, საკონტაქტო მონაცემები. რაც შეეხება სერვისებს, ვებგვერდზე სრულყოფილი სახით განთავსდება ინფორმაცია განაცხადის ფორმების, სახელმწიფო ბაჟის, მიმდინარე პროცესების, გარე მომხმარებლისათვის საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის, დისტანციური სერვისების, სტატისტიკის, სასამართლო პრაქტიკის, სასამართლოსთან კომუნიკაციის, პუბლიკაციების, მედიაციის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, ადმინისტრაციული ჯარიმების გადახდის, დამცავი/შემაკავებელი ორდერების, სტაჟირებისა და პრაქტიკის, საზოგადოებრივი სასამართლოსა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი შეიმუშავა სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა, ევროკავშირის პროექტის ხელშეწყობით.

<p>5.4. სტრატეგიული მიზანი</p>	<p>სასამართლო სისტემის ფუნქციონირების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა</p>
---------------------------------------	---

პროგრამა 5.4.1. – საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება სასამართლოს საქმიანობის შესახებ

5.4.1.2. პრეცედენტული და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ საზოგადოების ინფორმირება (პერიოდული გამოცემები, ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები და ა.შ.) (2017-2018)

იხილეთ 5.1.1.6. აქტივობა.

5.4.1.3. სასამართლოს მუშაობის ზოგად პრინციპებზე, პროცესებზე, წესებსა და სხვა პროცედურებზე მოკლე გასაგები ინ-

ფორმაციის მომზადება (ბროშურები, ბუკლეტები, კლიპები) და საზოგადოებაში აქტიური გაგრძელება სხვადასხვა არხებით (მათ შორის, პარტნიორების დახმარებით (იურიდიული დახმარების სამსახური, ადვოკატურა, სოც.უზრუნველყოფის სამსახური და ა.შ.)) (2017-2018)

იხილეთ 4.3.2.3 აქტივობა.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მომზადდა კვლევა საზოგადოების მიერ მართლმსაჯულების სისტემის მიმართ ნდობის შესახებ¹³¹. კვლევის ძირითადი მიგნებები ასეთია:

- კვლევის შედეგად, გამოკითხულთა 64% აცხადებს, რომ ადამიანის უფლებები საქართველოში სრულად ან მეტ-ნაკლებად დაცულია. 5 წლის წინ იგივე აზრი ჰქონდა 48%-ს, ხოლო 10 წლის წინ – 32%-ს.
- გამოკითხულთა 50% ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციას ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომად არ მიიჩნევს, მათ შორის, ეს ინფორმაცია ხელმიუწვდომელია მონყველადი ჯგუფებისათვის.
- ინფორმაციას ადამიანის უფლებების და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ გამოკითხულთა 88% ტელევიზიის საშუალებით იგებს.
- არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების აზრით, ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენციაა.
- 2016 წელს, რესპონდენტთა 9% ფიქრობს, რომ მოსამართლე გადაწყვეტილებას მთავრობის მითითების შესაბამისად იღებს, მაშინ როცა 2012 წელს ეს მაჩვენებელი 27% იყო.

131 ადამიანის უფლებები და მართლმსაჯულება საქართველოში: საზოგადოების დამოკიდებულება და ინფორმირებულობა – კვლევის საბოლოო ანგარიში. კვლევა მომზადდა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, თბილისი, 2017.

საერთო სასამართლოების მუშაობის შესახებ საზოგადოების სწორი და დროული ინფორმირების მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიმდინარე წლის 21 მაისს მიიღო №1/192 გადაწყვეტილება, რომლითაც დაამტკიცა საერთო სასამართლოების სპიკერ-მოსამართლეები თბილისის სააპელაციო და თბილისის საქალაქო სასამართლოებიდან.

5.4.1.4. სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის მომზადების და საზოგადოებისთვის გაცნობის პრაქტიკის განვითარება (2017)

2018 წლის 20 იანვარს, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გაიმართა მოსამართლეთა XXII კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საერთო სასამართლოების მოსამართლეებმა, აგრეთვე, ღონისძიებას არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა დამსწრე საზოგადოებას სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის წლიური ანგარიშები წარუდგინეს, სადაც ყურადღება გამახვილდა 2017 წლის განმავლობაში სასამართლო სისტემაში განხორციელებულ ძირეულ საკითხებზე. ამასთან, ხსენებული ანგარიშები განთავსდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდებზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის¹³².

132 იხ.

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samushao-angarishi2018.pdf>,
<http://hcoj.gov.ge/files/news/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf> [23/07/2018].

პროგრამა 5.4.2. – სასამართლოსათვის მიმართვის უფლებისა და სასამართლოს სერვისების შესახებ საზოგადოების პერმანენტული ინფორმირება

5.4.2.1. სასამართლოს მისაღებებში პრობონო სერვისების შესახებ ინფორმაციის განთავსება (2017)

სასამართლოს მისაღებებში პრობონო სერვისების შესახებ ინფორმაციის განთავსების მიზნით, მიმდინარეობს ერთიანი კონცეფციის შემუშავება, რათა ყველა სასამართლოსათვის ერთიანი სტანდარტი განისაზღვროს. აღნიშნული აქტივობის განხორციელება 2018 წელს იგეგმება.

5.4.2.2. მედიაციის სერვის(ებ)ის შესახებ საინფორმაციო კამპანიების ორგანიზება (2017-2018)

იხილეთ 4.4.1.1 აქტივობა.

5.4.2.4. საერთო სასამართლოების სისტემაში კომუნიკაციის ერთიანი სტანდარტის შემუშავება

აღნიშნული აქტივობის შესრულება იგეგმება 2018 წელს.

პროგრამა 5.4.3. – სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა

5.4.3.1. გადაწყვეტილებების ერთიანი ბაზის ფორმირება (როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო) და ვებგვერდებზე განთავსება (2017)

ამჟამად, დაშტრიხული გადაწყვეტილებების განთავსება ხდება info.court.ge-ზე, თუმცა აღნიშნული ვებგვერდის მუშაობა, სისწრაფისა და მოხერხებულობის თვალსაზრისით, გამართული არ არის. მას დღიურად დაახლოებით 1500-2000 მომხმარებელი იყენებს.

2018 წლის გაზაფხულზე, 4 დონორის (ევროპის საბჭო, ევ-

როკავშირი, USAID/PROLOG, GIZ) ერთობლივი ინიციატივით, შეირჩა კომპანია (ICT Business Council) IT აუდიტის განხორციელების მიზნით. დეტალებისთვის იხილეთ 1.4.4.3 აქტივობა. აღნიშნული აქტივობის ხანგრძლივობა მხოლოდ 2017 წლით შემოიფარგლება, საჭიროა მისი შესრულების ვადის 2018 წელს გაგრძელება.

5.4.3.3. პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს უზენაესი და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობას და ინფორმაციას სამართალწარმოების სტატუსზე და ეტაპებზე (2017-2018)

იხილეთ აქტივობა 5.4.3.1.

1 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატება 1911 მუხლი და განისაზღვრება მოსამართლის უფლებამოსილება წამების, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევაში. აღნიშნული მუხლის თანახმად, თუ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მოსამართლეს გაუჩნდება ეჭვი, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელებულია წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, ან აღნიშნულის თაობაზე თავად ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა განუცხადა სასამართლოს, იგი რეაგირებისათვის მიმართავს შესაბამის გამოძიების ორგანოს.

2 ექსპერტთა დასკვნა თემაზე: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის ნიველირება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადაწყვეტილების საფუძველზე.

3 იხ. http://www.hsoj.ge/geo/media_center/news/789-2017-01-28-nafic-msajulta-sasamartlo [23/07/2018].

4 იხ. http://www.hsoj.ge/geo/media_center/news/798-nafic-msajulta-sasamartlo [23/07/2018].

5 იხ. http://www.hsoj.ge/geo/media_center/news/805-2017-03-02-nafic-msajulta-sasamartlo [23/07/2018].

6 იხ. http://www.hsoj.ge/geo/media_center/news/808-2017-03-06-nafic-msajulta-sasamartlo [23/07/2018].

7 იხ. http://www.hsoj.ge/geo/media_center/news/888-2017-06-06-nafic-msajulta-sasamartlo [23/07/2018].

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	3
1. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა	6
1.1. სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა	6
1.2. ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.....	15
1.3. მოსამართლეთა მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა.....	21
1.4. დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის დაცვა და გავლენებისგან პრევენციის უზრუნველყოფა	23
2. ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა	29
2.1. მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და ეთიკის ნორმების დახვეწა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად	29
2.2. სამოსამართლო საქმიანობაში გადაცდომებისა და სისტემაში კორუფციის პრევენცია	35
2.3. მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა	37
2.4. საზოგადოების წინაშე სასამართლო სისტემის ღიაობის უზრუნველყოფა და ანგარიშვალდებულების აღქმის გაძლიერება.....	41
3. ხარისხიანი მართლმსაჯულებისა და პროფესიონალიზმის უზრუნველყოფა.....	46
3.1. საუკეთესო პოტენციალის მქონე მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეების მოზიდვა და შერჩევა.....	46
3.2. მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა სანყისი მომზადებისა და განგრძობადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება.....	52
3.3. მოსამართლეთა, სასამართლო მოხელეთა და სისტემის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემის გაუმჯობესება და მოტივაციის უზრუნველყოფა	62
3.4. სასამართლო სისტემის ხარისხის გაზომვის ინდიკატორებისა და სტანდარტების განვითარება	66

4. სასამართლო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფა.....	76
4.1. სასამართლოების, მოსამართლეების, სასამართლო მოხელეების და სისტემის თანამშრომლების ოპტიმალური რაოდენობისა და გონივრული დატვირთვის უზრუნველყოფა.....	76
4.2. საქმის განხილვის საპროცესო ვადების ოპტიმიზაცია და ნაშთად დარჩენილი საქმეების შემცირება.....	79
4.3. სასამართლოს სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურისა და ადმინისტრირების სრულყოფა.....	85
4.4. დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარება.....	90
4.5. ელექტრონული მმართველობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება.....	94
4.6. პარტნიორ სტრუქტურებთან ურთიერთობის განვითარება	100
5. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	101
5.1. სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელების გაუმჯობესება.....	101
5.2. სასამართლოზე თანაბარი წვდომის და საჭირო სერვისების უზრუნველყოფა.....	118
5.3. მომსახურების ხარისხის, სიმარტივის, სისწრაფის, კომფორტის და ინოვაციურობის უზრუნველყოფა.....	139
5.4. სასამართლო სისტემის ფუნქციონირების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა	142